

K 135
1

ପ୍ରକାଶନକାଳୀ ଅନୁଷ୍ଠାନିକ

ଓ. ଧର୍ମାନନ୍ଦଙ୍କୁ

ଅତ୍ୟାଧିକାରୀଙ୍କାଣୀ

ସଂପର୍କଗୀତ



୧. ପରିମାଣତଥାଲୀ

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାମ୍ବଦ୍ଧିପତ୍ର

(8028030—8664060—866040)

8.5. 2019-1633 K 135



სახელგაბი

1929

61(473-22)(092)+821.353.1-94

ტფ. 19/I ს. ს. მ. უ. ს. პოლ.
ტრ. 1-ლი სტ. პლ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 264 შეკ.
№ 927. ტირაჟი 2000.

შთაბეჭდილებანი

მოსკოვი—გარემონი—პარიზი

I

ვაგონები შეტოვდნენ და ერთმანეთს რაკუნით
მიესალმნენ.

მატარებელი ქშენით დაიძრა და მალე აუჩქარა.

გასაცილებლად მოსულ ნაცნობ-მეგობრებისა და
ნათესავების მხიარულმა სახემ, გულითადების აც-
რემლებულმა თვალებმა ფანჯრის მინებში გაისრი-
ალეს.

მატარებელმა მოუსვა და ყველა შეუდგა თავთა-
ვის ალაგზე მოყალათებას, ბარგის მილაგ-მოლაგებას.

ფიქრთა მორევში შეუმჩნევლად შევცურე.

დიდი ხანია განა მას აქეთ, რაც ჩვენი წინაპრები
ურმით და ცხენებით მოგზაურობდნენ? ახლა კი მა-
ტარებელი, გემი, აეროპლანი, დირიჟაბლი, ავტო-
მობილი!

ქვეყანა იცვლება, კაცობრიობა წინ მიჰქოის სულ
უკეთესი და უკეთესი მომავლისაკენ.

და ეს მომავალი მუშას და გლეხს ეკუთვნის, — ყველა მშრომელს.

მუქთა-ხორებს, ბატონებს, მშრომელი ხალხის წურბელებს და ობობებს აქ ადგილი აღარ ექნებათ.

ქვეყანა წინ მიდის, მუშა ბრძოლით იკაფავს გზას. ქება-დიდება ამ ბრძოლას, მუშისა და გლეხის ბრძოლას — კლასთა ბრძოლას. ამაზედ არის დამყარებული მუშებისა და გლეხების მთელი მომავალი.

ჩვენი ვაგონი ინტერნაციონალურია; ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს: ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბეიჯანელი, ებრაელი.

მატარებელში ნაცნობობის ძაფები შეუმჩნევლად იხლართება და მალე მუსაიფი, ლაპარაკი ისე გაჩაღდა და გაცხოველდა, რომ გეგონებოდათ: ეს ხალხი დიდი ხნის ნაცნობები არიანო.

— თქვენ საიდან?

— თქვენ სადით?

— როდის აპირებთ დაბრუნებას?

— როგორ მოგეწონათ?

— მე პირდაპირ მოჯადოებული ვარ შოვით, — მესმის ქალის ხმა.

ყურები ვცემიტე, — შუახნის ქალი რუსი ელაპარაკება ერთ ყმაწვილს.

— რა მშვენიერებაა შოვი, რა მშვენიერება! მე
მხოლოდ შოვმა მომარჩინა, — გაბრწყინებული თვა-
ლებით ჩაერევა მათ ლაპარაკში ახალგაზრდა ქალი,
ისიც რუსი.

ვეღარ მოვითმინე, მივუახლოვდი და ვეკითხები
ორივეს:

— საიდან ბრძანდებით თქვენ?

— მოსკოვიდან.

ერთია პროფესორის ცოლი, მეორე — კინო მსა-
ხიობი.

მოსკოვი და შოვი, საიდან სადაო?

გაუგიათ, რომ შოვში სანატორიუმია, წამოსულან
მოსკოვიდან და ალტაცებულნი არიან ბუნებით, მდე-
ბარეობით, ჰაერით, ტყით, მუავე წყალით.

— ნერვები მთლად ერთიანად მოშლილი მქონდა,
უძილობა და უმაღობა მტანჯავდა; შოვმა ერთ თვე-
ში აღადგინა ჩემი ჯანმრთელობა,—მოგვითხრობს გა-
ტაცებით კინო-მსახიობი ქალი და თან დასხენს:
საგაისოდ უსათუოდ ორი თვით წამოვალო.

საკვირველია რუსი ქალი; იმის ბუნებაში დიდი
გატაცებაა, დიდი ოცნება, დიდი სიყვარული და
ცნობის მოყვარეობა.

აი, თუნდა ჩემი ნაცნობი ქალები; ყურში ჩაეწვე-
თათ, რომ სადლაც შორს საქართველოს მთებში

არის აგარაკი შოვი; ცნობისმოყვარეობამ, ახალი ადგილების ნახვის წყურვილმა და სიყვარულმა გაიტაცა ისინი და წამოვიდნენ, რომ მივარდნილ მთებში იხილონ ახალი აგარაკი.

ჩვენ ქალს კი თბილისიდან და ქუთაისიდან ეძნელება შოვში ჩასვლა: შორს არისო.

შოვის გაგონებაზე ჩემს წინაშე წამოიჭრება ხოლმე შამშე ლეჟავა. შოვი და შამშე განუყრელია, განუყოფელი; შოვი შამშეს პირშო შვილია.

მახსოვს ნიკოლოზის დროს შამშე შემოვიდა ჩემთან და გატაცებული მომიყვა შოვის მომავალი სანატორიუმის შესახებ.

ვუსმენდი მას უგულოდ, ძალდატანებით და თან ვფიქრობდი: ახირებული კაცია ეს ჩვენი შამშე, რატომ არ ესმის, რომ შოვში სანატორიუმის აგება შეუძლებელია-მეთქი.

შენ გაიმარჯვე, გალილეველო!

მეოცნებე შამშემ გაიმარჯვა და დავმარცხდით ჩვენ ყველა, ვინც იმის ოცნებას არ ვიზიარებდით.

დღეს რაჭის მივარდნილ მთებში, სადაც წინეთ შგზავრებსაც არ ეხალისებოდათ გავლა, ამართულია საუცხოვო სანატორიუმი და ელექტრო სადგური გუგუნებს.

ჯერ კიდუვ თხუთმეტი წლის წინეთ ყოველივე ეს უნიადაგო ოცნებად მიგვაჩნდა. რა არის ისტორიისათვის ხუთმეტი წელი?

წამია კაცთა თვალისა

და წამწამისა მსწრობელი.

და ეს ოცნება საბჭოთა ხელისუფლებამ სინამდვილედ აქცია.

— საქართველოს რესპუბლიკას დიდი შესაძლებლობა აქვს; ყოველი ფეხის გადაღვმაზე თქვენში კურორტია, მაგრამ არავინ არ გიცნობთ; აი, თუნდა მე — სრულებით შემთხვევით გავიგე, რომ თქვენში შოვი არსებობს, — მეუბნება მოსკოველი პროფესორის ცოლი.

— აღმშენებლობითი შემოქმედება ჩვენში ახლა დაიწყო, თანდათან წელში ვიმართებით და გაგვიცნდენ კიდეც, — ვუპასუხებ.

— მე შემოვიარე წყალტუბო, რიონჰესის სამუშაოები, დავათვალიერე ზაჰესი და დავრწმუნდი, რომ თქვენშიაც დაიწყო ახალი ისტორია, ბრწყინვალე, დიალი და დიდებული თავისი შედეგებით, მაგრამ მაინც საჭირო არის რეკლამა. — ვანაგრძობს პროფესორის ცოლი.

— რეკლამა ბურჟუაზიის ხელობაა და ჩვენ არ შეგვიერის, — დავიწყე მე, მაგრამ ჩემშა მოსაუბრებ გამაწყვეტინა:

— არა, არა, მე თქვენ არ გეთანხმებით; ერთსა
და იმავე სახელში ხშირად სხვადასხვა შინაარსია
და ამან არ უნდა შეგიყვანოსთ შეცდომაში. ბურ-
უაზიული რეკლამა არის აგებული სიყალბეზე, სი-
ცრუესა და მოტყუებაზე, თქვენი რეკლამა — კი იქ-
ნება სიმართლე, კეთილშობილება და საქმიანობა
ეს იქნება ერთგვარი საშუალება თავის გაცნობისა.
რატომ არ უნდა იცოდეს მთელმა საბჭოთა კავშირმა
და ევროპამაც ყველა თქვენი მიღწევანი! ეს საჭი-
როა, ეს აუცილებელია!

ჩვენ ამგვარად მივადექით მ. გორჯის დედა-აზრს
უურნალი „ჩვენი მიღწევანი“-ს დაარსების შესახებ.

აქ უნდა იყოს დაწვრილებით და სრულად გაშუ-
ქებული ყოველივე, რაც გაკეთებულა და კეთდება
საბჭოთა კავშირის სივრცეზე მატერიალური და
გონებრივი კულტურის ყოველ დარგში.

ამის საჭიროებას განსაკუთრებითა ვგრძნობ აქ,
ევროპაში

ნათქვამია: შუბი ტომარაში არ დაიმალებაო; მა-
გრამ თურმე დაიმალება დროებით მაინც. საბჭოთა
ხელისუფლებას აუარებელი მტერი ჰყავს და ათას-
გვარ სიცრუეს, ჭორსა და ტყუილებს აქვს ჯერ გა-
სავალი. ემიგრაციის პრესის მიზანი გახლავთ სიც-

რუე და ჭორად მონათვლა ყოველივე იმისი, რაც
საბჭოთა კავშირში კეთდება.

ასეთს სიცრუეს ბევრი შეჰყავს შეცდომაში და
ჩვენში რომ რიონჰესი მართლა კეთდება, სარწყავი
არხები რომ მართლა გაჲყავთ ყველგან, ფოთის ჭა-
ობებს რომ მართლა აშრობენ, მუშათა სახლებს, სა-
ნატორიუმებს და სხვადასხვა ქარხნებს აგებენ, ეს აქ
უცხოეთში ზოგიერთმა ქართველმაც — კი არ იცის.

მართალია, ტყუილს მოკლე ფეხი აბია, მაგრამ
ევროპაში იციან ამ ფეხების საკმაოდ დაგრძელება.

მაშ რა ვქნათ?

უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარი საშუალებით იმ
ტყუილსა და სიცრუეს, რასაც ემიგრაცია და ბურ-
უაზია ავრცელებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

მატარებელი გაჩერდა და ჩვენი ბაასი ურიამულმა
შესწყვიტა.

— საზამთრო, საზამთრო!

— ნესვი, ნესვი!

— ყურძნი, ბროჭეული!

გაჲკიოდა დიდი და პატარა და დაარბენინებდა
სხვადასხვა ხილს ვაგონების წინ.

— აზეირბეიჯანია? ჰერითხულობენ ჩვენი ნაცნობი
ქალები.

— ღიახ!

— აქ ნაქებია განჯის ყურძენი, უსათუოდ უნდა წავილოთ მოსკოვში. და ქალები მიეშურებიან საღ-გურისაკენ.

ყველა უკან ბრუნდება ყურძნით დატენილი მოზ-რდილი კალათებით.

უხევი, მდიდარი ქვეყანაა აზერბეიჯანი. რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყოს ან არ მოდი-ოდეს!

აუარებელი და საუცხოვო ხილი, დიდალი პური, ბაშბა, ტოვალავი საქონელი, ცხვარი, რძე, კარაქი, ყველი, თევზი თავზე საყრელი.

ყოველივე ამას დაუმატეთ ნავთი და დარწმუნდე-ბით, რა სიმდიდრის პატრონია აზერბეიჯანელი.

მთავრობა უკვე შედგომია არხების გაყვანას და მაშინ სოფლის მეურნეობა ერთი ათად ვაიზრდება.

აზერბეიჯანს ყველაფერი უხეად აქვს, რომ ბედნი-ერი იყოს; აკლია მხოლოდ ცოდნა, რომელიც უდი-დესი სიმდიდრეა ხალხისათვის.

ჯერ კიდევ გუშინ თვითმპყრობელობის ხელში ცოდნის ყველა კარი აზერბეიჯანისათვის მტკიცედ იყო დასშული და ის ნახევრად ველური ქვეყანა იყო. მთავრობა მხოლოდ იმას სცდილობდა, რომ ეს კუთხე უფრო გაეველურებია; ძველ მავნე ჩვეულე-ბებს ხელს აფარებდა, ეროვნულ შულლსა და მტრო-

ბას ალვივებდა, ძმათა შორის სისხლის ღვრის ხელს უწყობდა, ყიჩალების რიცხვს ხელოვნურად ამრავ-ლებდა და სხვ.

ძევლი ბოროტება დაინგრა და ვაჟას თქმისა არ იყოს:

შურის და მტრობის მთესველნი.

მოისპენ, არარაობენ:

დღეს საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაულო აზერბეიჯანში ყველა კარი სწავლას, ცოდნას და ადამიანურ ცხოვრებას.

აზერბეიჯანელიც თანდათან იცვლება, ნელ-ნელა შორდება ძველ მავნებელ ჩვეულებებს, თავისუფლ-დება დამღუპველი ტრადიციის ბრჭყალებისაგან, ეწაფება განათლებას და გონებითაც შემოდის ძმო-ბა-ერთობის ღიად სამეფოში.

შეგნების ზრდასთან ერთად მან უკეთ დაიწყო ცხოვრება, იმის სოფელს გარეგნულადაც დაეტყო გაუმჯობესება: უკეთესი სახლები, უკეთესი სახურა-ვი. ყანებში გაჩნდნენ სამკალი და სალეჭი მანქანები. იგივე სურათი გადაგვეშალა თვალშინ, როდესაც ჩვენი მატარებელი ბაქოს გასცილდა და დაღესტან-ში შეიჭრა; დაღესტანიც ილვიძებს და ეწაფება ახალ ცხოვრებას, მუშისა და გლეხის ცხოვრებას.

შეუძლებელია, ჩრდილოეთ-კავკასიის ხილვამ არ გამოიწვიოს მეხსიერებაში შამილი და ჩვენი მუსაი-ფიც გადავიდა მთის არწივზე.

ზოგი შამილში ჰქედავს მეფეს, რომელიც თავისი ბატონობისათვის იბრძოდა; ზოგი — ეროვნულ გმირს. რა თქმა უნდა, შამილი არ ივიწყებდა თავის თავს, მაგრამ მისი მეთაურობით პატარა ერის თავგანწი რული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მეტად სიმპატიურია.

რა საუცხოვო მასალაა კინო ფილმისათვის ეს ბრძოლა!

მინერალური წყლები, ძველი ნაცნობები. სალამი. გამობაასება.

— რა ამბავია ჩრდილოეთის კურორტებზე?

— ყველაფერი საუცხოვოდ მოწყობილი, შედარებით იაფობა.

— ხალხი?

— ძალიან ბევრია, ხოლო სულ სხვა, ვიდრე წინეთ. მაინც?

— უწინ — თავადები, დიდი მემამულეები, ბურუუები, გენერლები, ბობოლა ბიუროკრატები. ახლა მდაბიო ხალხი, მუშები, გლეხები, საბჭოთა მოხელეები, რომლებსაც წინეთ კისლოვოდსკი და ესენტუკი სიზმრადაც არ ეჩვენებოდათ.

ერთი ამას გეუბნებათ ნალვლიანის კილოთი, მეორე — კმაყოფილებით.

რას ვაქნევ კილოსა და პირად განწყობილებას; საქმე სინამდვილეა.

რუსეთი მეფეების, რუსეთი ბატონების, თავადების, გენერალ - გუბერნატორების, რუსეთი უანდარმების, მემამულების და ბურუჟების მოკვდა!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების რუსეთს, საბჭოთა რუსეთს!

მიჰქრის მატარებელი, ფიქრი ფიქრს მისდევს, ოცნება ფრთებსა შლის და წინ, ახლობელ მომავალში მესახება აყვავებული საბჭოთა კავშირი, ძლიერი ფედერაცია აღმოსავლეთისა. თავ-თავის საზღვრებში ყოველი ერი თავისუფალია და ყველას აკავშირებს ერთმანეთთან საერთო ნება, საერთო კეთილდღეობა მუშებისა და გლეხების. აი, აყვავებული ქალაქები, აყვავებული სოფლები. სრულებით აღარა ჰგვანან ძველ სოფლებს; სწორი, განიერი ქუჩები და შარა-გზები, ლამაზი სახლები, ისლის ნაცვლად კრამიტითა და თუნუქით გადახურული.

მატარებელი შეჩერდა; ვერკვევი, გავყურებ სივრცეს; მართლაც მშვენიერი ახალი სოფელი, გეგმაზე გაშენებული; განიერი შარა-გზა; ორივ მხარეზე ჩამწკრივებული აგურის კოხტა სახლები, პატარა ფან-

ჯრებით; ისლის ნაცვლად პრტყელი კრამიტი; ლა-
მაზი ეზო და კარმიდამო.

ეს ჩემი ოცნებაა თუ სინამდვილე? ვაგონიდან
ვხტები; პატარა სადგურია. წარწერა რუსული ასო-
ებით, მაგრამ სიტყვა რაღაც არა ჰგავს რუსულს. აა
უკრაინა! უკრაინა! რამდენჯერ გამივლია უკრაინაზე
ამ გზით, მაგრამ ასეთი სოფელი მე არასოდეს არ
მინახავს.

მიჰქრის მატარებელი; გაფაციცებით ვადევნებ
თვალყურს არემარეს. სოფლებს. ყველგან ერთი-მე-
ორეზე უფრო სანუგეშო სურათი.

სადღა არის ძველი ქოხები, ტალახით შელესილი
კედლები, ისლის სახურავი, მათ კიდევ მოჰკრავთ
თვალს აქა-იქ ძველ სოფლებში, მაგრამ ბევრგან
ძველი მემამულისა და თავადის ადგილში გაშენე-
ბულია ახალი სოფელი; სულ არის ათი, თხუთმეტი
სახლი, მაგრამ ერთი-მეორეზე უკეთესი. ქვისა ან
აგურის, წითელი, ზოგან კი თეთრი, კრამიტით და-
ხურული, ფანჯრებიანი.

ძველი სოფელი ჰქონდა.

შენდება ახალი სოფელი.

გაუმარჯოს ახალ სოფელს და იმის მშობელს —
მუშურ-გლეხურ რევოლიუციას!

ვიცი, ვიცი, რომ ამ სოფელს ჯერ კიდევ ბევრი
რამ აკლია: ჯერ კიდევ დიდი ხანი და დიდი შრომა
უნდა იმის დასრულებას, მაგრამ სახარე ხბოს სას-
კორეში შეეტყობაო, ნათქვამია.

კაკლის ხე რომ მიწიდან თავს ამოჰყოფს, უბრა-
ლო ბალახი გეგონებათ; რიგიან მოსავალს კი მხო-
ლოდ ოცი წლის შემდეგ მოგცემსთ.

ახალ სოფელს განა კაკლის ხეზე ნაკლები დრო
უნდა, რომ დასრულდეს და ნაყოფი დაგვანახოს!

როდესაც მატარებელი დონის ქვანახშირის მიდა-
მოში შეიჭრა, წინ გადაგვეფინა იშვიათი სურათი
ხშირად გადაშლილი სოფლები ფერად ყვავილთა.
თაიგულებს მოგაგონებდათ.

ხშირად გამივლია ამ კუთხეში ნიკოლოზის დროს,
ერთფეროვანი, ღარიბი სოფლები, გვერდზე გადა-
წოლილი, ტალახით შეთითხნილი ქოხები, სიბინძუ-
რე, სილატაკე. ჩავიქნევდი ხელს, მომაწვებოდა ნა-
ღველი და მოვაშორებდი თვალს, რომ დამევიწყე-
ბია დროებით მაინც სოფლის უმწეობა, სილატაკე
და საშინელება.

ახლა-კი მინდა სულ გუყურო ამ სოფლებს, თვალი
დავატკბო მათი სილამაზით, გული გავახარო მათი
კეთილდღეობით.

— დონის რაიონი მდიდარია, აქ დიდი წარმო-
ებაა და რა ვუყოთ, რომ იქაურ სოფლებს განსაკუ-
თრებული ელფერი ედოსთ,—იტყვის მეითხველი.

დონის რაიონის სიმდიდრე და წარმოება დღევან-
დელი ამბავი არ გახლავთ, ნიკოლოზის დროსაც
იგივე სიმდიდრე და წარმოება იყო იქ, მაგრამ სო-
ფლები სილატაკესა და სიბინძურეში იყვნენ ჩაფ-
ლული.

საქმე გახლავთ რეჟიმში, წყობილებაში, ხელისუ-
ფლებაში. საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ მი-
სცა გლუხს; რევოლუციის წყალობით ბევრი რამ
შეიძინა გლეხმა; მაგრამ მას გაასკეცებული სიტრთ-
ხილე მართებს, რომ მტერმა ხელიდან არ გამოგ-
ლიჯოს ის, რაც შეიძინა და გაასკეცებულივე სიმარ-
ჯვე, რომ კიდევ უფრო გაიუმჯობესოს ცხოვრება.

— მივჩერებივარ აქაურ — სოფლებს და ალტაცე-
ბაში მოვდივარ, — ვეუბნები მოსკოველი პროფესო-
რის ცოლს, არაფერი ალარ არის იმისი მსგავსი,
რაც წინეთ მინახავს აქ ნიკოლოზის დროს.

— ეხლა უარესია? ღიმილით მექითხება ის და
თვალებში მომჩერებია.

— რა თქმა უნდა, მოველოდით გაუმჯობესებას,
მაგრამ სინამდვილემ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა.

— რუსეთი არის უმთავრესად გლეხური ქვეყანა. რევოლუციამ გაიმარჯვა და გლეხის კეთილდღეობაც რუსეთში საგრძნობლად გაიზარდა, გაიზარდა მისი შეგნებაც. სამეულის ზღაპარი: თვითმშეყრობელობის, ეროვნებისა და მართლმადიდებლობის შესახებ სამუდამოდ განიველა; მხოლოდ ჯერჯერობით სარწმუნოებრივი ფანატიზმი მაინც ძლიერია ჩვენს ხალხში. საუკუნოებით ჩანერგულსა და შესისხლხორცებულ სიყალბეჭ ერთბაშად ვერ აღმოვფხვრით.

— ამ საკითხში საჭირო არის ფრთხილად წასვლა და მტკიცედ დარტყმა — შევნიშნავ მე.

— დიახ, დიახ, ვეთანხმებით; წამებულის შარავანდელი სამღვდელოებისათვის პირდაპირ ხსნა არის. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მას სიტყვითა და მეცნიერებით.

ძირს ყველა ბატონი — ნამდვილი და მოგონილი.

ნამდვილმა ბატონმა თავისი მდგომარეობის გასამაგრებლად გამოიგონა ზეციერი ბატონი და უნდა მართალი მოგახსენოთ: ამისი მსგავსი — ხალხის დასაძინებლად ჯერ არაფერი გაუმოუგონებიათ.

ხუმრობა ხომ არ არის, ადამიანმა გამოიგონა ღმერთი და ამ მოჩვენებას თაყვანსა სცემს, საკუთესო სახლებს უშენებს, ყოველგვარ სისაძაგლეს

ითმენს მისი სახელით, ათასგვარ სისულელეს სჩაღის
მისი გულისათვის და მონის ულელს საუკუნოებით
ატარებს მისი შიშით.

მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლებისა და
ბედნიერებისათვის აუცილებელია ამ მოჩვენების გა-
ნადგურება, გონიერივი მონობა ყველაზედ უსაშინე-
ლესი მონობაა.

— ამ მონობის მოსასპობად დიდი კულტურული
მუშაობა არის საჭირო.

ესეც შიდა—რუსეთი!

— აქ სწარმოებდა გაცხოველებული სამოქალაქო
ომი დენიკინის დროს—მეუბნება ჩემი ნაცნობი ქალი.

— ვნახოთ თუ, კიდევ არის დარჩენილი ოაიმე
კვალი და ნიშანი,—ვამბობ ჩემს გულში.

ვათვალიერებ სადგურს, მიღამოებს, შენობებს,
საწყობებს.

რისი სამოქალაქო ომი, საქმე არა გაქვთ!

იყო და არა იყო რა!.. გაპტარა, თითქოს სრულე-
ბით არ ყოფილიყოს: ძლიერ აღმშენებლობითი მუ-
შაობას წაუშლია მისი ყოველგვარი კვალი.

მშრომელ ხალხს აქვს უნარი დანგრევისა, რაც
დასანგრევია, ხოლო ახალის აშენებაც შეუძლია.

საღლაა ძველი ხატები საღგურზე. მათ ალაგას ახლა
წამოჭიმულია აგიტ-პუნქტი, პოლიტბიურო და სხ.

მატარებელი მიგვაფრენს რუსეთის ველ-მინდვრებზე. ჩემს ყურადღებას სოფლები იზიდავენ.

მე მახსოვს ნიკოლოზის დროს ძველი ქოხები შიდა-რუსეთის სოფლებში: წკნელით მორაგული და ტალახით შელესილი კედლები, ისლის სახურავი. აქა-იქ ახლაც შეხვდებით ასეთს სახლებსაც; უფრო ხშირია კი აგურის, ქვის, ძლური სახლები, კოხტა ფანჯრებით, კრამიტით ან თუნუქით დახურული.

მინდვრებში შიგა-და-შიგ დაინახავთ ტრაქტორს, სამკალსა და სალეჭ მანქანას, სათესს.

— ყოველივე ეს განა წინეთ არ იყო? — იტყვის ზოგი მკითხველი.

იყო, მაგრამ მაშინ ამგვარი იარაღებით და მანქანებით სარგებლობდენ მემამულეები, ახლა-კი გლეხები.

მატარებელმა უკლო.

რა მიზეზია, რა მოხდა?

— ახალი ხიდია ოკაზე სერპუხოვთან და მატარებელმა ნელა უნდა გაიაროს, — გვეუბნება ერთი მგზავრი.

იქვე ხიდთან მდინარის მეორეზე სადგურია: მატარებელი გაჩერდა და ჩვენ საშულება მოგვეცა დაგვეთვალიერებია უზარმაზარი ხიდი. ხიდი ერთი კი არ არის, არამედ ორია, რადგანაც ლიანდაგიც

ორია. გაწოლილა ორივე მოსიყვარულე ქმებივით
და თავისი დიადი სანახაობით თვალსა ჰქიბლავს.
აღნაგობით თვითეული მათგანი მოგაგონებსთ მუხ-
რანის ხიდს, მაგრამ მათთან შედარებით მუხრანის
ხიდი ბავშის სათამაშოს წარმოადგენს. იქვე არის
ხელუხლებლად ძველი ხიდი, ნიკოლოზის ხიდი, რო-
მელიც ახალი ხიდების გვერდით ბოგირილაა მხო-
ლოდ.

ლითონის ლირები, სვეტები, გადასაკიდები, ბო-
ძები და სალტები ერთმანეთს გადაჭდობიან, გადაჰ-
ხვევიან და ჩაჭიდებიან მრავალ თაღებათა და ხვეუ-
ლებათ ახალ ხიდებში.

აი ერთად, გვერდიგვერდ ძველი და ახალი რე-
ჟიმი.

გაუქროლეთ საუცხოვო ტყეებს, გადავჭერით ბო-
სტანთა მწვანე ველები და გამოჩნდენ ქარხნების მი-
ლები, შემდეგ შენობათა მწვერვალები.

— ესეც ჩვენი მოსკოვი, — გაისმა ხმა. მოსკოვი,
მოსკოვი!

მე მიყვარს მოსკოვი, რადგანაც მასთან დაკავში-
რებულია ჩემი მრავალი განცდანი, ჩემი ახალგაზ-
რდობის საუკეთესო წლები, მეცნიერული შრომა,
მომზადება, სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა,
ოცნებანი, გატაცებანი...

ეეჰ, კარგია ახალგაზრდობა!
ესეც კურსკის სადგური.

გამოვდივარ, არც ერთი „ვანკა“, ესე იგი. ცალ-
ცხენა ეტლი,—ავტომობილები, ტაქსები, ერთსარ-
თულიანი და ორსართულიანი ავტობუსები, რომ-
ლებიც ტრამვაის ვაგონებს მოგაგონებენ

დავდეჭი სასტუმროში შუა გულ ქალაქში,
რომ უკეთ დამემთვალიერებია ყველაფერი.

სხვათა შორის, ხშირად გამიგონია: მოსკოვში სა-
სტუმროები საშინელი ძვირიაო.

რა მოგახსენოთ, მე-კი იაფად ვიშოვე საუკეთე-
სო ალაგას მშვენიერი ოთახი.

დილაა,—არ მინდა, უქმად დავკარგო დრო.
საჩქაროდ გამოვიცვალე ტანისამოსი და შევუდე-
ჭი მოსკოვის დათვალიერებას. აი ნაცნობი ქუჩები,
ბალი. აი აქ გამოჩენილი ფილიპოვის მაღაზია იყო.
ეგერ—აბრიკოსოვისა, ელისეევის, რა იქნენ, სად
არიან?

მოსკოვში ყოველივე კერძოს ალაგი დაუთმია სა-
ზოგადოსათვის. კერძო მაღაზიას ძვირად შეხვდე-
ბით,—ყველგან კოოპერატივია სხვადასხვა სახელწო-
დებით; ვიტრინებში საქონელი ბევრია.

ვინ სთქვა, მოსკოვში ყველაფერი საშინელი ძვი-
რიაო. ყველაფერი ბევრად უფრო იაფი, ვიდრე

ჩვენში. მაგ. თფილისში წამოსვლისას პერანგი ვრუიდე შვიდ მანეთად კერძო მაღაზიაში. სრულებით იმგვარსავე პერანგში მივეცი მოსკოვის. ერთ კოოპერატივში სამი მანეთი და სამი აბაზი. პური მოსკოვში რამდენიც გნებავთ და იაფი. თბილისში რომ კერძო საშაქარლამოში ბულკში მისცემთ ოცდაოთხ კაპეიკს, მოსკოვში იგივე ბულკი ლირს კოოპერატივში თერთმეტი კაპეიკი.

აი კუთხეში დიდი მაღაზია; ვათვალიერებ. ბიჭის! ქართული წიგნები, სომხური, ებრაული, თათრული, ოსური.

რა ამბავია? წიგნები საბჭოთა კავშირის ერებისა. ნეტავი ახლა სტოლიპინი და პობედონოსცევი წამოაყენა ზეზე და ყოველივე ეს დაანახვა. რამდენ ხანს და რა გააფორებით ებრძოდნენ ისინი რუსეთის ერების განთავისუფლება და განათლებას, მაგრამ ამაოდ.

ჭეშმარიტებამ მაინც გაიმარჯვა. იგრიალა ოქტომბრის რევოლუციამ და დღეს საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქში მთელი მაღაზია არის ფედერაციის ყველა ერების ენაზე დაწერილ წიგნებისათვის.

აი აგერ დიდი წითელი სახლი. მახსოვს, მახსოვს ძალიან კარგად აქ ბრძანდებოდა მისი უმაღლესობა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი.

ახლა? აბა ვნახოთ:

„მოსკოვის საბჭო მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატებისა“.

ნეტავი ახლა გააცოცხლა რევოლიუციონერების მიერ სიკვდილით დასჯილი სერგეი და პლევე და ეს წარწერა დაანახვა!

სასახლის წინ მოედანზე ამართულია რევოლიუციის ძეგლი და იქით დიდი ლენინის ინსტიტუტი.

ძეგლი ლამაზია, დიდებული, მაგრამ რუსეთის რევოლიუციის ქმედობასა და გაქანებას ვერ იძლევა.

ლენინის ინსტიტუტი საუცხოვოა, როგორც ნიმუში ახალი სტილისა; სიმარტივე და სინათლე, აირა არის შიგ მოცემული.

აღმშენებლობა ჩქარის ნაბიჯით მიღის წინ მოსკოვში. ახალ შენობათა შორის მეტად საყურადღებოა ტვერის ქუჩაზე ახალი ფოსტა-ტელეგრაფი. უზარმაზარი შენობა გაღის სამ ქუჩაზე და კედლების ნაცვლად მთლად შუშებია; შიგა და შიგ სვეტებად დატანებული კედლები მხოლოდ ჩარჩოებია დიდი ფანჯრებისათვის. ჩვენს ხუროთმოძღვრებს ბევრს რასმე ეტყვის და ასწავლის ეს შენობა.

სიარულსა და თვალიერებაში შთაბეჭდილება შთაბეჭდილებას ცვლიდა და კარგა დროს გაევლო.

თუმცა ავთანდილ მხეცქმნილი
ტირილითა და ხვნეშითა,
ეგრეცა ჭამა მოუნდის
აღამისტომთა წესითა.

სატირალი და სახვნეშავი არა მქონია რა,—პირ-
იქით, გაფაციცებით ვათვალიერებდი ყოველიფერს,
მაგრამ „ეგრეცა ჭამა მომინდის“ მეც.

დავუწყე სასადილოებს ძებნა, „ვეგეტერიანული
სასადილო“, „კავკასიური“, „ევროპიული“, „დიე-
ტიური“—აი წარწერები. აქ ბევრი რამ არის ახა-
ლი და მეტად მნიშვნელოვანი.

არის ადამიანი, რომელსაც ხორცეული სწყენს,
მისთვის საჭიროა ვეგეტარიანული საჭმელი.

არის ავადმყოფი, რომელსაც კუჭი სტკივა, ნა-
წლავები, თირკმელები და სხვა; მისთვის აუცილე-
ბელია შერჩეული, განსაზღვრული, ანუ დიეტიური
საჭმელი.

ყოველივე ამას განათლებულ ევროპაში თქვენ
მხოლოდ კურორტებზე იშვით, ქალაქებში ვერა.

მოსქოვში-კი ამგვარი სასადილოები ყოველი ფე-
ხის გადადგმაზეა. ამას აქვს ერთი უპირველესი მნი-
შვნელობა. მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის მოს-
კოვში ეს განხორციელებულია, ბერლინში-კი თითო
ოროლა ვეგეტარიანული სასადილოა..

მოსკოვში საშინელი მოძრაობაა; ხალხი ბუზივით ირევა ტროტუარებზე, მაგრამ თქვენ აქვერ ნახავთ ზანტ სიარულს უსაქმური ადამიანისას. ან გაჩერებულ ჯგუფებს.

აქ ყველა მიიჩქარის, ყველა სადღაც მიეშურება; ყველას საქმე, ზრუნვა, ფიქრი აქვს აღბეჭდილი სახეზე. თქვენ აქვერ ნახავთ მდიდრულად გადაპრანგულ ქალებს, გაბზეკილ არისტოკრატებს, გაბლენძილ ბურჟუებს, ყოველივე ეს წარვიდა, გაპერა.

სუფთად, უბრალოდ და სადათ აცვია ყველას.

მოსკოვში მოძრაობს, მუშაობს, საქმეს აკეთებს, შრომობს ხალხი.

წინეთ მოსკოვი იყო გენერლების, ბიუროკრატების, მემამულეების, ვაჭრების ქალაქი.

ახლა-კი მოსკოვი არის მშრომელი ხალხისა. სახალხო ქალაქი.

მოსკოვში შესანიშნავია ზოოლოგიური ბალი თავისი სივრცით, მოწყობილობით, სიმდიდრით და მრავალგვარობით. რა ცხოველსა ან ფრინველს არა ნახავთ აქ, მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია თავისუფლად გაშვებული ვეფხები და ლომები. მოზრდილი ვაკე შემოზღუდულია ერთის მხრით ხელოვნური კლდეებით, მეორეს მხრით განიერი და მაღალი თხრილით, რომელშიაც წყალია დაგუბებული.

თხრილი და კლდეები მხეცებისათვის გარდუვალია, ისინი თავისუფლად დანავარდობენ ვაკეზე და კლდეებში; მაყურებელიც თავისუფლად და გულდა-შვებით აღევნებს თვალს მათს მოძრაობას, მიხერა-მოხვრას, თამაშს, გადახტომას.

იშვიათია სპილო თავისი სიდიდით.

მოსკოვის ძვირფას საგანძურს წარმოადგენს სამ-ხატვრო გალერეია, მაგრამ მისი აღწერა შთაბეჭ-დილებათა სახით შეუძლებელია.

როგორც — კი გავიხედ-გამოვიხედე მოსკოვში და ზერელედ თვალი გადავავლე, მაშინათვე გავეშურე ლენინის მავზოლეუმის დასათვალიერებლად, მაგრამ შიგ შესვლა ძალიან გამიძნელდა, რადგანაც მსურ-ველი ბევრი იყო.

აქ ყველაფერი უბრალოა, სადა, მარტივი და მა-ვზოლეუმის მთელი სილამაზეც ამაშია: ლენინიც უბ-რალო და სადა იყო კერძო ცხოვრებაში.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს თითქოს მშვიდად სძინავს დიდი შრომის შემდეგ და მავზო-ლეუმის მთელი აღნაგობა, სტილი, სწორი ხაზები განხორციელებული სიწყნარეა, სიჩუმე, რათა მოქა-ნცულ ბელადს ძილი არასფერმა დაუფრთხოს.

მოსკოვი წარმოადგენს ცეცხლის მქშინავ მთას, რომელიც გრგვინავს და წალექვას უქადის ყოველი-

ვე ძველსა და დრომოჭმულს, რათა გზა გაუკაფის ყოველივე ახალსა და მშრომელი ხალხისათვის სასარგებლოს.

ამ მთამ მძღავრად ამოხეთქა ჩემი ჩასვლის მეორე-დღეს: ეს იყო საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე.

ტვერის ქუჩის სიგრძით კრემლისაკენ მთელი ექვ-სი საათი შეუწყვეტლად მოსრიალებდა ახალგაზრ-დობის დაუსრულებელი ტალღა. ვარაუდით ორას ათასზე მეტი იყო, როგორც ამბობდნენ.

ვის არ დაინახავდით ამ აღფრთოვანებულ ტალ-ღაში.

აქ იყვნენ რუსები, ებრაელები, პოლონელები, გე-რმანელები, ქართველები, სომხები, ოსები, ფრანგე-ბი, ჩინელები, იაპონელები, ოსმალები—ერთი სიტ-ყვით ყველა ერის წარმომადგენლები.

ბრწყინვალე თვალები, სპეტაკი სახე, დაჭიმული კუნთები, მტკიცე ნაბიჯი, იშვიათი წესრიგი—ყო-ველივე მოწმობდა, რომ საერთაშორისო ახალგაზ-ზრდობამ იცის თავისი მიზანი, ესმის თავისი მოწ-დება და სწამს თავისი გამარჯვება.

მთელი ეს ახალგაზრდობა, მოზღვავებული დედა-მიწის ყოველი კუთხიდან, ფიცსა სდებდა მავზოლე-უმში მოსვენებული ბელადის წინაშე, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იმის საქმეს დაიცავდა.

შთაბეჭდილება მეტისმეტად ძლიერი იყო. ჰეშმა-
რიტად მოსკოვი ინტერნაციონალური ქალაქია მე-
ბრძოლი პროლეტარიატის, ახალგაზრდობისა და
ყველა დააჩვრულისა. მოსკოვი უდიდესი ქურაა
მსოფლიო რევოლუციისა.. აქ იჭედება ყველა ქვეყ-
ნის მშრომელთა და დააჩვრულთა ბედი.

ქარიშხალის ავარდნილ ტალღებში ისახება აქ
ახალი ცხოვრება!

სამწუხაროდ, ჩემს განკარგულებაში არ იყო საკ-
მაო დრო, რომ მოსკოვი ჯეროვნად დამეთვალიე-
რებია, ბევრი რამ არის აქ ახალი, რასაც ევროპის
დიდ ქალაქებში ვერ ნახავთ.

მოსკოვში თუ რამე კეთდება, მხოლოდ და მხო-
ლოდ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. ამ მხრივ
შესანიშნავია მოსკოვში დასვენებისა და განათლე-
ბის ბალი, რომელიც ცნობილ „ვორობილების მთებს“
უერთდება; საუცხოვოდ არის მოწყობილი, ყოველ-
გვარ სპორტს აქვს საპატიო ადგილი და ყოველ-
გვარი ზომაა მიღებული, რომ ადამიანმა აქ სხეუ-
ლითა და გონებით დაისვენოს, გაერთოს, ბევრი
რამ ნახოს, გაიცნოს და მოიკრიბოს ახალი ენერგია
ახალი შრომისათვის.

მოსკოვი დიდი პერსპექტივების მაჩვენებელია, დი-
დი შესაძლებლობით დატვირთული, დიადი მომავა-
ლის მჭედელი.

მრავალი შთაბეჭდილებითა და განცდით დატვირთული გამოვემგზავრე მოსკოვიდან ბერლინს.

ამ გზით მე გამივლია მხოლოდ ერთხელ კარგანის წინეთ. მაშინ მე გამაკვირვა სოფლების სიღატაკემ. მაშინ ასეთი წარმოდგენა მქონდა: რაც უფრო ახლოს არის რუსული სოფელი დასავლეთ ევროპასთან, მით უფრო უკეთ უნდა იყოს მოწყობილოთქმ.

ჩემი წარმოდგენა არ გამოდგა. სწორი: ხის ქოხები ისლით დახურული — აი მაშინდელი სურათი.

ახლა ასეთ სურათს ველარ ნახავთ: ამგვარი ქოხები თანდათან ჰქრება და მათ ალაგას წამოჭიმულან კოხტა პატარა სახლები ფანჯრებით, აგურის ძელური ხის კედლებით და კრამიტის სახურავით. საზღვარს რომ მიუახლოვდებით, მოსახლეობა შერეულია, ნახევრად პოლონური. ამიტომ სადგურებზე წარწერა პოლონურადაც არის, რუსულადაც.

მგზავრთა შორის არის ერთი სპარსელი; მოდის თავრიზიდან ბერლინს.

უკანასკნელი სადგური რუსეთის საზღვარზე არის ნევორელოე; აქ ათვალიერებენ მგზავრებსა და ბარგს.

რაც უფრო ვუახლოედებით საზღვარს, მით უფრო მოუსვენრობა ემჩნევა ჩემს სპარსულს. თანამგზავრს, ნერვიულობს.

— მართლა მკაცრად ჩხრეკენ ნეგორიულოეში? — მექითხება ის.

— ვერაფერს ვერ გეტყვით, რადგანაც არ ვიცი, — ვუპასუხებ.

— ამბობენ, სულ გაგატიტვლებენო, ცოტა სიჩუმის შემდეგ მეუბნება სპარსელი.

— რასაც გაიგონებთ, ყველაფერს ნუ უჯერით; მაშინ უფრო დამშვიდებული იქნებით, — ვარიგებ მე.

— მე სპარსეთის ქვეშევრდომი ვარ და ნება არა აქვთ, რომ სასტიკად დამიშყონ ჩხრეკა.

— თქვენ ნუ ლელავთ, თორემ შეგატყობენ და იფიქრებენ, რომ მართლა რაღაც მიგაქვთ ნამალევად და უკანონოდ.

— მე ისე გეკითხებით თორემ არაფერი არა მაქვს ცოტადენი ფულს გარდა.

მე არ ვიცი, რა აღელვებდა ჩემს სპარსელს, ხოლო მისი შიში სრულებით უნიადაგო გამოდგა.

თბილისში, გზაზედაც ბევრნაირი ჭორი გამიგონია საზღვარზე გასინჯვის შესახებ: ყველაფერს გადმოანგრევენ და აგიფორიაქებენ, ტანისამოსს მთლად ერთიანად გაგხდიანო და სხვადასხვა.

ყოველივე ეს გამოდგა მტკნარი ტყუილი და ჭორი.

არსად და არასოდეს მე ისე რიგინად, თავაზიანად და ზრდილობიანად არ მომჰყრობიან საზღვარზე, როგორც ნეგორელოეში,—და მარტო მე კი არა, ყველა მგზავრებს. ბარგის ანგრევას, აფორიაქებას, ტანისამოსის გახდას, ადამიანის ღირსების რაიმე დამამცირებელ მოქცევას სრულებით არ ჰქონია ადგილი.

მხოლოდ ერთ ქალს აღმოაჩნდა რაღაც ნამალავი და იმისთვის, მართალია, თავზე ხელი არ მოუსვიათ. მაგრამ ამგვარ შემთხვევაში ვინ მოგვეპყრობა ნდობით? ჩემი სპარსელიც გადარჩა.

— რა ზრდილობიანი ყოფილან, რა კარგები!

— დიდხანს იმეორებდა ის შემდეგ.

პირველი სადგური პოლონეთის საზღვარზე გახლავთ სტოპცი.

„პოლონელებმაც თავაზიანად გაშინჯეს როგორც მგზავრები, ისე მათი ბარგი; მხოლოდ მათს შეკითხვებში, ჩხრეკაში, გამოლაპარაკებაში მხედრული განწყობილება სუფევს; ყოველი პოლონელი მოხელე ყველათერში ჰბაძავს სამხედრო პირს.

მე მქონდა მხოლოდ ხელბარგი. პოლონეთის საზღვარზე ყველათერი ბაგაჟად მიმაცემის.

ბაგაჟის გადასახადი აქ ბევრად უფრო დიდია, ვიდრე საბჭოთა კავშირში და რაც კავშირის გზებზე სულ ხელით ვატარე და კაპეიკი არსად გადამიხდია, იმისი გატანა პოლონეთზე დამიჯდა საკმაოდ საგრძნობი თანხა.

— პოლონეთის ხაზინის საქმე რომ კარგად იყოს, ჩემი ხელბარვი ბაგაჟად არ გაიხრდებოდა — ვიფიქრე მე.

ასე გასინჯეთ, ჩემი ერთი კოლოფი ხიზილალა, რომელიც ნახევრად ამოჭმული იყო და პურის ნამცეცებით სავსე, საბარგო ვაგონში შეაბრძანეს დიდის ამბით.

კოლოფის დანახვაზე ერთმა მოხელემ დაცევიტა ყურები და დააშტერა გადიდებული თვალები.

— რა ვქნა, ეს ჩემი კოლოფი ყუმბარად ხომ არ მოეჩვენა-მეთქი, — ვიფიქრე.

— აა, კავიარ, კავიარ! — დასჭყივლა მან და სტაცა ჩემს კოლოფს ხელი. იქით ის ეწევა, აქეთ მე. მაჯობა და გამომგლიჯა ხელიდან, აჰედა, დაჰედა.

— არ შეიძლება ხელით წალება, ბაგაჟში უნდა მისცეთ — გამომიცხადა.

მე ვამტკიცებ და ვუსაბუთებ, რომ ეს ჩემი საგძალია და არა გასაყიდი საქონელი.

— ხომ ხედავთ: ამოჭმულია, შიგ პურის ნაშტი-
ცები ჰყრია — აღარ ვეშვები მე.

— სულ ერთია, ჩვენს გზაზე ამისი ჭამა არ შეი-
ძლება.

— შე კაი კაცო, მე რომ ჩემი ხიზილალა თბილი-
სიდან წამოლებული პოლონეთის რკინის გზაზე ვჭა-
მო, ამით რა დაგიშავდებათ?

— ჩვენ არაფერი არ დაგვიშავდება, მაგრამ თქვენ
დაგიშავდებათ, — მეუბნება.

— გნებავთ, გასინჯეთ და იგემეთ: დარწმუნდე-
ბით, რომ წამხდარი არ არის და არცა მწყენს.

— თქვენს ჯიბეს აწყენს, — ღიმილით მეუბნება
პოლონელი მოხელე..

— როგორ?

— როგორ და თუ თან წაილებთ საჭმელად, უნდა
გადაიხადოთ სამოცი გერმანული მარკა (ჩვენებურად
სამ ჩერვონცამდე).

— შე მამაცხონებულო, ოთხი მანეთი თბილისში
მიმიცია, ნახევარი უკვე შემიჭამია და ამ ორი მა-
ნეთის ხიზილალაში ოცდაათ მანეთს მახდევინებ, სა-
დაური სამართალია?

— მაშინ ბაგაუად მიეცით და გადაიხდით მხო-
ლოდ რამოდენიმე მანეთს.

ასე დასრულდა ჩემი საწყალი ხიზილალის თავგა-
დასავალი პოლონეთში.

როგორც იქნა, დაიძრა მატარებელი; მივლავ-მო-
ვლაგდით. იგივე მგზავრები, იგივე ნაცნობები.

ესეც „თავისუფალი“ პოლონეთი!

მატარებელი მიჰქონის და თვალწინ ცეკვითა და
ტრიალით მისდევენ ერთმანეთს პოლონეთის ბუ-
ნების სურათები. თითქმის იგივე, რაც რუსეთისა:
ველები, მინდვრები, დაცემული ტრამალები, შიგა
და შიგ ტყე.

ჩემთვის განსაკუთრებით ხაყურადღებოა „თავისუ-
ფალი“ პოლონელი გლეხის ყოფაცხოვრება.

სოფლების სურათი განმეორებაა, სრული ასლია
იმისი, რაც იყო რუსეთში ნიკოლოზის დროს: ხის
სახლები, ისლით გადახურული, ფანჯრების ნაცვ-
ლად სარქმელი. ვფიქრობდი, რაც უფრო დავშორ-
დებით საზღვარს და მივუახლოვდებით სატახტო ქა-
ლაქს, სურათი თანდათან შეიცვლება—მეთქი.

ჩემი მოლოდინი არ გამართლდა: ვარშავის მი-
დამოებშიაც იმგვარივე სოფლები, ისეთივე სახლები,
როგორიც დაშორებით მცირეოდენ გამონაკლისს
გარდა.

პოლონეთი უმთავრესად სამეურნეო ქვეყანაა. თუ
კი მიწის მუშა აჭ წელში ვერ გამართულა, აშკარაა

პოლონეთის სასოფლო მეურნეობა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. პოლონეთმა „თავისუფლება“ მიიღო, ის ახლა „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა არის; თითქოს აქ ტარდება სხვადასხვა რეფორმა, სხვათა შორის მიწის რეფორმაც.

ურემი კი ისევ იქ დგას, პოლონელი კი გლეხი წელში ვერ გაიმართა.

აშკარაა, მარტო ეროვნული „თავისუფლება“ არა კმარა გლეხის კეთილდღეობისათვის, საჭირო არის კლასობრივი თავისუფლებაც.

პოლონეთის გლეხმა ვითომ მიიღო ეროვნული თავისუფლება, მაგრამ კლასობრივად ის ისევ მონა არის.

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ.

სხვისიც გვმართებს სამსახური.

ვისი სამსახური ჰმართებს პოლონელ გლეხს?

მემამულის, კაპიტალისტის, ქსენძის. პოლონელი გლეხი ამდენ ბატონს ემსახურება, ამდენ მუქთა ხორას არჩენს. ახლა დაუმატეთ ამას შემდეგი გარემოება: პოლონეთის გლეხს „დამოუკიდებლობა“ მეტად ძვირად უჯდება. პოლონეთი დღეს წარმოადგენს სამხედრო ბანაკს. აუარებელი ჯარის (800.000 კაცი) შენახვა მოითხოვს აუარებელ ხარჯს, რაც ისევ პოლონელ გლეხს და მუშას აწვება კისერზე.

მძიმე ტვირთად. ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკ-
ვირალია, რომ პოლონელი გლეხი წელში იყოს გაწ-
ყვეტილი.

ძილმა ფრთხები შეახო ჩვენს თვალებს. ქუთუთო-
ები დამძიმდენ, ფიქრსა და ოცნებას ნელნელა გადა-
ეფარა რუხი ზეწარი და მალე სიჩუმე და სიწყნარე
გამეფდა ყველგან.

— გაიღვიძეთ, მალე გერმანიის საზღვარზე. მი-
ვალთ, — ისმის ვაგონის გამყოლის ხმა.

წამოვიშალეთ ნელნელა და მოვემზადეთ გერმანე-
ლების შესახვედრად.

გაჩერდა თუ არა მატარებელი, ვაგონები გაივსენ
უანდარმებით, შესაძლებელია ყველა არ იყო უან-
დარმი, მაგრამ ყველა ისე იყო გამოწყობილი, გაჭი-
მული, შემოსალტული, ყველას ისეთი მიხვრა-მოხვრა
ჰქონდა, სამხედრო ელფერი, გამომეტყველება, მოძ-
რაობა, რომ უანდარმები გეგონებოდათ.

— ჰოპ, ჰოპ, ჰოპ, ჰოპ! — მესმის. თურმე პასპო-
რტებსა თხოულობდნენ, მაგრამ პასპორტს იმგვა-
რად გამოთქვამენ, რომ „ჰოპ — ჰოპ“ ისმის მხო-
ლოდ.

ალბად გამოთქმის მხედრული ყაიდა ჰქმნის ასეთს
მსგავსებას.

მოპყრობა მეტისმეტად ზრდილობიანი, თავაზიანი.

ბარგს ოდნავ გადაავლეს თვალი, მხოლოდ პოლონელებისა არ იყოს, ესენიც ხიზილალას ჰკითხულობდენ.

თუ გინახეს ბაჟი და მისი ჯანი, მისხალს მანეთად დაგიჯენენ!

ჰაი გადი ჩვენო ხიზილალა! თურმე როგორ ფეთდებიან შენზე პოლონელები და გერმანელები!

ბარემ აქვე მოგიყვებით ჩემი ხიზილალის თავგადასავალის დასასრულს.

ჩავედი თუ არა ბერლინში და მოვითხოვე ჩემი ბარგი, ყველაფერი დამანებეს. მაგრამ ამ ჩემ მუცელგამოჭმულ ხიზილალას სტაცეს ხელი და იმდენი ბაჟი გადამახდევინეს, რომ ჩვენში გირვანქა ხიზილალას კი არა, მთელ ორაგულს იყიდიდით იმფასად.

მატარებელი ერთ საათს იქნება გაჩერებულიო, გამოაცხადეს სადგურზე.

ვიფიქრე ერთი საათი ვაგონში რა უნდა გავაკეთო — მეთქი; გადავწყვიტე ძირს ჩასვლა და იქაურობის დათვალიერება.

ჩავედი, გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და უცებ მესმის უკან ყვირილი. მივტრიალდი, — უშველებელი ჟანდარმი ხელების ქნევით მორბის ჩემსკენ.

— პასპორტების შემოწმებამდე ნება არ გაქვთ
ძირს ჩამოხვილეთ, — მეუბნება ისე, თითქოს ყოველი
სიტყვა გრდემლზე გამოჰყავს კვერითო.

მეტი რა ჩარაა, დავბრუნდი უკანვე ვაგონში. კი-
დეც დაგვირიგეს პასპორტები და კიდეც დაიძრა
მატარებელი.

გერმანიაში სადგურებზე ზარი არ იციან. გამოვა
სადგურის უფროსი, უკან მოჰყვება რამოდენიმე კა-
ცი—ალბალ თანაშემწენი. ყველას ისე აცვია, ყველა
ისე დაღის, რომ ვერაფრით ვერ გაარჩევთ სამხე-
დრო პირებში. სადგურის უფროსი აძლევს მემანქა-
ნეს წასვლის განკარგულებას ისეთი კილოთი, თი-
თქოს ოფიცერი იდგეს ჯარისკაცების წინაშე და
ბრძანებას აძლევდეს.

თქვენ საზღვარზედვე ისეთ შთაბეჭდილებას იღებთ,
რომ გერმანელს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი სამ-
ხედრო დისციპლინა, მიხვრა-მოხვრა, განწყობილება,
წესრიგი.

გერმანელის ბუნება მხედრულია, გერმანული სი-
ტყვა ლითონის ნატეხია.

მატარებელი გერმანიის მიწა-წყალზე მიჰქრის.
ბერლინამდე ბუნება იმგვარივეა, როგორიც რუსეთის,
პოლონეთის: ვაკე, ველები, მინდვრები. მაგრამ არ
ითიქროთ, რომ მთელი გერმანია ასეთია, — არის

ისეთი კუთხეებიცა, სადაც მთაგორიანი ადგილები ჩვენს ბუნებას მოგვაგონებსთ.

გერმანია ძალიან მდიდარია ტყით, ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით აქ საუცხოვო წიწოვან ტყეს. ოქვენ გვინდიათ, ყველა ტყე ბუნებრივია? უმეტესი ხელოვნურად არის გაშენებული. აგერ პატარა ნერგები, ეგერ უფრო მოზრდილი, შემდეგ ტანწერწეტა ტყე, იქით — კი თანდათან უფრო მსხვილი, მაღალი და ხნიერი.

ყველგან ტყე იჩენება გეგმიანად და გაჩეხილ ადგილზე შენდება ახალი ტყე.

ტყე ყველგან საუცხოვოდ არის გაწმენდილი; შიგა-და-შიგ გზებია. სიარული შეიძლება მხოლოდ ამ გზებზე, სხვაგან აკრძალულია.

გერმანელს უყვარს ტყე, მან იცის ტყის ფასი და მნიშვნელობა; ამიტომ ის ტყეს უვლის და მთავრობას ეხმარება ტყის დაცვაში.

ჩვენმა გლეხმა ბევრგან უგუნურად გაანადგურა ტყე. ამან გამოიწვია ამინდის შეცვლა ასეთ ადგილებში: ქარი, გვალვა, ნიაღვარი.

გლეხმა მაინც ვერ შეიგნო ჯერ ტყის უდიდესი მნიშვნელობა და ზოგჯერ შემოგჩივლებს: მთავრობამ ნამეტანი შეგვავიშროვა, ტყეს აღარ გვაჩეხინე-

ბსო, ე. ი. ჩვენებურად რომა ვთქვათ: აღარ გვანა-
დგურებინებსო.

ეგერ შარა-გზები; ორივე მხარეზე ხეებია ჩამწკრი-
ვებული, უმეტეს ნაწილად ხეხილი; ხეხილის მოსა-
ვალი ხმარდება გზის შეკეთებას და შენახვას. ამი-
ტომ ამ ხეხილს არავინ არ ახლებს ხელს, არც დიდი,
არც პატარა:

მერე რა მოვლილი გზა, რა დატკეპნილი! რაც
უნდა ნიაღვარი იყოს, არ ატალახდება. ყანებში
მამაკაცებთან ერთად მუშაობენ კოხტად ჩაცმული
ქალები. ხელის ქნევითა და მხიარული სახით გვი-
სალმებიან უცნობ მგზავრებს.

კართოფილი, კართოფილი და კართოფილი! მე-
ტად ბევრია, მთელი მინდვრები. გერმანელს ის პუ-
რის მაგიერობას უწევს ხშირად.

აი სოფლებიც. ყოველი მათგანი გეგმიანად არის
გაშენებული, განიერი ქუჩებია, ნამდვილი ქუჩები;
თითო სართულიანი, ორი და სამსართულიანი ქვის
სახლები კრაშიტით გადახურული; ბევრგან ელექ-
ტრონის განათება.

გერმანიაში სოფლები პატარა ქალაქს მოგაგო-
ნებენ თავის გარეგნობითა და მოწყობილობით.
გლეხი აქ ცდილობს იცხოვროს რიგიანად და ისარ-
გებლოს კულტურის ყოველგვარი მონაპოვარით.

მატარებლიდან ბევრგან ვხედავთ სახლის თავებზე
სოფლებში რაღიოს სვეტებს: მუშაობის შემდეგ
გლეხი ისმენს თავის სახლში რაღიოოთი კონცერტს,
ლექციას, ოპერას და სხვ.

საერთოდ გერმანელი მეტისმეტად პრაქტიკული
ადამიანია. ოცნება მას არ უყვარს და, თუ ოდესმე
ოცნებობს, მაშინაც პრაქტიკულ საკითხებსა და სა-
გნებზე.

ცხოვრების რაც შეიძლება კარგად მოწყობა, აი
უმთავრესი საზრუნავი და საფიქრებელი გერმანე-
ლისა.

მართლაც გერმანელი გლეხი ჩვენს გლეხზედ გა-
ცილებით უკეთა ცხოვრობს. მას აქვს კარგი გზა,
კარგი ბინა, კარგი განათება, უკეთესი საზრდო,
უკეთესი საქონელი, ცხენი; მას აქვს ცოდნა, იცის
მიწის უკეთ დამუშავება და სხვ.

ახალმა ცხოვრებამ ჩვენს გლეხსაც გაუხსნა გზა
უკეთესი მომავლისაკენ და მასა აქვს სრული შესაძ-
ლებლობა დაეწიოს გერმანელ გლეხს, მხოლოდ ამი-
სათვის საჭირო არის საბჭოთა წყობილების მტკიცე
დაცვა, ცოდნა, შრომა და შრომა.

გამოჩნდა ქარხნების მილები, კვამლი, სახლების
მწვერვალები და მატარებელი შეიჭრა ბერლინში.

ბერლინში ექვსი თუ ცხრა საღვურია გამწკრივებული. უნდა იცოდეთ სად ჩამოხტეთ. მატარებელი შიგ ქალაქში გადის. ამისათვის ლიანდაგი არის საკმაოდ ამაღლებული და ქუჩებზე ხიდებია გადებული.

მოძრაობა რკინის გზაზე მეტად ხშირია. ყოველ წუთს შემოდის და გადის ბერლინიდან მატარებელი.

ბერლინი დიდი ქალაქია. ის რომ სრულად აგიწეროთ, მთელი დიდი წიგნი გამოვა. ამას დასჭირდება ბერლინში ერთი წლის ცხოვრება; მე კი უკვე მომწყინდა უთბილისოდ.

ბერლინი გაშლილია ვაკე ადგილზე და გარეშემოც სულ დაცემული ველი აკრავს: არც აღმართი არც დაღმართი, არც მთა, არც ბორცვი.

შუაში ჩამოუდის მდინარე შპრე, რომლის ორივე ნაპირები ქვითკირით არის საუცხოვოდ ამოშენებული და გამაგრებული. მდინარეს ვერ შეატყობით, მიდის თუ დგას.

ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი ოთხ მილიონ ნახევრამდე აღწევს.

როგორ წარმოსდგა ბერლინი?

იყო პატარა ბერლინი და გარეშემო პატარ-პატარა ქალაქები: ფრეიბურგი, პოტსდამი, შარლოტენბურგი და სხვ. ეს პატარა ქალაქები თანდათან გაიზარდნენ, შეუერთდნენ ძველ ბერლინს და ამგვა-

რაღ წარმოსდგა ახალი ბერლინი. ბერლინის გაცნობა ერთი თვალის გადავლებით შეიძლება ფუნქტურმიდან.

ეს გახლავთ სახლი ოთხფეხზე დამაგრებული რკინის კოშკისა, რომლის სიმაღლე უდრის 120 მეტრს. იქიდან რომ გადმოიხედავთ, მთელ ტანში ურუანტელი დაგირჩენსთ, ფეხები მოგიდუნდებათ და ოდნავ თავბრუ დაგესხმისთ.

რაღა უნდა იყოს პარიზში ეიფელის კოშკიდან გადმოხედვა, რადგანაც მისი სიმაღლე 300 მეტრს უდრის! მთელი ბერლინი გაიშლება თქვენი თვალის წინ, როგორც ხელის-გულზე: ზღვა არის ქუჩებისა და სახლებისა; ნაპირები შორს, შორს ცის ტატნობს უერთდება. ბერლინი საერთოდ გეგმიანი ქალაქია, ქუჩები ლარივით სწორი. ჩიხებს ვერ ნახავთ...

III

ბერლინში, როგორც თითქმის ყველა დიდ ქალაქში, ორი ნაწილია: ძველი და ახალი. ძველში ქუჩები ვიწროა, ახალში კი განიერი.

ქუჩები სულ დაგებულია ასთალტით, ალაგალაგ კი ხითა და ბრტყელი ქვით. ზოგიერთი ქუჩის სიგრძე 8-10 ვერსია. ტროტუარები განიერი და

წვრილი, ბრტყელი ქვით მოკირწყლული ახალ ნაწილში ტროტუარებზე ბევრგან ბალჩებია; ქუჩის ორივე მხარეზე ხეებია ჩამწკრივებული, შუა ქუჩაზე — ხეივნები და ბალჩები მწვანე მოლით. სახლებში ყოველ ბინას აქვს პატარა აივანი, რომლის მოაჯირზე ჩაყოლებულია სხვადასხვანაირი ყვავილი.

აივანზე ყვავილების მორწყვა ნებადართულია ლამის ათ საათზე. ასე რომ თუ ამ დროს ფრთხილად არ იქნებით ქუჩაში სიარულის დროს, გაიწუწიებით.

ხეები, ბალჩები, ხეივნები, მოლი და ყვავილები მეტად ალამაზებენ ბერლინს. მთავარი ქუჩები განათებულია ელექტრონით, დანარჩენი — გაზით.

ქუჩების განათება უკეთესია თბილისში ზაჰესის შემდეგ, ვიდრე ბერლინში, გარდა იმ ნაწილებისა, სადაც დიდი სავაჭრო მაღაზიებია. აქ ელექტროს შუქი უხვად არის გამოყენებული რეკლამებისათვის და მაღაზიები, მათი კედლები, ფანჯრები მართლაც აელვარებული არიან. ქუჩაში ეტლს ვერ ნახავთ: ელექტრონის ტრამვაი, ავტომობილი, ავტომობილიტაქსი, ერთსართულიანი და ორსართულიანი ავტობუსები, მიწის-ქვეშა ელექტრონის მატარებელი და საქალაქო რკინის გზა — აი რითი მოძრაობს ბერლინი.

ავტომობილების რიცხვი ბერლინში აღმატება, როგორც ამბობენ, ორას ათასს.

მიწის-ქვეშა შატარებელი აძლევს ბერლინს ყოველდღიურად ოთხას-ათას მარკაზე მეტს, ე. ი. ჩვენებურად ორას ათას მანეთს. ახალ წელიწად დღეს კი მიწის-ქვეშა რკინის-გზა, ტრამვაი და ავტობუსები აძლევენ ქალაქს ორ მილიონ მარკას. ბერლინის შუაგულში ავტომობილების მოძრაობა ხშირია და ერთ ალაგას გაჩერებული მილიციელი ხელების ქნევით საუცხოვოდ განაგებს და მართავს ამ მოძრაობას.

ყველაფერი და ყველა ემორჩილება მას. ის არის ქუჩის წესრიგისა და წესიერების ლოტბარი. და მცველი.

ეტლს ბერლინში ვერ შეხვდებით. ამბობენ სულ რამდენიმე ეტლილაა დარჩენილი და ახალის გამოშვება ბირჟაზე აკრძალული ყოფილა.

ამგვარად მეტლეთა ამქარი ბერლინში უკვე გაპქრა, სულ რამდენიმე მოხუცი წარმომადგენელი-ლა დარჩენილია.

ეტლით შორს მოგზაურობა აქ არაჩვეულებრივი ამბავია.

აი ერთ-ერთი მაგალითი ამისი.

ბერლინში ჩამოსვლის მესამე თუ მეოთხე დღეს მივდივარ მთავარ ქუჩაზე. დილის ათი საათია. ტროტუარებზე ჩამომწკრივებულია მთელი ქუჩის სიგრძე-

ზე, რაც რამოდენიმე ვერსს უდრის, აუარებელი ხალხი: ქალი, კაცი, დიდი, პატარა. ბევრს ყვავილები და თაიგულები უჭირავს.

ვიფიქრე, რამე დემონსტრაცია იქნება მუშებისა მეთქი, მაგრამ მაინც შევეკითხე ერთს დასარწმუნებლად.

— ნუთუ არ იცით, გაზეთებში გამოცხადებულია: დღეს ორ საათზე რკინის გუსტავი ბრუნდება ბერლინში.

ეს ისეთის კილოთი მითხრა, რომ შემჩრევა და ველარა ვკითხე: ვინ არის რკინის გუსტავი-მეთქი.

გერმანიაში არის ფაშისტების ორგანიზაცია „ფოლადის მუზარადი“; ალბად ეს გუსტავი მისი მეთაურია-მეთქი. გადავწყვიტე ჩემს გუნდებაში, ვიყიდე გაზეთი, დავდექი განზე. გადავათვალიერე. მართლაც რკინის გუსტავი უშველებელი ასოებით იყო დაბეჭდილი.

ახლა არ იკითხავთ, ვინა ყოფილა ეს გუსტავი?

ჩვეულებრივი, მოხუცი მეეტლე, რომელიც ორ აპრილს თავისი ეტლით გამგზავრებულა ბერლინიდან პარიზს და ათ სექტემბერს კი უკანვე ბრუნდებოდა. გერმანელების თვალში ეს ისეთი გმირობა იყო, რომ მას განსაკუთრებული სახელი დაარქვეს: „რკინის გუსტავი“, „ლოკარნოს გუსტავი“. მისი

შემოსვლა ბერლინში ნამდვილი დღესასწაული იყო. აღტაცებული ხალხი, რომელიც მთელი ექვსი საათი უცდიდა მას ქუჩაზე, ვაშას გრიალით შეეგება, ყვავილებით და თაიგულებით შეამკო.

გუსტავმა მიიღო აუარებელი საჩუქარი ფულით, ავტომობილებით და სხვა.

ქუჩების რიცხვი ბერლინში ექვსი ათასზე მეტი ყოფილა. ქუჩებზე იშვიათი კისუფთავეა: დღე რამდენჯერმე რწყავენ სარწყავ ავტომობილებით და კვირაში ორჯერ-სამჯერ კარგად რეცხავენ ავტომობილებით. სახლები უმთავრესად ხუთი და ექვს-სართულიანია, წითელი ან მიწისფერი კრამიტით გადახურული; ბევრია ქვის სახლი, ხოლო იშვიათ გამონაკლის გარდა, ყველა ერთნაირია, ერთფეროვანი სტილის. უმთავრესი ფერი კედლებისა — ლითონი.

მთელი ბერლინი ლითონის ქალაქი გეგონებათ. აქ მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს სიმტკიცეს: ლამაზია ის, რაც მტკიცეა.

გერმანიის მისწრაფებაა, ყველაფერი ისე გააკეთოს, რომ მტკიცე იყოს, დაუძლეველი, ბუმბერაზი.

ლითონის ქუჩები, ლითონის კედლები, ლითონის სახურავი ჩემზე მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი სიმკაცრით. აქ თითქოს გრძნობა დატყვევებულია, მხიარულება განდევნილია, ოცნება ჩახშული.

მრისხანე ქალაქი — აი პირველი შთაბეჭდილება.

ქუჩები გაჭიმული არიან ერთფეროვანად და სწორად; სახლები მთებივით არიან დამკვიდრებული ერთფეროვანად — ერთნაირ სტილზე, ხეები სწორად გამწკრივებული ქუჩის პირებზე — გეგონებათ თითქოს სამხედრო მწყობრში იყოს ყველაფერი ჩამდგარი: ქუჩაც, სახლიც, ხეც.

უზარმაზარი ყაზარმა — აი პირველი შთაბეჭდილება ბერლინისა.

მაგრამ როდესაც ბერლინს გაეცნობით, მიეჩვევით იმის ლითონის ფერს, მხედრულ წესრიგს, შემდეგ და შემდეგ რწმუნდებით, რომ ბერლინი მეტად ლაზი ქალაქია.

სილამაზე გერმანელს სხვანაირად ესმის, ვიდრე ჩვენ. უაღრესი სისუფთავე, გეგმა, წესრიგი, სიმაგრე, გამძლეობა, ხე, ყვავილი და ბალახი — აი სილამაზე გერმანელისათვის. სწორედ ასეთი არის ბერლინი. სახლის ყოველი აივანი, ტროტუარი, ქუჩა, ყოველი მოედანი შემკულია ყვავილებით, მწვანე მოლით და ხეებით.

ფეხბურთის სათამაშო და ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშობის მინდორი დაფარულია სქელი და გადათიბული მოლით. რომ თამაშის დროს მტვერი არ დადგეს.

ქუჩაზე რომ გადადიხართ, მტვრიან ნაფეხურსა
სტოვებთ, იმდენად მოკრიალებულია ქუჩა.

ბერლინში ორ მილიონამდე ხე ითვლება და რომე-
ლიმე ხის კანზე რომ თქვენი გვარის ამოჭრა მოინ-
დომოთ დანით, დიდ შეურაცხყოვას მოგაყენებენ:
იმიტომ, რომ გერმანელს უყვარს ხე.

ბერლინის შუაგულში მოთავსებულია ბერლინის
ფილტვები.

რა არის ეს ფილტვები?

საუცხოვო და დიდი ტყე. ერთი გზა ამ ტყეში
წარმოადგენს გოგენცოლერნების ისტორიას ქანდა-
კებებში: ჩამწკრივებული არიან მეფეები და ყოველ
მათგანს თან ახლავს ორი საუკეთესო მინისტრი,
პოლიტიკური მოღვაწე მისი დროისა, ან მეცნიერი.

მარმარილოს ქანდაკებანი ეკუთვნის საუკეთესო
მოქანდაკეთ და დადგმულია ვილჰელმ მეორის ბრძა-
ნებით. ისტორია უნდა დასრულებულიყო მისი ქეგ-
ლით, როდესაც ის ომში გამარჯვების შემდეგ მი-
იღებდა ვილჰელმ დიდის სახელწოდებას, მაგრამ
ბედმა საშინლად უღალატა.

და დღეს იმის სატახტო ქალაქში გერმანიის მუ-
შები სწერენ სრულებით სხვა ისტორიას.

გერმანელს საშინლად უყვარს ძალლი და ბერ-
ლინში ძვირად შეხვდებით უძალლო ოჯახს — ქუ-

ჩაში ქალიც, კაციც მიაპროწიალებს ძალლს, ბულვარებში ხომ იდენივეა ძალლი, რამდენიც აღამიანი. უნდა მოგახსენოთ, ამდენი უშნო ძალლი მე არ მინახავს არსად.

განსაკუთრებით პატივშია მოზრდილი, რუხი და გულყვითელა ძალლი, გრძელი თავითა და აცქვეტილი ყურებით.

ძალიან წააგავს მგელს. აქაური მწყემსი ძალლია. ამბობენ, ჭკვიანი ძალლიაო. ომის ღროს ღიღი სამსახური გაუწევია ამ ძალლს გერმანიისათვის დაჭრილთა პოვნასა და საველე ტელეფონის გაყვანაში: ტელეფონი პირით მიჰქონდა და ისე სწრაფად გაძვრებოდა ბრძოლის ველზე, რომ მტერი ვერ ამჩნევდა.

განზრახულია, ამ ძალლს — ძეგლი დაუდგან ასეთი თავგანწირული სამსახურისათვის.

ცქუჩიში ნახავთ ასეთს სურათს. დგას ან ზის ბრძანებაზეთებს ან პაპიროსს ჰყიდის; მეტად იშვიათ შემთხვევაში მოწყალებასა თხოულობს. მაჯაზე მიბმული ჰყავს მწყემსი ძალლი, რომელიც წყნარად არის მოკალათებული იმის ფეხებთან. როდესაც უსინათლო ბინისაკენ წასვლას დააპირებს. ძალლი წინ წაუძლვება და მიჰყავს. ქუჩაზე გადასვლის ღროს ძალლი შედგება და ითვალიერებს, ავტომობილი ხომ არ მოდისო. როდესაც დარწმუნდება, რომ შეიძლე-

ბა უკნებლად გადასვლა, ძალლი გასწევს და მიჰყავს უსინათლო. თუ ამ დროს მაინც წამოეწია ავტომობილი. ძალლი ჩაუწვება უსინათლოს ფეხებში და ამით ატყობინებს: არ დაიძრაო; შოთერი შეჩერდება, გვერდს აუქცევს; მაშინ ძალლი წამოხტება და განაგრძობს გზას.

უსინათლო საზოგადოდ ბევრია ბერლინში. უმეტესობა მსოფლიო ომის მსხვერპლია.

მათხოვარი კი სრულებით არ არის: დღეში ერთხელ თუ სადმე წააწყდებით. ყველა უმწეოსა და შრომის უნარ-დაკარგულს ქალაქი ინახავს.

ბერლინში ძალიან ბევრია ლითონი — სადა მარმარილოს ძეგლი მოედნებზე, ბალებში, სახლების კედლებში, სახურავზე. ბერლინის ტყეში მთელი კუთხეა მხეცებისა და ნადირების ძეგლებისა.

ვილჰელმის სასახლესთან ახლოს არის ქანდაკება იმპერიალისტების მიერ მოში დალუპულ ჯარისკაცთა მოსაგონებლად: გაშიშვლებულ ჯარისკაცს მთელი კუნთები დაჭიმული აქვს და წინ უტევს, მაგრამ გულზე უკვე მტრის ხიშტები აქვს მიბჯენილი, მარჯვენა ხელში კი ხმალი შუაზე გადატეხია.

მიცვალებულს ბერლინში ვერ დაინახავთ. ბერლინში გავიწყდება, რომ სიკვდილი არსებობს.

დახურული ავტომობილით შოიტანენ კუბოს. ლა-
მის ცხრა-ათ საათზე დახურული ავტომობილითვე
გააქანებენ მიცვალებულს ეკლესიაში ან კრემატო-
რიუმში, მისი ან შინაურების სურვილის შიხედვით,
დილით მივლენ შინაურები და ნათესავები და მიც-
ვალებულს ან დაასაფლავებენ, ან დასწვავენ.

საუცხოვო წესია და აუცილებელია მისი შემოღე-
ბა ჩვენშიაც.

ჩქარი მოძრაობა ბერლინში იწყება დილის შვი-
ლი საათიდან და გასტანს ლამის ათ საათამდე; შემ-
დეგ თანდათან ნელდება. თერთმეტი საათის შემ-
დეგ ხმაურობა, ყვირილი, სიმღერა რესტორანში,
ბინაზე, ქუჩაში აკრძალულია.

ჩვენში რომ გათენებამდე ქეიფი, ყვირილი,
სიმღერა, ცეკვა და ლრიანცელია თქვენს გვერდით
ან მალლა, თქვენ — კი ლოგინში შამფურივით ტრი-
ალებთ და ბრაზით გულზე სკდებით, ბერლინში ამის
ნებას არავინ მოგცემთ: შუალამედდე ყოველგვარი
ქეიფი და ხმაურობა უნდა გათავდეს, რადგანც
ხალხი შრომობს, დილით აღრე დგება და ლამე მო-
სვენება უნდა.

— ქუჩებში უსათუოდ მიაქცევთ ყურადღებას: პატა-
რა ბავშებს ორ-სამ წლამდე ყველა გარეთ დაატა-
რებს პატარ-პატარა ეტლებით. როგორი ამინდიც

უნდა იყოს, ყოველდღე რამდენიმე საათი ბავშვია
ჰაერზე უნდა გაატაროს.

ჩვენში დედას დღემდე ვერ შეუგნია ასეთი აღ-
ზრდის დიდი მნიშვნელობა, პაპანაქება სიცხეში ჩა-
ჰქონდავს ყველა ფანჯრებს და ისე დააძინებს ბავშვს.

ქუჩებში ხშირია სანოვაგით ვაჭრობა, უფრო ხში-
რად კი ხილით.

ბერლინში ხილი შემოდის სამხრეთ გერმანიიდან
და სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ აქაური ხილი საკმაოდ
უგემურია.

ყოველგვარი სანოვაგე აქ უფრო ძვირია, ვიდრე
ჩვენში: კარგი ხორცი ჩვენებური გირვანქა 50 — 65
კაპ., საშუალო ქათამი — 3 მანეთი, კვერცხი — 8 —
20 კაპ. თითო; შაქარი ცოტა ნაკლებს ფასობს, ვი-
დრე ჩვენში, თეთრი პური გირვანქა 15 კაპ., ბინა
ძვირია და სხვ. საქონელი ბერლინში ძალიან ბევ-
რია, მაგრამ ომის წინა-დროსთან შედარებით ყვე-
ლაფერი ძალიან გაძვირებულია. შედარებით იაფია
აქ ფეხსაცმელები, წინდები, ჩულქები, ტანისამოსი.

გერმანული ფულის ძირითადი ნიშანი მარკაა. ისე
როგორც ჩვენში მანეთი. მარკა უდრის ათ შაურს,
იმ მარკებით, რომელსაც გერმანელი მუშა ან ჩვეუ-
ლებრივი მოხელე ილებს, ბერლინში ცხოვრება ძა-
ლიან ძნელია.

ბერლინში ძალიან გავრცელებულია კაფეები და რესტორანები: ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდები. ყავა და ლუდი, — აი უმთავრესი სასმელი: ერთიცა და მეორეც საქმაოდ გაძვირებულია. ჭიქა ლუდი, რომელიც ომამდე ჩვეულებრივად შაური ღირდა, ახლა ღირს თორმეტი კაპეიკი და საუკეთესო — ოცდასამი კაპეიკი. ნუ დაივიწყებთ, რომ ლუდი გერმანიისათვის პირველი საჭიროების სანოვაგეს შეაღგენს. გერმანიისათვის ლუდი იგივეა, რაც კახელი-სათვის ღვინო. გერმანელი მუშა ლუდს აუცილებლად სვამდა ყოველდღე. დღეს კი ამის საშუალებას მოკლებულია და კვირაში ერთხელ თუ დალევს.

ბერლინში გავრცელებულია კინო. არის ბევრი საუცხოვო კინო, აგებული და მოწყობილი თეატრის მსგავსად, მაგალითად, კინო უნივერსუმი, რომელიც იტევს ორ ათასამდე მაყურებელს. არის გერმანული ფირმები, უფრო ხშირად-კი ამერიკული.

მოგეხსენებათ, კინომრეწველობაში ამერიკას პირველი ადგილი ეკუთვნის. ის ცდილობს, რომ ეს პირველობა ხელიდან არ გაუშვას (ეს არ გახლავთ თავ-მოყვარეობის საკითხი, არამედ ფულის, შემოსავლის), ამიტომ როდესაც-კი გამოჩნდება ეკრანაში გამოჩენილი კინო-მსახიობი, ამერიკა დააყრის აუარებელ ფულს და გადიტყუებს. ამ ნიადაგზე მეტოქეობა

„ბიძია სომ“-თან შეტად ძნელია, რადგანაც ამერიკა ოქროში იღრჩობოდა.

ხშირია აქ სურათი რუსეთის ცხოვრებიდან და რევოლუციიდან.

საერთოდ გერმანიაში მეტად დიდი ინტერესია საბჭოთა კავშირისადმი. ფილმები „პატიომკინი“ და „ათი დღე, რომელმაც ქვეყნიერება შესძრა“ — აი, რას იგონებენ დღესაც ალტაცებით ბერლინის მუშები.

თუ დაუმატებთ ამას იმ გარემოებას, რომ გერმანიამ რეიხსტაგში აირჩია 64 დეპუტატი — კომუნისტი, მაშინ ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვანია: გერმანია თავისებური სიდინჯით და აუჩქარებლად მიიწევს მარცხნით.

ბერლინის სამხატვრო გალერეია მოსკოვისას ბევრად ჩამოუვარდება. ამბობენ, მიუნხენში, დრეზდენში გაცილებით უკეთესიაო.

ბერლინი არის პოლიტიკური ცენტრი გერმანიისა თორემ კულტურის სხვადასხვა დარგში აქ ბევრი ცენტრია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ გერმანია წარმოადგენს კავშირს სხვადასხვა სამეფოებისა და სამთავროებისას და რა თქმა უნდა, ყოველ სამეფოს ჰქონდა თავისი სატახტო ქალაქი, თავისი ცენტრი, რომელსაც ის განსაკუთრებით ამშვენიერებდა.

გერმანია გაერთიანდა პრუსიის მეთაურობის ქვეშ
და პოლიტიკურ ცენტრად მთელი გერმანიისათვის
პრუსიის დედაქალაქი ბერლინი გადაიქცა, მაგრამ
სხვადასხვა კულტურული ცენტრი დარჩა გერმანიაში.

ამიტომაც ბევრი რამ ხელოვნების, მეცნიერების,
ტეხნიკის დარგიდან სხვა ქალაქებში უკეთ არის
წარმოდგენილი, ვიდრე ბერლინში.

კარგი არის ბერლინში ზოოლოგიური ბაღი. მე-
ტად მდიდარია ის მაიმუნების სხვადასხვა ჯიშით.
საყურადღებოა აქ დიდი სპილო რომელმაც ოცდა-
ორი თვის ფეხმძიმელის შემდეგ აგერ ახლა ილო-
გინა და პატარა სპილოთი გაახარა ბერლინელები.
საერთოდ კი აქაური ზოოლოგიური ბაღი მოსკოვი-
სას ჩამოუვარდება.

სამაგიეროდ აქ მეტად კარგია აკვარიუმი, ნიან-
გების, მწერებისა და შამიანი გველების განყოფი-
ლება. შუშის კედლების საშუალებით შეგიძლიათ,
საუცხოვოთ გასინჯოთ ზოგის ცხოველები, ათასნა-
ირი თევზები, უზარმაზარი კუ, ვეება გველები, ზან-
ტად გაწოლილი ნიანგები და სხვ.

შესანიშნავია ბერლინის პლანეტარიუმი. აქ თქვენ
უყურებთ ნამდვილ ცას ყველა მისი ვარსკვლავებით,
ნისლოვანებით, პლანეტებით და სხვ. უკვირდებით
მათს მოძრაობას, მზის ჩასვლასა და ამოსვლას, მთვა-

რის განახლება-დაძველებას და სხვ. ყოველივე ეს იმდენად მიემგვანება სინამდვილეს, რომ გეგონებათ: მაისის ღამეში გარეთა ვარ და მოკაშვაშებულ ცას შევცემო.

პლანეტარიუმში აუარებელი ხალხი დაიარება. ახ-სნა-განმარტებას იძლევი ლექტორი.

IV

გერმანია არის ქვეყანა მძიმე ინდუსტრიისა. ბე-რლინს ამ მხრივ ერთი უპირველესი ადგილი უჭი-რავს. ამ დარგის მუშების რიცხვი აქ რამდენიმე ასი ათასია. მარტო სიმენსის მრეწველობაში ჩამდუ-ლია ას ხუთი ათასი მუშა დაახლოებით: ეს ხომ მთე-ლი ქალაქია. სამუშაო დღე უდრის 9—10 საათს. მუშაობა არის მეტის მეტად ინტენსიური. მძიმე ინ-დუსტრია მოითხოვს მეტად ვიწრო სპეციალიზაცი-ას. არის მაგალითად ინჟინერი ვინტებისა; ვინტე-ბის მეტი მან არაფერი იცის.

არის მთელი რიგი მუშებისა, რომლების სპეცია-ლობა ნემსის წვერის წაქლიბებაა. ნემსებს ელექტრო-ნის მანქანა ატრიალებს მუშის წინ სწრაფად და მუშაობის დროს მთელი მისი ყურადღება ნემსები-საკენ არის მიპყრობილი, განზე უბრალო გახედვაც არ შეუძლია, რადგანაც სამუშაო წახდება.

როდესაც ასეთი წვრილმანი და ოან მთელი ყურადღების მშთანთქავი სამუშაო დიდხანს გრძელდება, მუშა გამოიფიტება, მისი გონებრივი ინტერესების რკალი თანდათან ვიწროვდება და პატარავდება, როგორც თვითონ მისი საქმე; ბოლოს და ბოლოს მუშა თავსდება პატარა ნაჭუჭუში და ამ ნაჭუჭს იქით მას ალარაფერი ალარ აინტერესებს.

ამრიგად მძიმე ინდუსტრია ჰქონდა მუშაში ადამიანს, გაქანებას, აზროვნების ფრთხების გაშლას უპობას მას.

ამის თავიდან ასაცილებლად მუშები ხშირად გადაჰყავთ ერთი საქმიდან მეორეზე; მაგრამ ერთ წვრილმანიდან მეორე წვრილმანზე გადასვლა იმავე შედეგს იძლევა. გარდა ამისა, ერთ წვრილმან საქმეში დახელოვნებულ მუშას სულ ხშირად არა სურს მეორე საქმეზე გადასვლა.

მეტად კვალიფიციური მუშა იღებს ჩვეულებრივად ხუთმეტ ჩერვონეცს თვეში. აქედან უნდა იცოდეთ, რომ არაკვალიფიციური და შავი მუშის ხელფასი მცირეა.

ახლად კურსდამთავრებული ინჟენერი აქ სამსახურს იწყებს ან სრულიად უჯამაგიროდ, ან 7—8 ჩერვონეცად თვეში.

დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ ომშა და დიდ-
მა ვალმა გერმანიაში ცხოვრება ძალიან გააძვირა.
მაშინ ცხადი იქნება, თუ რამდენად უჭირს ცხოვ-
რება ბერლინში მუშასა და დაბალ მოხელეს, ინტე-
ლიგენტს. აქ ნახავთ გამოცდილ ინუინერს, ექიმს,
კარგ მეცნიერს, რომლებსაც დღიური საჭიროების
მინიმუმი ვერ დაუკმაყოფილებიათ.

ამავე დროს თქვენ იცით, რომ გერმანია მდიდა-
რი ქვეყანაა, ინდუსტრია აქ სწრაფად იზრდება.
ამასწინად ბერლინში გაიმართა რადიო-გამოფენა
და განცვიფრებას მგვრიდა გერმანიაში გამოგონი-
ლი და გაკეთებული რადიო-აპარატები, იარაღები
და მოწყობილობანი. რადიო-ბოძები სახლის თავე-
ბზე აქ უკვე ჩაბარდა ისტორიას. მთელი რადიო-
აპარატი წარმოადგენს პატარა ყუთს, წაიღებთ ხე-
ლით თან, მომართავთ და უსმენთ მთელ სამყაროს.
სურათების გადაცემა შორეულ მანძილზე, შორეუ-
ლი ადგილების, ქალაქების დანახვა რადიოთი უკვე
მიღწეულია გერმანიაში.

მეცნიერებით შეიარაღებული ტეხნიკა გერმანია-
ში სწრაფად მიაბიჯებს წინ. აიღეთ საფრანგეთი.
გამარჯვებული ქვეყანაა, მაგრამ წელში ვერ გაიმა-
რთა და ვერა.

გერმანია დამარცხებული ქვეყანაა, მაგრამ სწრა-
ფად მოლონიერდა, ააგუგუნა ქარხნები, ცეპელინე-
ბსა და ჯავშოსნებს აშენებს.

ყოველივე ეს ჰქმის და აგროვებს აუარებელ სი-
მდიდრეს.

მაშ, სად შიდის, სად გროვდება ეს სიმდიდრე?
ბურუუაზის ჯიბეში.

თქვენ იქნებ-ფიქრობთ, რომ ბურუუაზის შემო-
სავლის დიდი ნაწილი ვალების გადახდას უნდე-
ბათ!

გულუბრყვილობაა.

ბურუუაზია გერმანიის სახელმწიფო ვალით კი
არაფერს ჰქარგავს, არამედ იგებს და აი როგორ.
ამ ვალს ის ადებს საქონელს, აკლებს მუშის ხელ-
ფასს, აგრძელებს იმის სამუშაო დღეს და ამრიგად
ვალს იხდიან მუშა და მომხმარებელი, ბურუუაზიას-
კი ზედმეტი მოგება!

ამიტომ ბერლინი მსხვილი ბურუუაზიის ქალაქია.
აქ ყველაფერი არის ბურუუაზიისათვის.

თქვენ აქ ნახავთ საარაკო რესტორანებს, სადაც
გათენებამდე შამპანიური სჩქეფს, ზანგები უკრავჭნ
და მლერიან. თქვენ აქ ნახავთ იშვიათ გარყვნილე-
ბის ბუღეებს ბურუუაზიისათვის, მაგალითად არის
რესტორანი, სადაც თქვენ იხილავთ მდიდრულად

მორთულ ქალებს, მხოლოდ ესენი ქალები კი არ
არიან მართლა, არამედ მამაკაცები. ტანისამოსი,
მიხვრა-მოხვრა, სიარული, ხმა, ლაპარაკი, სიცილი,
სახე, სახის გამომეტყველება — ყოველივე ქალური
აქვთ.

ვის უნდა ამისთანა გაქალებული მამაკაცები?

ბურუუებს, რომლებსაც გარყვნილების ხანგრძლივ
პროცესში ნამდვილი ქალი მობეზრდათ, მოყირჭ-
დათ და ქალად მიბნედილ ვაჟებში ეძებენ დაკმაყო-
ფილებას.

სამაგიეროდ ნახავთ რესტორანს, სადაც ქალებს
ვაჟურად აცვიათ და ლაპარაკით, სიარულით, მიხ-
ვრა-მოხვრით, მოპყრობით ვაჟებში ვერ გაარჩევთ.

ვის უნდა ამისთანა გავაჟებული ქალები?

ბურუუების ცოლებს, რომლებსაც გარყვნილების
მორევში მამაკაცები მოპეზრდათ და ვაჟურად გა-
მოწკეპილი ქალებით ცდილობენ დაჩლუნგებულ
ჟინის გაღიზიანებას.

ლირდა განა ამისთვის რევოლიუციის მოხდენა?

ბერლინის კაფე-რესტორნებში გავრცელებულია
ცეკვა. ცეკვას ყველა განსაკუთრებულ პატივშია
„ჩარლსტონი“ და „ბოსტონი“. აქ არ არის სილა-
მაზე, კეთილშობილი რხევა, მოძრაობა და მიხვრა-

მოხვრა. არის მხოლოდ ცმუკვა, ფეხების მოუთმენელი კანკალი და ერთმანეთზე ხახუნი სასქესო ადგილებით.

ყოველივე ეს ნაყოფია ბურუუაზის გემოვნებისა.

ბერლინის მშვენებას შეადგენენ საუცხოვო საავადმყოფები და კლინიკები. გასაოცარი სისუფთავე, უალრესი წესრიგი და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა—აი, რას იხილავთ აქ. შესანიშნავად არის აქ დაყენებული რენტგენელოგია და რენტგენოდიაგნოსტიკა.

საექიმო დარგში ისე, როგორც წარმოებებში, გამეფებულია მეტად ვიწრო სპეციალიზაცია: არის გამოჩენილი ექიმი მარტო გულისა, მარტო კუჭისა, მარტო ლვიძლისა და სხვ.

დიდ ქალაქში თითქმის ხუთმილიონიანი მცხოვრებით ეს ბუნებრივია, საჭირო და აუცილებელი.

რომელიმე პატარა დაბაში ექიმმა ყველაფერი უნდა იცოდეს. აქ დიდ ქალაქში კი შეიძლება ბუასილის წამლობა იცოდეს მხოლოდ და მუშაობას თავს ვერ ართმევდეს.

აფთიაქები აქ კერძოა. სალამოს შვიდი საათიდან და კვირა-უქმე დღეს ყოველთვითეულ თავ წამალზე ერთ მარკას ჩედმეტს ახდევინებენ.

უმაღლესი სასწავლებელი ბევრია. სტუდენტობაში დღესაც ძალიან გავრცელებულია დუელი. გერმანელ სტუდენტს უსათუოდ უნდა ჰქონდეს რამდენიმე ჭრილობა სახეზე. უფრო იჭრებიან მარცხენა მხარზე: მოქნეულ ხმალს თუ მოპირდაპირემ თავი მოარიდა, გადაჭხარა, დალუნა და სხვ., ეს უდიდესი სილაჩრე და სირცხვილია. ამიტომ ყოველი სტუდენტი წინდაწინვე ვარჯიშობს, რომ თავი მიაჩვიოს ხმალის შეხვედრას და ასეთი სირცხვილი არა სჭამოს.

დუელის იარაღი არის მხოლოდ ხმალი. უშენენ ერთმანეთს თავში და სახეზე. თვალები დაფარულია.

თქვენ გგონიათ, დუელისათვის საჭიროა ჩხუბი, შეურაცხყოფა და სხვა რამ ამგვარი მიზეზი? სრულებითაც არა.

დუელი გერმანელი სტუდენტისათვის არის სავალდებულო, მას უსათუოდ უნდა ჰქონდეს „გმირობის“ დალი სახეზე; ამიტომ გავრცელებულია ამხანაგური დუელი; ერთი მეორეს გამოიწვევს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთი თავში ან სახეზე დასჭრან და ამით გახდენ გერმანელი სტუდენტის სახელის ტარების ღირსი.

ქალი წინეთ უნივერსიტეტში არ შედიოდა აქ; მათთვის იყო განსაკუთრებული სასწავლებლები, სადაც ღებულობდნენ ოჯახში საჭირო და გამოსაღეგ

ოდნას, დღეს კი გერმანელი ქალი უმაღლეს სასწავლებელსაც დაეწაფა.

გერმანიაში დღეს ბევრია ქართველი სტუდენტობა, არის ბერლინშიაც. უმეტესობა სწავლობს პოლიტეხნიკუმში. დამოკიდებულება ქართველებსა და გერმანელებს შორის ძალიან კარგია, თუ ეს დამოკიდებულება არ გააფუჭა ფულის საკითხმა: ჩვენს სტუდენტობას ფული მოსდის ძალიან ცოტა, ისიც არა მუდმივად; ამის გამო ყველა დავალიანებულია.

ბერლინში არსებობს ქართული კოლონია, რომლის თავმჯდომარედ პავლე საყვარელიძეა არჩეული.

გერმანიაში მყოფი ქართული სტუდენტობის მატერიალური მდგრადირეობის გაუმჯობესობა სერიოზული საკითხია; მას უსათუოდ აქვს ცოტაოდენი პოლიტიკური მნიშვნელობა და ამიტომ კოლონიის თავმჯდომარემ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ამ მდგრადირეობის გაუმჯობესობას.

ქართველი ემიგრაცია ბერლინში ძალიან მცირე რიცხოვანია, რუსული — საკმაოდ დიდია.

რას აკეთებენ რუსი-ემიგრანტები? ხმაურობენ, ფაფხურობენ, მტვერს აყენებენ — ეს გახლავთ ნაცარქექიობა.

გამოდის აქ „Руль“, გაზეთი. მემარჯვენებისა. სიცრუისა და ჭორების მეტს შიგ ვერაფერს ნახავთ.

ეს ბუნებრივია. სინამდვილე შათი დამტკიცელია. ამიტომ ჭორებში უნდა ეძიონ ხსნა და შეწუხებული გულის დაყუჩქება, ემიგრაციის მდგომარეობასა და ფსიქოლოგიას ვინც გაეცნობა, დარწმუნდება, რომ ამგვარ პირობებში ყოველგვარი ჭორი ერთგვარი მაღამოა.

მომაკვდავს და განწირულს უნდა სწამდეს, რომ ის სულ მალე განიკურნება და აღსდგება, რადგანაც ასეთი რწმენა სიკვდილის შიშს აქარწყლებს და ტანჯვას ანელებს. ემიგრაციის ფსიქოლოგიის და შინაგანი განწყობილების თავისებურობით აიხსნება ის „გარემოებაც, რომ „Руль“-ში გასავალი აქვს ყოველგვარ ჭორს საბჭოთა კავშირის შესახებ.“

ნათქვამია: „წყალწალებული ხავს ეკიდებოდა“—ო. ყოველგვარი ჭორი აქ ხავსის დანიშნულებას ასრულებს და ემიგრაციაც ხარბად ეჭიდება ამ ხავსს. მას უნდა, მას სწყურია დაჯეროს თავისი თავი, რომ ყოველივე ეს ჭორი კი არ არის, არამედ ცოცხალი სინამდვილე და რომ ის მალე დაბრუნდება რუსეთში.

„Руль“-ი ასრულებს კიდევ ერთ დიდ საქმეს: ყოველ-დღე აცხადებს სად და როდის არის მწირველი მიტროპოლიტი ევლოლი. აი მაგალითი:

„ღვთის მსახურება რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში გარდენბერგ-შტრასეზე № 19: შაბათს, 15 სექტემბერს, ლოცვა სალამოს 6 საათზე; კვირას, 16 სექტემბერს — ლიტურლია (წირვა) დილის 10 ნახევარ საათზე. ხუთშაბათს, 20 სექტემბერს — ლოცვა სალამოს 6 საათზე. პარასკევს, 26 სექტემბერს — ღვთისმშობლობას — წირვა დილის 10-ნახევარ საათზე. ლოცვას დღესასწაულის წინ და წირვას 21 სექტემბერს შეასრულებს მიტროპოლიტი ევლოლი“.

ამას მოსდევს განცხადება მეორე რუსული ეკლესიის წირვა-ლოცვისა.

აი როგორ ერთობა და იყოლიებს თავს რუსული ემიგრაცია.

როგორი არის დამოკიდებულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის? გერმანია დღეს ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მას მოკავშირე ესაჭიროება. მისთვის საიმედო დასაყრდნობს საბჭოთა ფედერაცია წარმოადგენს, ამიტომ ორიენტაცია აღმოსავლეთზე გერმანიისათვის აუცილებელია.

გერმანიის ხალხს ეს ძალიან კარგად აქვს შეგნებული და გათვალისწინებული. ბერლინში საბჭოთა კავშირს დიდის სიმპატიით იხსენიებენ და ყოველივე რუსული მოსწონთ. თუ კინო-სურათი რუსუ-

ლი ცხოვრებიდან არის აღებული დარბაზი მუდამ გატენილია ხალხით.

ძალიან დიდ ინტერესს იწვევს ბერლინში რუსეთის ლიტერატურა, ერთის სიტყვით ყველგან და ყველაფერში ემჩნევა, რომ გერმანიის ხალხის სიმპატიები თანდათან იხრება საბჭოთა კავშირისაკენ. გერმანიამ თავის წარმოება აღადგინა, მას აქვს აუარებელი საქონელი. მარტო გერმანია ამ საქონელს ვერ გაასაღებს, კოლონიები კი ხელიდან წაუვიდა. გერმანიის საქონელის მთავარი გზა აღმოსავლეთი-საკენ არის და აქ უპირველესი მნიშვნელობა საბჭოთა ფედერაციას აქვს. ამიტომ გერმანიის ბურუუაზის ინტერესებიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან დაახლოებას. და სხვადასხვა ხელშეკრულების დადებას.

V.

გერმანია დღეს წარმოადგენს სხვადასხვა რესპუბლიკის კავშირს. როგორც ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი ზნეჩვეულებასა და ენაშიაც კი კუთხურ თავისებურობას ატარებენ, სწორედ ასე არის გერმანიაშიც. მონარქისტული განწყობილება გერმანიაში ძლიერია, განსაკუთრებით ბავარიაში.

პრინცი რუპრეხტი იქ მეტად პოპულიარულია და
ბავარია დღესვე გამოაცხადებს მას მეფედ, რომ ნე-
ბა მისცენ.

ვილჰელმი გერმანიაში დღესაც უყვართ, რასა-
კვირველია, გარკვეულ ფენებში, მხოლოდ გული
წყდებათ: გაჭირვების ღროს რათ მიგვატოვა და
რათ გაიქცა. ბერლინში არის მეფეთა პანთეონი.
წვრილბურჟუაზიულ მეშჩანობას განსაკუთრებით
უყვარს დედოფალი შარლოტა და ფრიდრიხ დიდი:
მოდიან და მათ საფლავს ცოცხალი ყვავილებითა
და თაიგულებით ამკობენ.

ასეთ განწყობილებას ებრძვის მუშათა კლასი.
გერმანია თუ დღეს გაერთიანებულია, ეს მიეწერება
მუშათა კლასს, და არა ბისმარქს. გერმანიაში თუ
დღეს რესპუბლიკაა, ესეც ნაყოფია მუშათა კლასის
ბრძოლისა.

გერმანიის პროლეტარიატი თავს იყრიდა დღემდე
ს. დ. პარტიაში და ეს პარტია ძალიან მძლავრი
იყო. გერმანია ომამდე იყო კლასიკური ქვეყანა
სოციალ-დემოკრატიისა, მაგრამ დღეს ასე აღარ არის.

მართალია, ეს პარტია ჯერ კიდევ საქმიანდ ძლი-
ერია, მაგრამ ეს ძლიერება თანდათან სუსტდება.

მიზეზი ბევრია და მათ შორის ის გარემოებაც,
რომ ს. დ.-ის ბელადებმა დიდი ხანია დაპკარგეს

პროლეტარული განწყობილება და ბურჟუაზიაში გაითქვითენ,

გერმანიაში ძლიერია მსხვილი ბურჟუაზია. მსხვილი წარმოების პროცესში გამდიდრება ხშირად ლატარიასავით მოდის; ცდუნება ყოველი ფეხის გადაღმაზე ძალიან დიდია. ამის გამო ს. დ. ბელადები გაიტაცა გამდიდრების სურვილმა და დღეს ბევრი მათგანი მდგომარეობით ნამდვილი ბურჟუაა; არის პატრონი შემოსავლიანი აქციებისა, დირექტორია რომელიმე სააქციო საზოგადოებისა, აქვს ბანკში დიდი თანხა და სხვა.

მდგომარეობა პქმნის შეგნებას და ამიტომ ბელადები თანდათან ჩამოშორდნენ პროლეტარულ აზროვნებას; რევოლიციონური მარქსიზმი მათ აღარა სწამთ, პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფენ, კლასთა ბრძოლას უარყოფენ და აღიარებენ კლასთა თანამშრომლობას. სოციალიზმის ისინი უყურებენ როგორც ნერონის დროის რომაელი არისტოკრატი იუპიტერის: იუპიტერი მას სრულებით აღარ სწამდა, მაგრამ საჯაროდ, ხალხის დასანახავად იხსენიებდა და თაყვანსა სცემდა.

ჯავშნოსნების ასაგებად კრედიტების გაღებამ ს. დ. მთავრობას გაუტეხა აქ სახელი და დაუკარგა ნდობა.

ყოველივე ამის შემდეგ არ არის გასაკვირი თუ კომპარტია გერმანიაში თანდათან და სისტემატიურად იზრდება.

მუშათა კლასის მდგომარეობა გერმანიაში მძიმეა. არის სოციალური კანონმდებლობაც, უმუშევართა, ინვალიდთა და მოხუცთა დაზღვევაც მაგრამ ყოველივე ეს იმხელაა, — რომ იტყვიან: დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო. შორიდან დიდი მოსჩანს, ახლოს ერთი ნამცეცია.

გერმანიის მუშა რიგიან საჭმელს კვირაში ორჯერ თუ სჭამს. ესეც დიდი საჭმეა; მისი საჭმელი კართოფილი, კართოფილი და ისევ კართოფილია.

კიდევ? კიდევ ლორის ქონი და კართოფილი. ჯერჯერობით გერმანიაში არ არის იმედი მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

მაშასადამე, კომპარტიის გავლენა თანდათან უნდა გაიზარდოს მუშებში.

გერმანიაში ფეხს იყიდებს ფაშიზმი. რას წარმოადგენს ფაშიზმი?

ბურუუაზის ორგანიზაციულად შეკავშირებას პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ფაშიზმს უსათუოდ აქვს ნიაღაგი გერმანიაში, რაღანაც ეს არის ქვეყანა მსხვილი ბურუუაზიისა.

ფაშიზმი ის ხავსია, რომელსაც ებლაუჭება ბურუუაზია თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად.

ვერავითარი ფაშიზმით, ვერავითარი შეკავშირებით ბურუუაზია ვერ შეაჩერებს მუშათა რევოლიუციონურ განწყობილებასა და ბრძოლას. რაც უფრო სასტიკი იქნება ბურუუაზიის წინააღმდეგობა, მით უფრო სასტიკი იქნება მუშათა კლასის შეტევა; ის გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და ბურუუაზიული ცხოვრების ალაგას დაამყარებს სოციალიზმს.

გერმანის ბურუუაზია ამას მშვენივრად გრძნობს და ამიტომაც ცდილობს დაეყრდნოს სოციალდემოკრატიას...

— თქვენ არ მოგწონთ არსებული წყობილება, სოციალიზმი უნდა დაამყაროთ? კარგი და პატიოსანი. რა საჭიროა ამისათვის კლასთა ბრძოლა. რევოლიუცია, სამოქალაქო ომი? ვითანამშრომლოთ, გაატარეთ ცხოვრებაში რეფორმები და სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანის გზით მიხვალთ თქვენს მიზნამდე! — ეუბნება ბურუუაზია მუშებს.

სოციალდემოკრატიის ბელადები თვითონ არიან ბურუუაზიულ განცხრომაში და აღარც რევოლიუცია უნდათ, აღარც კლასთა ბრძოლა, აღარც სამოქალაქო ომი.

ამიტომ ცდილობენ მუშებს თავი შეუხვიონ; ჰპირ-დებიან: ოო, ჩვენ მშვიდობიანის გზით მივდივართ სოციალიზმის სამეფოშიო, და უნდათ, მუშები ჩა-ითრიონ კლასთა თანამშრომლობის ჭაობში.

სოციალდემოკრატიის ბელადები აქამდის ახერ-ხებდენ გერმანიაში მუშის თვალის ახვევას. მათ უკვე შესწორებანი შექონდათ მარქს-ენგელსის თეო-რიაში; მაგრამ ერთის მხრით მათ მიერ ჩადენილმა მრავალმა სიყალბემ და მეორეს მხრივ ოქტომბრის რევოლუციამ მუშები გამოაფხიზლა და ისინი თან-დათან სტოკებენ სოციალდემოკრატიის რიგებს. კომპარტიის რიცხვი და გავლენა დღითი დღე იზრ-დება. შეტაკებანი ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის ბერლინის ქუჩებზე თანდათან ხშირდება და ხვალინდელ დღეს ბურუუაზია ველარ შეჰყურებს მა-გარი გულითა და მტკიცე რწმენით.

ასეთი გახლავთ დღევანდელი ბერლინის ჭითა-რება.

დაუმატოთ ამას ის გარემოება, რომ უმუშევართა რიცხვი დღეს გერმანიაში ერთ მილიონს უდრის. საჭიროების დროს ვის გაჰყვება ეს ლაშქარი არსე-ბული წყობილებით უქმაყოფილოებისა?

მე კი მგონია, რომ კომუნისტებს, და სხვისა სხვამ იცის.

ბერლინში მეტად ბევრი რამ არის საყურადღებო ჩვენი მკითხველისათვის, მაგრამ ყველაფრის აღწერას შთაბეჭდილებათა ფარგლები ვერ დაიტევენ.

საინტერესოა გერმანელის ბუნება და ხასიათი, რომლის შესახებაც სრულიად ერთი-მეორის საწინააღმდეგო აზრს გაიგონებთ.

— გერმანელი ხეპრეა, ტლანქი, უჟმური, კრიუანგი! — აი რა გამიგონია და ეხლაც მესმის ხშირად.

ყოველივე ეს რომ მართალი იყოს, გაუგებარია მაშინ, როგორ შექმნა ასეთმა ერმა უდიდესი კულტურა, უდიდესი ტეხნიკა, მეცნიერება, ხელოვნება?

ბეტშოვენი, ბახი, მოცარტი, ვაგნერი და სხვ, განა მსოფლიო სახელები არ არიან?

ტლანქი, უჟმური ერი ასეთ მუსიკას ვერ მოგვცემსთ.

გერმანელის ხასიათი მეტისმეტად რთულია. გერმანია გეოგრაფიულად და ისტორიულად დაყოფილია სხვადასხვა კუთხეებად, როგორც მაგ. ოუნდა ჩვენი საქართველო. ყოველი კუთხის მცხოვრები თავის ხასიათში ატარებს რასმე განსხვავებულს, თავისებურს, როგორც, მაგალითად, გურული, რაჭველი, კახელი და სხვ.

გერმანელის ხასიათი ჩამოყალიბდა სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების ზეგავლენის

ნით. რაინდული ხანა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, მსხვილი ინდუსტრია, იმპერიალიზმი, — ყოველშა ხანამ თავისი დაღი დაასვა გერმანელის ხასიათს, თავისი ცვლილება შეიტანა შიგ; ცვლილება ცვლილებას დაერთო და გამოვიდა რთული ბუნება გერმანელისა.

გერმანელის ბუნებაში მრავალი საუკუნენი ლაპარაკობენ.

გერმანელის ბუნებაში არის რაინდული განწყობილება; ეს გახლავთ ნაშთი საშუალო საუკუნეებისა. მას უყვარს სამხედრო გარჯიშობა, სამხედრო დისციპლინა, სამხედრო სამსახური.

რაინდულ განწყობილებაში უნდა ვეძიოთ ახსნა იმ მოვლენისა, რომ გერმანელ ახალგაზრდობას და თვითონ ხალხს დღემდე უყვარს დუელი და დაჩეხილი სახე.

გერმანიის ზოგიერთი გამოჩენილი პროფესორი ამართლებს დუელს სტუდენტობაში და საჭიროდ მიაჩნია ის. რატომ, რა მოსაზრებით?

დუელი წრთვნის ახალგაზრდობაში რაინდულ თისებებსო.

რაინდობა მოითხოვს ზრდილობას, თავის ღირსების დაცვას.

ასეთია გერმანელი. ის თავდაჭერილია ჭირშიაც, ლხინშიაც. ქუჩაში მთვრალს ძალიან ძვირად, ან სრუ-

ლიად ვერ ნახავთ. მთვრალის ლრიალსა და აყალ-
მაყალს ვერ გაიგონებთ. თუ დათვრა საღმე, მაში-
ნათვე გასწევს წყნარად სახლისაკენ, ან ამხანაგები
გააპარებენ.

ის სიმღერაშიაც, სიციალშიაც თავდაჭერილია,
თითქოს გაუბედავად გამოღიან იმის პირიდან სასი-
მღერო, სამხიარულო ხმები. ეს იმიტომ, რომ გერ-
მანელს არ უნდა სხვისი შეწუხება, სხვის პიროვნე-
ბას პატივსა სცემს.

როდესაც გერმანელი სრულებით თავისუფალია,
კარგ გუნებაზე და დარწმუნებულია, რომ არავის
შეავიწროვებს, ქეიფიც იცის, სიმღერაც, დროს ტა-
რებაც და ლრიალიც. ხოლო თუ თქვენ შეაწუხეთ
იმისი მყუდროება, წესრიგი დაარღვევთ, ამას არ მო-
გითმენსთ: შენიშვნას მოგცემსთ, გაგაფრთხილებსთ.
თუ მაინც თქვენი არ მოიშალეთ ამის შემდეგ, ის
ხეპრეც შეიქნება, ტლანქიც, უზრდელიც, მშრალიც
და სხვ.

გერმანელს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი გრძნობა
თავისი მოვალეობის შეგნებისა ყველას მიმართ. ის
ამ მოვალეობას არ დაარღვევს, ხოლო თუ თქვენ
დაარღვევთ არ გაპტიებსთ.

გერმანელი შრომის კაცია, დილით ადრე უნდა
ადგეს, ამიტომ ღამით მოსვენება უნდა, თუ თქვენ

11 — 12 საათზე ღამით ხმაურობთ, თუნდაც ბოლთას
სცემთ ოთახში, გერმანელი გამოგივარდებათ: მას
აბრაზებს მარტო თქვენი საქციელი კი არა, არამედ
ისიც, რომ თქვენ არ გესმით თქვენი მოვალეობა მე-
ზობლის მიმართ, ან არ ასრულებთ ამ მოვალეობას.

ჩვენ ამ მხრივ ველურები ვართ ჯერჯერობით.

გერმანია დიდი ხანია გადაიქცა მსხვილი ინდუ-
სტრიის ქვეყნად. საჭირო გახდა ვიწრო სპეციალი-
ზაცია. ამან მოითხოვა დიდი შრომა, დაკვირვება,
მოთმინება. რომანტიზმით და რაინდობით აქ ფონს
ვერ გახვალთ და გერმანელიც ჩაუჯდა დაზგას, ჩა-
იკეტა სახელოსნოში, კაბინეტში, ლაბორატორიაში.

ასეთი შრომა მძიმე ინდუსტრიაში მოითხოვს დიდ
დისკიპლინას, დიდ სიმტკიცეს ხასიათისას და დიდ
წესრიგს. გერმანელმა სწორედ აქ გამოიჩინა დიდი
ნიჭი და ამიტომ გაიმარჯვა.

გერმანელის ხასიათი მეტად მტკიცეა, მისი ბუნება
მაგარი, გამძლე და ამტანია. გერმანელი ამოირჩევს
სულ წვრილმან რასმე, ერთ პატარა ხრახნილს, ჭი-
ანჭველას და მთელ თავის სიცოცხლეს იმის შესწავ-
ლას, გაუმჯობესებას მოანდომებს.

ვიწრო სპეციალიზაცია და დიდი შრომა მოი-
თხოვს ადამიანის მთელი ყურადღების ცალმხრივად
მიმართვას და მთელი ნერვების დაჭიმვას.

ამიტომაც გერმანელი ჩაკეტილია თავის ხელობაში, თავის სპეციალობაში და სხვა მას ნაკლებად აინტერესებს. ყველაფერი რომ იცოდეს და საფუძვლიანად კი არაფერი, ასეთ ადამიანს გერმანიაში ძვირად ნახავთ. გერმანელმა ყველაფერი არ იცის, არც უნდა მას ყველაფრის ცოდნა: მან იცის ერთი რამ, მაგრამ იცის ზეღმიწევნით, საფუძვლიანად.

მუქთად შრომა და გარჯა გერმანელს არ უყვარს. იმის თვალში შრომა ყველამ უნდა დააფასოს: ახლობელმა, შორეულმა, — ნათესავებმაც, უცხომაც. ამიტომ ახლობელი ნათესავისაგან შრომისათვის ფულის ან რაიმე გასამრჯელოს მიღება მას არც ეთაკილება, არც ეჩოთირება. გერმანელი თქვენ არ ჩაგიყოფთ ჯიბეში ხელს, მაგრამ არც თქვენ მოგცემსთ ნებას, რომ იმის ჯიბეში ხელები აფათუროთ.

მსხვილი ინდუსტრიის ქვეყანაში შემოსავალ-გასაჭალს ანგარიში უნდა, ფულის ხარჯვაში ყაირათიანობა და სიფრთხილეა საჭირო.

გერმანელს ყველა ეს თვისება აქვს. ის ანგარიშის კაცია, ხელმოჭერილი, ხარჯვაში თავდაჭერილი, საქმეში ფრთხილი. კაპეიქს თქვენსას არ შეირჩენს, მაგრამ არც თქვენ შეგარჩენსთ ერთ კაპეიქს თავისას. ფულის ანგარიში მოითხოვს გეგმიან სიზუსტეს;

თქვენ უნდა იცოდეთ თქვენი ყოველდღიური შემოსავალი და გასავალი სისწორით.

გერმანელმა ეს იცის და ამიტომ სიზუსტე, სისწორე, სიმართლე განსაკუთრებით უყვარს.

თუ თქვენი მართებს, შეპირებულ ვადაზე მოგცემსთ. თუ თქვენ გმართებსთ, შეპირებულ ვადაზე უსათუოდ უნდა დაუბრუნოთ, თორემ იმის თვალში ყოველგვარ ნდობასა და პატივისცემას დაჰკარგავთ.

დიდი შრომა, კონკურენცია და ანგარიშიანობა მოითხოვს გემიანობას, წესრიგს. გერმანელი უაღრესად წესრიგის ადამიანია. მას უყვარს წესრიგი ყველგან, ყველაფერში: ოჯახში, ქუჩაში, სახელოსნოში, რესტორანში ადგომა დაწოლა, ძილი, სადილი, დასვენება, მუშაობა, დროსტარება, ყველაფერი წესრიგს ექვემდებარება.

ასეთი გახლავთ ბუნება მძიმე ინდუსტრიისა. ის მარტო ნიჭს კი არ მოითხოვს, არამედ შესაფერ ხასიათსაც. გერმანელი ან უნდა შეგუებოდა მას, ან უნდა დამარცხებულიყო.

გერმანელმა გაიმარჯვა იმიტომ რომ თავისი ხასიათი გარდაქმნა და შეუფარდა მსხვილ ინდუსტრიას.

ვისაც ყოველივე ეს არა აქვს გარკვეული, ბევრი რამ გერმანელის ხასიათში მისთვის გაუგებარი დარჩება.

ბერლინში საბჭოთა მოქალაქისათვის საფრანგეთის ვიზის მიღება ძნელია.

საფრანგეთის მთავრობას ძალიან ეშინიან წითელი პასპორტის. გერმანიის ვიზის მიღება თქვენ შეგიძლიათ თბილისშივე და ამ მხრივ გერმანელები მეტად თავაზიანები არიან.

სულ სხვაა საფრანგეთის საკონსულო ბერლინში.

— ვისთან მიღიხართ? რა ვინდათ? რამდენ ხან დარჩებით? ფრანგებში ვის იცნობთ? — აი როგორი კითხვებით მოგმართავენ.

— ეე, თუ ჩემი პასპორტი ასეთი საფრთხობელაა, აშკარაა საფრანგეთის მთავრობის მდგომარეობა არც ისეთი მტკიცე ყოფილა! — გავიფიქრე მე.

ბევრი მეცადინეობისა და დავიდარაბის შემდეგ მივიღე, როგორც იქნა ვიზა და გავეშურე პარიზისკენ.

მატარებელი დაიძრა და გასწია შურდულივით; უკან მოვიტოვეთ ბერლინი, წინ ველები, მინდვრები, საუცხოვო ტყე, კოხტა, ლამაზი სოფლები.

არსად გლეხი იმდენად დაჩაგრული არ იყო, როგორც ჩვენში თვითმპყრობელობის დროს. არსად გლეხს ისე ფართოდ არა აქვს გაღებული კარები

ქეთილდღეობისაკენ, როგორც საბჭოთა კავშირში. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ჩვენი სოფელიც გამოიცვლება, გალამაზდება, გამ-შვენიერდება, ელექტრონის შუქი დაიწყებს ნავარ-დობას ჩვენი გლეხის სახლში და ავტომობილები ქროლვას ჩვენი სოფლის შარა-გზაზე.

აი ქალაქები პანოვერი, დორტსმუნდი, გელზენ-კირხენი... ყოველი მათგანი პატარა ასლია დიდი ბერლინისა: იმგვარივე სტილის, ზომის და ფერის სახლები, სწორი, მწყობრად გაჭიმული ქუჩები, ას-ფალტით დაგებული, ქუჩებში ჩამწკრივებული ხეები, პატარა აივნებზე ყვავილები, ტრამვაი, ავტომობი-ლები, სისუფთავე, სისუფთავე და სისუფთავე.

მე მგონია დედამიწის ზურგზე ისე არავის უყვარს სისუფთავე როგორც გერმანელს. სისუფთავე ჰველ-გან, სისუფთავე ჰველაფერში: სახლში, კარში, ტან-ზე, გერმანელის უდიდესი მოთხოვნილებაა. ქალალ-დის ნაგლეჯს, პაპიროსის ნამწვს, გერმანელი არ გადააგდებს არასოდეს.

რაც უფრო ვშორდებით ბერლინს და ვუახლოვ-დებით სამხრეთს, ველ-მინდვრები დანდათან იცვლე-ბიან და ჩვენ წინ იშლება ზემო-იმერეთის ბუნება; აქა-ნებული და დაქანებული ნიადაგი, ალმართ-დალმარ-თი, ბორცვები, გორაკები, მთები, აქ მოსახლეობაც

მეტად ხშირია, სოფელი სოფელს მისდევს. აი ქარნების მილები თანდათან ბევრი, ბევრი და ბოლოს მთელი ტყე მილებისა.

აი თურმე სად ყოფილა ნამდვილი გერმანია მსხვილი ინდუსტრიისა, ღორტსმუნდი, გელზენკირხენი, ესენი, ალტენესენი, ობერჰაუზენი, დუსელდორფი და სხვა ერთი-მეორეზე არიან გადაბმული თავისი წარმოებით და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. განსაკუთრებით ღამე, როდესაც ვეება ქარხნების ღუმელებში ცეცხლი გუგუნებს და ურიცხვ მილებიდან ალი ჰქონიავს; ცის კაბადონი წითლადილებება მაშინ, მატარებელი მიჰქრის ქარხნის მილების ხანძარმოდებულ ტყეში და ორებარეს თვალგადაუწვდენელ სივრცეზე თითქოს ცეცხლი უკიდია.

აი სად არის კოლექტიური შრომა, კოლექტიური შეგნება, კოლექტიური ნება — საძირკველი სოციალიზმისა.

რატომ განვითარდა მაინც-და-მაინც გერმანიის სამხრეთში ასე მძლავრად მძიმე ინდუსტრია? მიტომ, რომ აქ არის ქვანახშირი. გერმანია ღარიბია ეგრეთ წოდებული თეთრი ნახშირით, ელექტრონის ენერგიით, რადგანაც წყალვარდნილები აქ არ არის, მდინარეები ვაკეზე მიიზღაზნებიან მდორედ და ისეთი სადგურების აგება, როგორც ჩვენი ზაჰესი და

რიონჰესია, აქ მეტად ძნელია. ჯერჯერობით მხოლოდ ბავარიაშია მძლავრი ჰიდრო-ელექტროს სადგური. სხვაგან მანქანებით ღებულობენ ელექტროს ძალას ორთქლის საშუალებით. სამაგიეროდ გერმანიის სამხრეთი მდიდარია ქვანახშირით და მძიმე ინდუსტრიაც აქ დამკვიდრდა მტკიცედ.

ჩვენ ბევრი გვაქვს თეთრი ნახშირიც, შავიც, გვაქვს სხვადასხვა მაღნეულობა, ნავთი, შავი ქვა; მიუმატეთ ამას ახალი წყობილება და დამეთანხმებით: ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, რომ ახლო მომავალში მძლავრად აგუგუნდენ ჩვენშიაც ქარხნების მილები.

შუალამეს გადასული იყო, როდესაც ბელგიის საზღვარს მივატანეთ.

მატარებელი გაჩერდა, შემოვიდენ ბელგიის მოხელენი და მოგვთხოვეს პასპორტები.

ჩემი პასპორტი აათვალიერეს, ჩაათვალიერეს, ატრიალეს, გადმომხედეს, შემდეგ ერთმა მითხრა:

— ემიგრანტი ხართ?

— მე ვარ მოქალაქე საბჭოთა კავშირისა და ემიგრაციასთან არაფერი საერთო არა მაქვს — მკვახედ მივუგე.

ერთი კიდევ მომზომეს თვალით, პასპორტზე ბეჭედი დამიკრეს და გამშორდენ.

— აბა გადმოშალეთ ქვენი ბარგი. — გაისმა ხმა და ჩქარის ნაბიჯით წამოვიდა ჩევნსკენ რამოდენიმე კაცი.

ერთი იდგა და თვალყურს გვადევნებდა, სხვები შეუდგენ ბარგის ჩხრეკას, შემდეგ გაგვამწკრივეს ჯარისკაცებივით და ჯერ შეანათეს სკამებს ქვეშ, გასინჯეს კარგად ხომ არაფერია. დამალულიო. მერე მოგვდგნენ სათითაოდ და ყურებიდან ფეხის ფჩხილებამდე საფუძვლიანად გაგვსინჯეს, ჯიბეები და გვითვალიერეს და ხელები კარგად მოგვისვეს ყველან სიგრძე-სიგანეზე.

მომაგონდა ნეგორელოე, იქაური დათვალიერება, ზრდილობა, თავაზიანობა, ღირსეული მოპყრობა და გულში ვსთქვი:

— მობრძანდით და ჩვენგან ისწავლეთ.

გერმანიის საზღვრიდან პარიზამდე მდებარეობა მიემგვანება გერმანიისას: უმეტესად ვაკე, დაცემული ადგილი, ხოლო ალაგ-ალაგ აზეირთებული, ამაღლებული.

საფრანგეთის სოფლები ლამაზია, მოწყობილი, სახლები კარგი: ქვისა, აგურის, კრამიტით გადახურული, გზები საუცხოვო, ქვით მოკირწყლული, ბევრგან ასფალტით დაფენილი.

მე მხოლოდ ვერსად შევნიშნე ისეტი ინდუსტრია. რაც სამხრეთ გერმანიას ახასიათებს. მართალია,

ბევრგან დაინახავთ ქარხნის მილებს, მაგრამ ტუ-
სავით მიჯრილ ცეცხლის მქშინავ ყელებს ქარხნები-
სას თქვენ ვერ იხილავთ.

მატარებელმა ცოტა უკლო.

პატარ-პატარა ხშირი სახლები; ალბად მუშათა
უბანია, შემდეგ ორსართულიანი, სამი, ხუთსართუ-
ლიანი ქვის სახლები, გამურული, გაშავებული კედ-
ლები, ქარხნები, ქარხნის მილები. ქალები, მამაკა-
ცები; ილიმებიან და ხელს გვიქნევენ.

— პარიზი, პარიზი! — გაისმა ხმები ვაგონში.

მგზავრები წამოიშალნენ თავისი ბარგი-ბარხანით.

მატარებელი შესრიიალდა შუშით გადახურულ ბა-
ქანზე და გაჩერდა.

ესეც პარიზი!

ჭუჭყიანი სადგური, ვიწრო, ნაგავიანი ქუჩა, გამუ-
რული სახლები, რომელთა კედლებსაც საფუძვლია-
ნი შეკეთება დიდი ხანი არ ლირსებია. ეს არის სა-
ნაქებო პარიზი?

პირველი შთაბეჭდილება დიდი არაფერი შვი-
ლია.

პარიზი ისეთი ქალაქია, რომელიც პირველი შე-
ხედვით თავს ვერ მოგაწონებთ. პარიზი უნდა დაა-
თვალიეროთ, მხოლოდ მაშინ დაინახავთ იმის სი-
ლამაზესაც, სიმახინჯესაც.

ყოველი ქალაქი ერთგვარი ხელოვნებაა, მასში
იხატება ხალხის ბუნება, შეგნება, მდგომარეობა.

გერმანელის ბუნება ღინჯია, აუჩქარებელი, მტკი-
ცე, ჩაკირული. მისი მთელი მოქმედება. მშრალი
გონების სასწორზეა აწონდაწონილი.

ასეთია მისი ქალაქიც: მტკიცე, მკვიდრი, გაზო-
მილი, სწორი.

ფრანგის ბუნება თოფის წამალია — გატაცებული,
დაუდგრომელი, ცვალებადი.

ასეთი არის პარიზიც: ცვალებადი, დაუდგრომე-
ლი, ყოველ ნაბიჯზე სხვადასხვანაირი, გატაცებული,
გრძნობა მოჭარბული.

თვით პარიზის მდგომარეობაც კი ამგვარია: აწეუ-
ლი, დაწეული, ბევრგან ვაკე, ბევრგან ამაღლებული
ის წარმოადგენს ოდნავ ატორტმანებულ ზღვას.

ბერლინში ერთი ქუჩა იმდენად მიემგვანება მეო-
რეს, რომ სულ ადვილია გზის დაბნევა.

პარიზში ყოველი ქუჩა თავისებურია, სხვანაირი.

ზოგან მოკლე, ზოგან ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული,
გადატეხილი, ზოგან კი ლარივით სწორი, მეტად
განიერი, — აი პარიზის ქუჩები.

ამგვარსავე სურათს წარმოადგენენ სახლები: ყო-
ველგვარი სტილი, ყოველგვარი ზომა, ყოველგვარი
ფორმა.

ოთახები. ზოგან მაღალი, განიერი; ზოგან იმდენად პატარა, დაბალი, რომ მაღალი კაცი ხელით ჭერს აწვდება.

უფრო ხშირია პარიზში შვიდ-რვა სართულიანი სახლი, რომელიც ბერლინის სახლებს მოგაგონებთ თავისი სტილით და ფერით, პარიზელებს უყვართ რეინის ვიწრო აიგანი მთელი სართულის სიგრძეზე.

სახლების სახე — ზოგან ლითონის ფერი, როგორც ბერლინში, ზოგან ყვითელი, მწვანე, შინდისფერი და სხვ. პარიზი ძველის-ძველი ქალაქია და ამიტომ აქ ბევრია ძველი სახლი.

სახლები გადახურულია კრამიტით და პრტყელი ქვით.

პარიზელს უყვარს ხე და ქუჩებში ბევრგან ჩამწერივებული არიან ხეები. აივნებზე კი მეტისმეტად იშვიათია ყვავილები, რაც ასე ალამაზებს ბერლინის ზოგიერთ უბანს.

პარიზში ბევრია ბულვარი, ბალი, და ყოველი მათგანი შემკულია საუცხოო ქანდაკებებით.

ქუჩები დაგებულია ხით, ასფალტით და პრტყელი ქვით, ჩვენი პლეხანოვის გამზირის მსგავსად.

ქუჩებში არ არის ისეთი სისუფთავე, როგორც ბერლინში. მართალია, ხშირად რწყავენ, მაგრამ უსუფთაობა მაინც არის.

ქუჩების რიცხვი უქვეს ათასამდეა, მცხოვრებლები—
სა — ოთხ მილიონამდე. პარიზი გაშენებულია მდი-
ნარე სენის ნაპირზე. მდინარე ღიღია და მიხვეულ-
მოხვეული ფრანგის ბუნებისა და პარიზის ქუჩებ-
სავით.

ის შემოიჭრება პარიზში სამხრეთიდან, მიიზლაზნე-
ბა მდორედ აღმოსავლეთისაკენ, პარიზის შუაგული-
დან გაუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ამრი-
გად შემოხაზავს ნახევარ რკალს.

რკალში მდინარის მარჯვენა ნაპირზე მოქცეუ-
ლია პარიზის ერთი მესამედი; ორი მესამედი-კა
რკალს გარეთ რჩება მდინარის მარცხენა ნაპირზე.

პარიზი უნდა დავათვალიეროთ ან ეითველის კოშ-
კიდან, ან ეტუალიდან. პირველს ყველა იცნობთ. ეს
არის უზარ-მაზარი ოთხფეხიანი ოთხკუთხი კოშკი
რკინისა. ზევით და ზევით თანდათან წვრილდება.
ასვლა შეიძლება კიბით და ლიფტით: მისი სიმაღლე
სამას მეტრს უდრის, იქიდან რომ გადმოიხედავთ,
ადამიანები ძირს ჩიტებივით მოსჩანან. უმჯობესია
პარიზის დათვალიერება ეტუალიდან, რაღანაც ძა-
ლიან მაღალი არ არის და მთელ პარიზს დაჩერე-
ბიხართ იქიდან.

ეტუალი ოთხთალიანი ოთხკუთხედი კოშკია პა-
რიზის თავში. ეტუალის კედლები შემკულია პატ-

რიოტული შინაარსის ქანდაკებებით და ძირს ასაფლავია ჯარისკაცი, რომლის თავთან განუწყვეტლად ამოდის ალი მიწიდან: აქ მიწის ქვეშ გამოყვანილია მიღი, ამოდის საწვავი ჰაერი და მას უკიდია ცეცხლი. თუ ქარმა ვინიცობაა ცეცხლი ჩააქრო, იქვე მიღიციელია. და აანთებს.

საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „აქ განისვენებს უცნობი ფრანგი ჯარისკაცი, რომელიც მოკვდა სამშობლოსათვის 1914—1918 წ.“.

ყველა, ვინც საფლავთან მივა, ვალდებულია ქუდი მოიხადოს, სამხედრო პირები-კი სამხედრო სალამს აძლევენ.

ისტორია ასეთია.

მსოფლიო ომის პირველ მსხვერპლთა შორის დალუპულ ფრანგ ჯარისკაცებში ბევრის ვინაობა ფრანგებმა ვერ გამოარკვიეს.

ომში დაბრმავებულ ჯარის-კაცს ამოარჩევიეს ერთი მათგანი და დასაფლავეს ეტუალის ერთ თაღში ძირს.

ამგვარი დასაფლავების ერთ-ერთი მიზანი არის პატრიოტული გრძნობის გაღვივება. ყოველივე ეს კი წყალს ასხამს ბურუუაზის წისქვილზე. მშრომელ ხალხს ოთხი მილიონი ჯანლონით სავსე ახალგაზრდა გამოაკლდა საფრანგეთში მსოფლიო ომის

დროს, საფრანგეთის ბურუჟაზია კი ოქროს მილიარდებს იჩერიალებს ჯიბეში ყოველ წლიურად რეპარაციის სახით.

ეტუალის კოშკი რგვალ მოედანზეა აგებული, შიგ კიბეა დატანებული. სამას საფეხურს რომ აივლით, ახვალთ თავზე და ძირს გადაიშლება მეტად ლამაზი სურათი.

მოედნიდან იწყება და ვარსკვლავის სხივებში იფანტება ყოველის მხრით თორმეტი ქუჩა, თორმეტივე ქუჩის თავში აგებულია თორმეტი ერთნაირი, ერთგვარი სტილის ხუთსარულიანი სახლი; ყოველ მათგანს წინ აკრავს პატარა ბაღჩა.

ეს სახლები აუშენებია ნაპოელეონს თავისი თორმეტი მარშალისათვის, უკან დასავლეთით გადაჭიმულია დიდი ბულონის ტყე.

ეს ტყე რომ პარიზის შუაგულში იყოს, ისე როგორც ბერლინში, პარიზი ბევრად უფრო ლამაზი იქნებოდა.

თორმეტ ქუჩებში, რომლებიც ეტუალზე იყრიან თავს, განსაკუთრებით ლამაზია ელისეს ველები.

ეს არის დიდი, სწორი, გრძელი, განიერი, ხეივნებიანი ქუჩა, რომელიც მიიმართება ეტუალიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე სენისაკენ, უერთდება აქ დიდ მოედანს, რომლის შუაგულში ამართუ-

ლია ნაპოლეონის მიერ ეგვიპტედან წამოლებული
მეტად მაღალი ოთხეუთხი ქვის სვეტი, თავიდან ბო-
ლომდე გაფარული ლურსმული წარწერებით. ნაპო-
ლეონმა გაძარცვა მთელი ეგრძობა, ეგვიპტე და მო-
ზიდა ყოველივე პარიზში, რომ თავისი სატახტო ქა-
ლაქი გაემშვენიერებია.

პარიზის სილამაზეს სწორედ ეს ნადავლი შეად-
გენს.

აქედან იწყება ტიულერის იშვიათი ბალი, შემ-
კული მრავალი ქანდაკებებით, და ბალის თავში აკრავს
უზარმაზარი ნალივით მოვლებული შენობა.

ეს გახლავთ ხელოვნების სასწაული ლუვრი.

შუაგული და საუკეთესო ნაწილი პარიზისა აქ
არის.

ეტუალი, ელისეს ველები იმას წინ დიდი მოედანი
— კონკორდი, შემდეგ ტიულერის ბალი და ვერსა-
ლი ერთ სწორ ხაზზე იშვიათ სილამაზეს წარმო-
დგენს. ყოველივე ეს იმყოფება სენის მარცხენა ნა-
პირზე.

აქეთ არის ოპერა, საუკეთესო სავაჭრო მაღა-
ზიები, კაფეები, რესტორანები, სასტუმროები, კი-
ნოები — ერთის სიტყვით ყოველივე, რითაც კი
ერთობა და თავს იყოლიებს პარიზში ჩამოსული
მსოფლიო ბურჟუაზია.

აქვე ახლოს სენის მარჯვენა ნაპირზე არის ნაპოლეონის საფლავი და მუზეუმი.

ნაპოლეონის ომებმა ხუთი მილიონი ახალგაზრდა იმსხვერპლა მთელს ევროპაში, მაგრამ ბურუუზიას მშრომელი ხალხის სისხლი არ ეზოგება. საფრანგეთის ბურუუზია აღმერთებს ნაპოლეონს, რადგანაც ამით ის აღვივებს შოვინიზმის ცეცხლს და აფერხებს პროლეტარიატის კლასობრივ დარაზმვას.

შეხვალთ ქვის შესანიშნავ შენობაში. შუაზე ამოლრმავებულია კალოსავით და შიგ ამაღლებულ ალაგზე დასვენებულია მარმარილოს კუბო დიდი, ლამაზი, ყავისფერი.

აქვე ახლოს არის ნაპოლეონის მუზეუმი, რამდენიმე სართული წარმოადგენს ნაპოლეონის ომებს, აუარებელ დროშებს, მისი სარდლების სურათებს, ოთახებს. აქვეა ნაპოლეონის ქუდი, უნაგირები. ცხენი, ძალლი, ლოგინი, ბალიში, მუთაქა.

ყოველივე ეს დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს გარეშეზე.

სამშობლოსაღმი სიყვარულის და შოვინიზმის გაღვივება ყოველგვარის საშუალებით,—აი რას გეუბნებათ პარიზში ყოველი ძეგლი, ყოველი მუზეუმი.

პარიზში არის პანთეონი.

მთელი ჰედა-სართული წარმოადგენს სურატებსა და ქანდაკებებს უნევიევასი და ჭკუაზე შეშლილი უანა დარკისა, რაღანაც გადმოცემა მათ მიაწერს სამშობლოს ხსნას.

აქვეა ქანდაკება, რომელსაც აწერია „უცნობ გმირებს, რომლებიც დაიხოცენ სამშობლოსათვის“.

აქვეა ქანდაკებები რესტავრაციის ორატორებისა და პუბლიცისტების, ხოლო ვერსად ვერ ნახავთ რობესპიერისა და მარატის ქანდაკებას.

განა ესენი რევოლიუციის გმირები არ არიან?

საფრანგეთის ბურუუაზია ცდილობს დღეს მათი ხსენების მიჩქმალვას.

— გარედან პანთეონს აწერია: „დიდ აღამიანებს მადლიერი სამშობლო“. ქვედა-სართულში მართლაც დასაფლავებული არიან სამშობლოს დიდი აღამიანები: გამბეტა, უან-უაკ რუსი, ვოლტერი, ვიქტორ ჰიუგო, ზოლა, მარსელენ ბერტელო და სხვ.

მათ შორის არის უორესიც. აი საკვირველებავ!

უორესი მართლაც დიდი აღამიანია, დიდი სოციალისტი, მაგრამ ვინ გაიმეტა ის? ბურუუაზიამ.

ვინ გასწირა ის? ბურუუაზიამ.

ვინ მოაკვლევინა ის? ბურუუაზიამ.

ვინ გაამართლა მისი მკვლელი? ბურუუაზიამ.

ახლა მუშების თვალის ასახვევად ბურუუაზია „უკვ-
დავთა“ შორის ასაფლავებს თავის მსხვერპლს, მა-
გრამ ასეთი თვალთმაქცობით ფონს გასვლა დღეს
შეუძლებელია.

როგორია მიმოსვლის საშუალებანი პარიზში?

ტრამვაი, ავტომობილი, ავტომობილი-ტაქსი, ავ-
ტობუსი, ეტლი, მეტრო ე. ი. მიწის-ქვეშა რკინის-
გზა და ნავოსნობა სენაზე — აი რითი მოძრაობს
პარიზი. პარიზში არ არის საქალაქო რკინის-გზა,
როგორც ბერლინში, სადაც მატარებელი ყოველ
წამს გადის ერთი უბნიდან მეორესაკენ.

სამაგიეროდ ავტომობილი უამრავია. ეტუალი-
დან რომ გადმოხედავთ პარიზის ქუჩებს, ავტომო-
ბილები ბუზებივით ირევიან. ხშირად ძალიან დიდ-
ხანს უნდა იდგეთ ქუჩაზე, რომ ერთი მხრიდან მე-
ორე მხარეზე გადასვლა მოახერხოთ; ავტომობილი
ავტომობილს მისდევს ყოველი მხრიდან და მიუჩვე-
ველ ადამიანს ასეთი მოძრაობისაგან თავბრუ ესხმის.

ავტომობილის მაღაზიები პარიზში ყოველ ფეხის
გადადგმაზეა და ასეთი მაღაზიები მუდამ სავსეა ხა-
ლხით.

ამ დღეებში დაიხურა აქ ავტომობილების გამო-
ფენა და იმდენი ხალხი ესწრებოდა ყოველდღე, რომ
ტევა_არ იყო.

როგორც ამბობენ, ავტომობილების რიცხვი პა-
რიზში აღემატება სამას ათასს.

მთელი პარიზი დახვრეტილია მიწის-ქვეშა რკი-
ნის-გზით, რომელიც ძალიან იაფია.

ბერლინში მიწის-ქვეშა რკინის-გზის ქსელი უფრო
პატარაა, მაგრამ მოწყობილი ბევრად უკეთ არის,
ვიდრე პარიზში.

ქუჩები განათებულია ელექტრონითა და ჰაირით.
ჰაირი ძალიან გავრცელებულია პარიზში, თითქმის
ყოველ სახლშია გაყვანილი:

ყოველივე კეთდება ჰაირზე, რაც იაფიც არის,
სწრაფიც, სუფთაც, მეტისმეტად მოხერხებულიც.

გარდა მთავარი ადგილებისა ქუჩები არ არის რი-
გიანად განათებული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ
თბილისის განათება სჯობია.

მიუხედავად ამისა პარიზის თავზე ცაც-კი ალის-
ფრად იღებება ლამე.

რა არის ამისი მიზეზი?

სარეკლამო გაშუქება; ელექტრონის სხივი უხვად
არის გამოყენებული პარიზში რეკლამებისათვის.

ასეთ რეკლამაში ვაჭარა ვაჭარს ეჯიბრება, მაღა-
ზია-მაღაზიას, ფირმა-ფირმას და მილიონობით ხა-
რჯავენ, რომ რაც შეიძლება უკეთესად დაატყვევონ

მაყურებელის თვალი გაშუქებისა და ფერების შეწყობის ორიგინალობით, მხატვრობით.

ავტომობილების გამოფენის დროს „ციტროენი“-ს ფირმამ ეიფელის მთელი კოშკა გაანათა აფერადებული შადრევანებით თავისი რეკლამისათვის. შადრევანებში დიდი ასოებით აწერია: „ციტროენ 6“. პარიზის ყოველ კუთხიდან დაინახავდით და წაიკითხავდით.

მარტო განათება ყოველ ღამეს უჯდებოდა ფირმას ჩვენს ფულზე 50.000 მანეთზე შეტი.

პარიზი ღამე ნამდვრლი ზღაპარია.

— ძირს სინამდვილე. გაუმარჯოს მომხიბლავ ზღაპარს! აი რას გვეუბნება ღამის პარიზი. ყოველივე ამას აქვს თავისი მნიშვნელობა ბურჟუაზიის ცხოვრებაში და ამავე დროს ყოველივე ეს შეტად დამახასიათებელია ბურჟუაზიის განწყობილებისათვის, რომელსაც სინამდვილე აფრთხობს და ამიტომ ზღაპარში ეძიებს თავდავიწყებას.

სიმკოლიზმი თავდაპირველად უსათუოდ პარიზში უნდა დაბადებულიყო.

— ძირს სინამდვილე! გაუმარჯოს მოჩვენებას!

— ძირს შინაარსი! გაუმარჯოს ფორმას!

აი სიმკოლიზმი.

მთელი პარიზი დამე სიმკოლიზმია იმიტომ, რომ
ასეთია განწყობილება პარიზის ბურჟუაზიისა.

ყოველ კლასს — ისე როგორც ყოველ ადამიანს
— სამი ხანა აქვს: ახალგაზრდობა, დავაუკაცება და
სიბერე.

ახალგაზრდობაში ის გატაცებულია სინამდვილით
და იმის გარდაქმნაზე ოცნებობს; დავაუკაცების ხა-
ნაში ის სინამდვილის შემომქმედია; სიბერეში, რო-
დესაც მას ოღარაფერი აღარ შეუძლია და დასა-
სრულს მოელის, სინამდვილეს გაურბის და ზღაპა-
რში ეძიებს თავდავიწყებას, დამფრთხალი გულის
დაოცებას.

პარიზი — ზღაპარი იმისი მაჩვენებელია, რომ სა-
ფრანგეთის ბურჟუაზია საკმაოდ მობერდა და ზღა-
პარში ეძებს გადახალისებას, კარგ გუნებას.

აწი სიტყვა ექუთვნის პარიზის პროლეტარიატს.

დიდი რევოლიუციიდან მოკიდებული მან უკვე სა-
კმაოდ დაგვიმტკიცა, თუ როგორი არის მისი სიტყვა.

ვისაც სურს, გაითვალისწინოს პარიზის მომავალი,
ის უნდა გაეცნოს ერთის მხრით ბურჟუაზიის ცხო-
ვრებას. მეორეს მხრით მუშა-მოსამსახურის მდგომა-
რეობას.

დასავლეთით პარიზს აკრავს დიდი ტყე ბულო-
ნისა, აღმოსავლეთით — განსენის ტყე. პარიზის მი-

დამოქმდებრი არის კიდევ რამოდენიმე ბალი.

მთელი პარიზი კვირა-უქმე დღეებში აქ არის, ტყეში და ბალში.

რამდენადაც გერმანიაში გავრცელებულია ლუდი, იმდენად პარიზია ლვინო, საფრანგეთი ლვინის ქვეყანაა. აქაური ლვინო ძალიან წააგავს ჩვენებულს. მაგრამ ფრანგებმა საუკეთესოდ იციან ლვინის დაყენება და ამიტომ საფრანგეთის ლვინოები განთქმულია ყველგან.

სანამ ჩვენ ლვინის დაყენებას არ ვისწავლით, მანამდე ჩვენი დვინო ევროპის ბაზარს ვერ მოიპოვებს.

ფრანგი ენტუზიაზმის აღამიანია. მას უყვარს მხიარულება, დროს გატარება. მაგრამ დროს ტარება სახლში კი არა, არამედ რესტორანში, სახლში ათი საათის შემდეგ ხმაურობა, სიმღერა, ცეკვა, დაკვრა სასტიკად აკრძალულია. წესის დამრღვევს შილიცია აჯარიმებს.

ჩვეულებრივ რესტორანებში ნაშუალამევის ორ-სამ საათზე ყველაფერი თავდება. მაგრამ არის ბურუჟაზის რესტორანები, საღაც ქეიფი და დროს ტარება მთელი დღე და ღამ გრძელდება.

პარიზის ქუჩებზე მათხოვარს იშვიათად დაინახავთ, რადგანაც მილიცია სდევნის. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს პარიზში არავის არა შიოდეს.

ნამდვილად კი პარიზში უკიდურესი სიმდიდრის გვერდით უკიდურესი სილატაკეა.

თითქმის ყოველ დაწესებულებას მთავრობისას აქ აწერია: „თავისუფლება, ერთობა, ძმობა“.

დღევანდელი პარიზი ამ სიტყვების სასაცილოდ აგდებაა, დიდი რევოლიუციის ლოზუნგები აქ ფეხშემ ითელება.

VII

ბერლინში რომ დაჰყოთ რამოდენიმე საათი, თქვენ უკვე იცით, რომ გერმანიის შუაგულში ხართ: ყველგან გერმანული ლაპარაკი, ყველგან გერმანული სახე, ყველგან გერმანული საქმიანობა.

სულ სხვა არის პარიზი. ყოველი ფეხის გადადგმაზე აქ სურათი იცვლება, ხალხი სულ სხვადასხვანაირია: ფრანგი, იტალიელი, პოლონელი, ჩინელი, იაპონელი, ებრაელი, ესპანელი, ამერიკელი, ევროპიელისა და ზანგის შეერთების ნახევრად შავკანიანი ნაყოფი, — ყველა თქვენი თვალის წინ ირევა ბუზივით და ძალიან დიდხანს დაგჭირდებათ დაკვირვება, რომ ფრანგის ნამდვილ ტიპზე წარმოდგენა იქონიოთ. ფრანგულის გვერდით თქვენ გაიგონებთ იტალიურს, ესპანურს, ინგლისურს, რუსულს და სხვ.

გერმანელი ტიპი ადვილი შესამჩნევი და გამოსარჩევია; საშუალოზე მაღალი, მოსული, ჩასკვნილი, მხარბეჭიანი, ქერა, წითური, დაბალი კისერი, სახე სავსე მოვარუ, ცხვირი — კართოფილი.

სულ სხვაა ფრანგი; ის მრავალფეროვანია, ცვალებადი.

ფრანგული ტიპი მტკიცე აღარ არის, იშლება, გადაგვარებას განიცდის.

მე ამაში ვხედავ ერის დაბერების ნიშანს.

ხშირად ნახავთ ფრანგს, რომელიც ებრაელს მოგაგონებსთ, ქართველს, ესპანელს.

ფრანგული ტიპების შესასწავლად უნდა მიმართოთ მუზეუმებს. აი აქ მხატვრულ ფერებსა და ხაზებში მართლაც საუცხოვოდ არის ჩაჭერილი ფრანგული ტიპი.

როდესაც მუზეუმებიდან ქუჩას მიმართავთ, მაშინ უფრო გაგიაღვილდებათ პარიზში ნამდვილი ფრანგის გამორჩევა.

საშუალოზე მაღალი, სუფთად ჩამოსხმული ტანი, მაღალი კისერი, გრძელი, ოდნავ კეხიანი ცხვირი. მოგრძო სახე და ნიკაპი, ცოტა წინწამოწეული სახე, მუქი წაბლისფერი თმა, ბრწყინვალე, ჭროლა თვალები — აი, დაახლოვებით ფრანგი კაცი.

საშუალო, ჩამოქნილი ტანი, წაბლისფერი თმა, მე-
ტად ცოცხალი, დიდრონი, ჭროლა თვალები, დიდი,
ვნებიანი პირი, გრძელი, ოდნავ კეხიანი ცხვირი,
ცოტა აბზეკილი, რგვალი ნიკაპი, მოგრძო სახე,
ოდნავ წინ წამოწეული ზედა-ტუჩი — აი, დაახლო-
ებით ფრანგი ქალი.

საფრანგეთის ბურუუაზიას სინამდვილე აღარ მოს-
წონს, მას გადასხვაფერებული სინამდვილე უნდა.

და რადგანც ის ცხოვრების ბატონია დღეს-დღე-
ობით, ამიტომ ყოველისფერი იმის გემოვნებას ეგუ-
ება და იცვლის სახეს.

არავინ და არაფერი ისე არ იცვლის აქ სახეს,
როგორც ქალი.

ქუჩაზე თქვენ სახეს კი არა ჰქედავთ, არამედ ნი-
ლაბს: ტუჩები, წამწამები, თმა, ლოყეფე-
რი შეღებილია, განსაკუთრებით ლოყებზე ისეა მუ-
ქი წითელი ფერი დატყებებული, როგორც საღ-
ბავი ზოგიერთ თანამედროვე მხატვრის ტილოზე.

იცხებს ყველა — ახალგაზრდაც, მოხუციც.

ყოველივე ეს მეტად ახასიათებს პარიზის. მოხუ-
ცებულ ბურუუაზიას. საღებავი დიდი თვალთმაქცია;
ის ცდილობს სიბერის ხაზების წაშლას, სიკვდილის
აჩრდილის განდევნას და სიჭაბუკის მოჩვენებას.

ამიტომ პარიზი დიდი ნილაბირ. აქ ყველა ცდილობს სინამდვილის. წაშლას, ახალი სინამდვილის შექმნას, ძველი ცხოვრების დავიწყებას და ახალის დაწყებას. თავის ქვეყანაში გაქუცულს აქ მთავრად მოაქვს თავი; თავის ქვეყანაში გაკოტრებული აქ მილიონერად დაიარება.

გიუიმყრელი აქ „პრენს ნადირ“-ია, მდივანი — „პრენს დივან“ და სხვ.

ყოველი კუთხის აფერისტი, ბნელი წარსულის მქონე, დაკარგული ტახტის მაძიებელი, ალფონსი — აქ იყრის თავს.

პარიზი ყველას იტევს, პარიზი ყველას სიმოვნებით ღებულობს.

პარიზი უდიდესი სანახაობაა, დიდი კინო. აქ ყველა თამაშობს.

აქ ოქვენ ნახავთ მემკვიდრეს არარსებული მილიონებისას და ხალხს სჯერა მისი მილიონერობა.

აქ ოქვენ ნახავთ მემკვიდრეს არ არსებული ტახტისას და ის ისე თამაშობს ამ როლს, როგორც გვარიანი მსახიობი სცენაზე.

აქ ოქვენ ნახავთ მინისტრებს, რომლებსაც სამინისტრო არსადა აქვთ; ნახავთ მთელ მთავრობას, რომელსაც სამთავრო არ გააჩნია. ნახავთ სავაჭრო, სააქციო საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ ქალალდზე არსებობს.

აქ არიან „დიდი მემამულები“, რომლებსაც ერთი მტკაველი მიწა აღარსად აბადიათ. დასეირნობენ სხვადასხვა „თავადები“, რომლებიც თავადებად მხოლოდ ყალბ მოწმობებში სწერიან.

აქ შეხვდებით სამოცდაათი წლის მოხუც ქალს; რომელიც ოცდაათი წლის ახალგაზრდად არის გამოწყობილი და იხილავთ ჭაბუქს, რომელიც ამ მანჭია ბებრუხანას სიყვარულს ეფიცება.

არა, მთელი პარიზი უშველებელი წარმოდგენაა, ყველა თამაშობს, ყველა მსახიობია და ბევრი. — ძალიან რიგიანიც.

ასეთს განწყობილებაში ძალიან დიდი გასავალი აქვს ჭორს, რადგანაც ჭორი ერთგვარი გამოგონებაა, ერთგვარი თამაში.

ყოველი უდიდესი ჭორი პარიზში ითხვება.

არსად ჭორი ისე არ საღდება, როგორც პარიზში.

არსად ჭორი ისე არ უყვართ, როგორც პარიზში.

ჭორი აუცილებელი დამატებაა პარიზის ცხოვრებისა, უჭოროდ პარიზი პარიზი აღარ არის.

ჭორი აქ ერთგვარი სპორტია; ვინ გინდათ, რომ მას არ იგონებდეს, ვინ გინდათ, რომ მას არ ავრცელებდეს. ჭორი თავისუფლად დათარეშობს პარიზში, ის ყველგან არის: ქუჩაში, სახლში, რესტორანში, სამინისტროში, რედაქციაში, ბირჟაზე.

მოდელის ჩარჩო არის ვიტრინა, ანუ ღიღი ფანტაზიები, სადაც გამოფენილია სავაჭრო საგნები.

ვიტრინის მხატვრულად მოწყობა, ყოველი საგნისა და ნივთის შესაფერისად დადგმა, მილაგება, არსად ისე არ არის განვითარებული, როგორც პარიზში.

ყოველი ვიტრინა აქ მთელი მხატვრობაა და ხშირად ძალიან ლამაზიც, აქ არის გემოვნება, ცოდნა, სტილი და სხვ.

დიდ მაღაზიებში ვიტრინები ღროდა-ღრო იცვლებიან — ორ-სამ დღეში ერთხელ.

პარიზი მსოფლიო ვაჭარია და იშვიათი, თავისებური ვაჭარიც. აქ ყველაფერი საქონელია, სხეულიდან მოყოლებული სახელსა და ღირსებამდე.

ყველაფერი აქ ფულის სასწორზე იწონება. თქვენ, მაგალითად, სახელი გაქვთ, მსახიობი ხართ ცნობილი და სხვ. მისცემთ თქვენს ფოტოგრაფიულ სურათს ამა თუ იმ სავაჭრო ფირმას და ზედ დააწერთ, რომ თქვენ იცვამთ მხოლოდ ამ ფირმის ტანისამოსს, ფეხსაცმელს, პერანგს და ძალიან კმაყოფილი ხართ. ეს ფირმა თქვენს სურათს ზედწარწერით დადგამს თავის ვიტრინაში და თქვენ კი აიღებთ დიდ ფულს გარდა იმისა, რომ ამ ფირმის ნაწარმოები მოგერომევათ უსასყიდლოთ ყოველთვეს, ყოველ კვირას.

აქ არიან ისეთი ცნობილი მსახიობები, რომლებ-
საც ყოველისფერი მუქთადა აქვთ: ტანისამოსი რამ-
დენიმე ათეული ყოველ-წლიურად ასეთი ვაჭრობის
წყალობით, ფეხსაცმელი ქუდი და სხვ. აქ ყველა
ჰყიდის თავის სახელს და ეს მიღებულია.

ამერიკელ მილიარდერ ქალს არაფერი არ აკლია
გარდა თავადობისა. თქვენ კი არაფერი არა გაქვთ
გარდა თავადობისა. ის ჰყიდულობს თქვენგან თავა-
დობას, თქვენ ჰყიდით ამ ლირსებას.

ეს აღვილი საქმეა.

შეხვალთ ეკლესიაში, დაიწერთ ჯვარს, მიიღებთ
გარიგებულ თანხას და თქვენ ერთ მხარეზე წახვალთ,
ის მეორეზე — მორჩა და გათავდა.

ასეთ ვაჭრობას შუამავალი უნდა, აგენტი.

პარიზიც უდიდესი შუამავალია, უდიდესი მაშუა-
ლი, მაჭანკალი, გამრიგებელი, კომისიონერი. თუკი
რამ არის მოსაგვარებელი, მოსაჭახრაკებელი, მო-
საგვარებელი, და სხვ., ყოველივე აქ კეთდება, პა-
რიზში.

ამგვარ საქმეებში პარიზი იმდენადა სდგას ყოველ-
გვარი კონკურენციის გარეშე, რომ თვით დიპლო-
მატიაც — კი პარიზში ჩამოდის ყოველი მხრიდან,
როდესაც ის განსაკუთრებით თაღლითობს და ეშ-
მაკობს.

შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა, მაგრამ ნათქვამიდანაც ცხადია შემდეგი: პარიზს აქვს ბევრი ისეთი თვისება, რაც იზიდავს მსოფლიო ბურუჟაზიას.

ამიტომაც დასასვენებლად, გასართობად, დროს გასატარებლად და ბევრჯერ გულის გადასაყოლებლად, დასაკებლად ბურუჟაზია ევროპისა და ამერიკისა დრო-და-დრო აქ იყრის თავს.

ზნეობას, კეთილშობილებას, ადამიანობას, ღმერთს, ხატს და სხვა ამისთანებს, რაც ბურუჟაზიას მუდამ ენაზე აკერია, აქ ის ივიწყებს და ხარბად ეწაფება ავხორცობის ტბას.

გარეუნილებას პარიზში თავისი პოეზია აქვს, თავისი პოეტები ჰყავს, თავისი მხატვრები, ხუროთმოძღვრები.

ყოველივე ამისი შესწავლა კი არა, მარტო დანხვაც, მეტის მეტად ძნელია, რადგანაც ჩვეულებრივი მომაკვდავი ასეთ ადგილებს ვერ იხილავს.

რატომ? აკრძალულია და ფარულად, საიდუმლოდ სწარმოებს ყოველივე? პოლიცია სდევნის?

კანონით არ არის ნებადართული, მაგრამ.

„დახედეთ, ოქრო რასა იქმს,

კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“.

ოქროთი აქ ყველაფერი შეიძლება, ყოველივე მოხერხდება.

ფილიპე მაკელონელი ამბობდა: ათინის ასაღებად საკმარისია ოქროთი დატვირთული ვირიო. პარიზში ოქროთი ყველაფერს აიღებთ, ყველას მოისყიდით.

ხოლო საქმე იმაში გახლავთ, რომ შესვლა ისეთ ადგილებში, სადაც ბურუუაზია ნიღაბახდილი ეძლევა განცხრომას, მეტად ძვირი ჯდება და ჩვეულებრივ მომაკვდავს ეს არ შეუძლია.

პარიზი უდიდესი სოდომია, გარყვნილების ყოველგვარ სახესა აქვს აქ ადგილი; გარყვნილების მოდას პარიზი ჰქმნის.

არის ისეთი ადგილები, სადაც „კეთილშობილი“ ოჯახების ქალები და კაცები მასკებით მოდიან, სრულებით შიშვლდებიან და საჯაროთ ასრულებენ სქესობრივ აქტს; შეგიძლიათ, უყუროთ, შეგიძლიათ, მონაწილეობა მიიღოთ, — როგორც გენებებათ.

არის რესტორანები, სადაც სრულებით გაშიშვლებულ ქალებს მოაქვთ სასმელსაჭმელი.

არის სხვადასხვა თეატრი — მიმოხილვა, სადაც სცენაზე სრულებით გატიტვლებულ ქალებსა ხედავთ.

გეტიკიან:

— ეს მეტისმეტად ლამაზიაო.

მე არ უარყოფ, რომ სიშიშვლეში არის სილამაზე, მაგრამ ყოველთვის არა და ბევრჯერ — კი არის ვნება უფრო მეტი.

VIII

პარიზი იშვიათია, პარიზი გადასარევია მხოლოდ ბურჟუაზიისათვის, რომლის ცხოვრებაც, განცხრო-მაც, ფუფუნებაც, გარყვნილებაც, დროს ტარებაც პარიზში ნამდვილი ზღაპარია.

ამავე დროს თქვენ აქ ნახავთ ისეთ ღატაკებს, რომლებიც დილა-ადრიანად ქუჩებსა და ხეივნებში სიგარების ნამწვს აგროვებენ, რესტორანებთან პუ-რის ნატეხებს და ნაგავში ხელს ურევენ, იქნება რა-მე ვნახოთო.

მუზეუმების ან რაიმე ძველი ეკლესიის წინ და-გიხვდებიან სხვადასხვა პირები, დაუინებით გაწვდი-ან პატარა, ლია ბარათის ოდენა სურათებს მუზეუ-მისას და გეხვეწებიან, იყიდეთო. თითო სურათი ორი-სამი კაპეიკი ლირს და ვერ წარმოიდგენთ, რა-მდენ ენერგიას ხარჯავს ყოველი მათგანი ასეთი სურათის გასასალებლად. მყიდველი იმდენად ცო-ტაა, რომ ბევრი-ბევრი გაჰყიდოს დღეში ოცი-ოც-დაათი და პარიზში ამითი უნდა ირჩინოს თავი, შეინახოს ცოლშვილი!

თქვენ აქ ნახავთ უბნებს, სადაც დღე იწყება დილის 4-5 საათზე და თავდება ლამის 10-11 საათზე.

ეს გახლავთ მუშათა უბნები: ძილისა და დასვენებისათვის 5—6 საათი. დანარჩენი სულ მუშაობა ლუკმა პურისათვის!

სამაგიეროდ არის ისეთი უბანიც, სადაც დღე იწყება შუალამის თორმეტ საათზე, და თავდება შუალის თორმეტზე.

ეს გახლავთ მდიდარი ბურუუების უბანი—მონმარტრი. მათი „სამუშაო დღე“ უდრის თორმეტ საათს: შუალამიდან. შუადღემდე ქეიფი. ტიტველი ქალები, შამპანიური, კოკტეილი, შუადღიდან შუალამემდე მოსვენება და ძილი.

მუშების ხელფასი იმდენად შცირე არის, რომ მუშის პირველ საჭიროების მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებს. მუშაობა სწარმოებს დილის 7 ნახევარი—8 საათიდან 12-მდე და შემდეგ 1 ნახ. საათიდან 6 ნახ.—7-მდე. ამრიგად მუშა თითქოს მუშაობს 9—10 საათი. ნამდვილად კი მუშა ხშირად 15—16 საათს მუშაობს და ბევრჯერ ზედმეტ სამუშაოში არაფერს ღებულობს.

ხაზეინი გამოაცხადებს: ამ დღეებში ლამის 10—11 საათამდე უნდა იმუშაოთო. მუშას უფლება აქვს უარი განაცხადოს, მაგრამ უარს არავინ ამბობს, რადგანაც სამუშაოდან დაითხოვენ.

ამიტომ მუშა ფაქტიურად მუშაობს ქარხანაში 12—13 საათი. რაღვანაც ხელფასი არ აკმაყოფილებს იმის ყოველდღიურ აუცილებელ მოთხოვნილებას. ამიტომ სამუშაო მოაქვს ბინაზედ, ღამე მუშაობს რამდენიმე საათს.

კვირა-უქმე დღეს მას არაფერი ეძლევა, უფასო საექიმო დახმარებით იშვიათად სარგებლობს, სავალდებულო დაზღვევა არ არსებობს და სხვ.

მერე საქარხნო ინსპექცია არ არსებობს? როგორ არა, ქალალდზე ყველაფერია, სინამდვილეში კი არაფერი!

ამავე დროს „თავისუფლება, ერთობა, ძმობა“, ჰკითხულობთ პარიზში ყოველ სახლზე!

გადავავლოთ ახლა თვალი მუშის დღეს. დილით 7 ნახ.—8 ს-ზე ის უკვე სამუშაოზე არის და მუშაობს. თორმეტიდან 1 ნახევრამდე ის თავისუფალია. უნდა წავიდეს სახლში, საჭმელი სჭამოს და უკან გაბრუნდეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მუშების უმრავლესობა განაპირო უბნებში ცხოვრობს ქარხანა-ფაბრიკაზე დაშორებით და სასიარულო ბევრი აქვს, დამეთანხმებით, რომ ამ ხნის განმავლობაში მას დასვენება არ შეუძლია. ორის ნახევრიდან ისევ სამუშაოზე არის: წესით ის, ათავებს სამუშაოს შვი-

დის ნახევარზე, მაგრამ ნამდვილად ცხრა-ათ საათამ-დე ზედმეტ სამუშაოს ასრულებს. დაქანცული და-ბრუნდება' სახლში, შეჭამს რასმე და წაიძინებს; მა-გრამ მას სახლშიაც მოაქვს სამუშაო. ამიტომ უნდა ადგეს ნაშუალამევს ოთხზე და დილის შვიდ საათა-მდე იმუშაოს. ე. ი. დღეში მიიღებთ 15—16 საათს.

აი, როგორა ცხოვრობს აქ მუშა: პარიზი ყო-ველისფერით სავსეა, მაგრამ მისთვის არაფერი არ არის, ხელი არაფერზე მიუწვდება, რადგანაც ამი-სათვის არც დრო აქვს, არც ფული.

ბევრი არის აქ უცხოელი მუშა: იტალიელი, ეს-პანელი, რუსი და სხვ.

უცხო ელემენტი ადგილობრივ მუშებს ძალიან ცუდ სამსახურს უწევს თავის-და უნებურად.

უსალსრობისა გამო ის იძულებულია დაბალ ხელ-ფასში იმუშაოს, ყოველგვარ გაფიცვას გაურბის ამა-ვე დროს, რადგანაც ეშინით ამასაც დავკარგავო.

— რასა ბრძანებთ! ამ და ამ ფაბრიკაში მუშებს შემოსავალში აქვთ ნაწილიო.—გეტყვიან პარიზში ბურუჟაზიული წყობილების თაყვანისმცემლები.

ეს მართალია, მაგრამ სამაგიეროდ მუშის ხელ-ფასი ასეთ ფაბრიკებში იმდენად მცირეა და სამუ-შაო დღე იმდენად გრძელი, რომ ამგვარი „წყალო-

ეს საცოდავები, დასვენება, მომსამსახურეს ათ-თორ-ლი, თეატრი, გართობა მათი უციის, გაფიცვის საფრ-ასეთი კატორლისათვის პოტბის, რაღვანაც ამგვარის 30 აქლიათ და მერე სარმოსამსახურეთა რიგებში დე-
პარიზში, რომელიცს. მუშა და მოსამსახურენიც ფრით!

ჩვენ მარტო ჯამაგირს კი არ ყველა იმათთა შემოსავლიდინ პროცენტებსაცო! ეკუთვნის ან ბუჭ ასეთ ხრიკებს მარტო მთლიანი ული, ცხოვრებულსტება კი არ შეაქვს მუშებში, არა-
რესტორანს, განწყობილებაც. მუშების ნაწილი რის თქვენ ნახლოთვიურად პატარა წვლილის შეტა-
ვილებს.

უნივერსიტენებობს ეს ნაწილი? 80 მანეთიანი ილა და პატარა აგარაკზე პარიზის მი-
ნიერებაა.

დაბალბა არა თუ ვერაფერს ვერ გადირჩენს, თავ-
მეტად მის ივს. ინახავხ.

ამის ს მცირე ნაწილი კვალიფიციური მუშებისა,
მეობა დაიც შედარებით კარგ პირობებში იმყოფე-
ქრონიკამ მე მოგახსენებთ უმრავლესობაზე; ამ
წესებთა ავლესობის მდგომარეობა მეტად მძიმეა.

ექსპლოატაცია მუშისა საფრანგეთში, განსაკუთ-
რებით-კი პარიზში, საშინელია.

რამდენიც უნდა ი
ცა უნდა, მაშინ დაითხო ჩამდვილად ცხრა-ათ საათამ-
გასთან თქვენი გვარია. მსრულებს. დაქანცული და-
ნი გვარი მოხსნილია, ეს ის რასმე და წაიძინებს; მა-
თხოვნილი ხართ.

ვერავის ვერ მიმართავთ, არი ილის შვიდ საათა-
გივათ: უნდა მიხვიდეთ კანტორაში, ზა: პარიზი ყო-
რიში და დაუკრათ თავი.

ვთქვათ, საჭირო არის ქარხანაში არაფერი არ
თვისაც მუშაობა ერთი კვირით უნდადგანაც ამი-
ხაზეინი ყველა მუშებს დაითხოვს, რომ
დოს ამ ერთი კვირის ხელფასი, და რაოდიელი, ეს-
მდეგ ისევ მიიღებს.

შებს ძალიან
ჩვენში კი ბევრსა ჰვონია: საფრანგებიად.
რი, განათლებული ქვეყანაა და მუშას იქ აბალ ხელ-
ახლა გადავავლოთ თვალი სასტუმროს ამა-
რესტორანებში, კაფეებში მოსამსახურეთა
რეობას. მათი სამუშაო დღე უდრის თხუთმავრო.
ათს და ასეთს შრომაში იღებენ იმდენს, რომ არიზში
სა სჭამენ მხოლოდ.

სავაჭრო სახლებსა ჰყავთ აუარებელი მუშა ხელ-
ლები, რომლებიც ჰქერავენ ტანისამოსს, საცვლელი მუ-
და სხვ. განსაზღვრული ხელფასი მათ არა აქვთ,
იღებენ ნაჭრობით. მთელი დღე და ღამე მუშაობენ

ეს საცოდავები, დასვენება, მოსვენება, საკმაო ძილი, თეატრი, გართობა მათთვის არ არსებობს და ასეთი კატორლისათვის პურსა სჭამენ, სხვა ყოველივე აკლიათ და მერე საღ?

პარიზში, რომელიც ყელამდე ავსილია ყოველის-ფრით!

ყველა იმათთვის, ვინც ბურჟუაზიის წრეს არ ეკუთვნის ან ბურჟუაზიის სუფრაზე არ არის მიწვეული, ცხოვრება ძალიან ძნელია.

რესტორანსა და კაფეებში მოსამსახურეთა შორის თქვენ ნახავთ უმაღლესი განათლებით აღჭურვილებს.

უნივერსიტეტში კურსდამთავრებულმა თუ 60—80 მანეთიანი ადგილი იშოვა პარიზში, დიდი ბედნიერებაა.

დაბალი და საშუალო მოხელეების ჯამაგირი აქ მეტად მცირე არის.

ამის გამო საშინალად გავრცელებულია მექრთა-მეობა და „на чай“.

ქრთამი მოკალათებულია ყველგან, ყოველ დაწესებულებაში; საღაც უნდა შეხვიდეთ, ყველა ხელში შემოგჩერებიათ.

პარიზში უფულოთ ვერაფერს ვერ ნახავთ, ვერაფერს ვერ დაათვალიერებთ.

ამბობენ, გერმანელი ხელმოჭერილიაო. ფრანგი ამ მხრივ გაცილებით უარესია.

ფრანგი ბუნებით გრძნობიერია, გატაცებული, დარღიმანდი, მხიარული, ხელგაშლილი, მაგრამ იძულებულია ყოველივე ეს ალაგმოს, რადგანაც ცხოვრება უჭირს და ყოველი კაპეიკი განაწილებული აქვს წინდაწინვე.

გაჭირვების ნიადაგზე ხშირი არის აქ თვითმკვლელობა. ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება თვითმკვლელობისა არის ჰაირით მოწამვლა. სახლებში აქ ყველგან გაყვანილია საწვავი ჰაირი სამზარეულო-სათვის, ოთახის გასათბობად და სხვა.

მოუშვებთ ჰაირის გამოსაშვებ ონკანს, დაწვებით; ოთახი გაივსება შხამიანი ჰაირით და ნელანელა ძილში გაიპარებით.

ამ გზით ზოგჯერ მთელი ოჯახი ისპობს სიცოცხლეს.

გაჭირვების ნიადაგზე საშინლად გავრცელებულია აქ პროსტიტუცია. ჰყიდიან სხეულს მარტო ქალები კი არა, ვაჟებიც.

ქურდობა, ცარცვა, ყაჩალობა აქ ხშირი მოვლენაა და ყოველივე ეს ისეთის ცოდნით, გეგმიანობითა და დახელოვნებით სწარმოებს, რომ გაგიკვირდებათ.

ბერლინი ბუმბერაზია, ლითონის რაინდი.

პარიზი კოხტა, კოპტია მღიდრულად მორთული პატარძალია და ამიტომ უამრავ ცდუნებას წარმოადგენს.

ვისაც უნდა პარიზით დატებეს ბურუუაზიული გემოვნებით, ბევრი ფული უნდა ჰქონდეს.

მოხერხებული ქურდობა აქ ფულის შოვნის ერთ-ერთი საშუალებაა. არსებობს აქ უძველესი უნივერსიტეტი—სორბონა.

სორბონის სტუდენტის სახელშოდება მეტისმეტად საპატიო იყო.

გაჭირვება იმდენად დიდია, რომ ქურდობა სორბონაშიაც კი შევიდა.

ამ დღეებში დააკავა მილიციამ სორბონის სტუდენტების მთელი ორგანიზაციი, რომელიც სისტემატიურად ეწეოდა ქურდობას.

მიზეზი უკიდურესი გაჭირვება გახლავთ.

სწორედ ამ დღეებში მომიხდა მუშათა და ლარიბ მოქალაქეთა უბნების დათვალიერება.

ყველა ეს უბანი იმყოფება ქალაქის განაპირას.

საშინელი სურათია, მეტადრე პარიზის შუაგულის შემდეგ.

მეტისმეტად ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, ჭუჭუით, ნაგვით სავსე. დაბალი, პატარა, გასვრი-

ლი სახლები. ბინძური სამიკიტნოები; არც კინო, არც თეატრი, არც რაიმე გასართობი, საშინელი სიბნელე, რაღვანაც განათება არის გაზისა და ისიც აქა-იქ.

მილიციას აქ ვერ შეხვდებით და ლამე დათარე-შობენ პარიზის ყაჩალები აპაშები.

პარიზში სხვაც არის განაპირა უბნები, სადაც მდიდრები ცხოვრობენ. აბა შეადარეთ!

განიერი, სუფთა, ხეივნებიანი ქუჩები, ლამე ელე-ქტრონით გაჩირალდნებული, საუცხოვო სახლები. ბალჩებით, კინო, მდიდრული რესტორანები, ტრა-მვაი, მეტრო, ავტობუსები, ავტომობილები, შუა-ლამიდან გათენებამდე ქეიფი, აუარებელი მილიცია და სხვ.

ერთის მხრით ყველაფერი, მეორეს მხრით სრუ-ლებით არაფერი!

და ეს იმ ქალაქში, სადაც ყოველი კულტურული ან საზოგადოებრივი ხასიათის შენობაზე დიდი ასო-ებით აწერია: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!

დამეთანხმებით: შეუძლებელია, რომ ასეთი მდგო-მარეობა მტკიცე იყოს.

პარიზი რყევაშია, პარიზი ცეცხლმქშინავი მთა არის, რომელიც ჯერჯერობით მიყუჩებულია, მაგ-რამ ვინ იტყვის, რამდენი ხნით?

ამიტომ ბურჯუაზიას ეშინია და შიშის გასაფან-
ტავად ქეიფობს, ქეიფობს და ქეიფობს.

მემარცხენე მოძრაობა თანდათან ძლიერდება და
ამ მხრივ ძალიან მიემგვანება პარიზი ძველ რომს,
მისი დაცემის წინახანებში.

ერთის მხრით საშინელი სიმდიდრე, ფუფუნება,
გარყვნილება; მეორეს მხრით საშინელი სილატაკე.

ხალხი ხსნას ეძებდა ახალ სარწმუნოებაში, რო-
მელიც თანდათან ვრცელდებოდა.

მთავრობა საშინელის სისასტიკით სდევნიდა ქრი-
სტიანობას, მაგრამ ის შეუჩერებლად მიღიოდა წინ
და სასახლეებშიაც შედგა ფეხი.

ბოლოს ძველი რომი დაინგრა.

დღევანდელს პარიზში, მიუხედავად მთავრობის
ყოველგვარი მეცადინეობისა, კომუნიზმის იდეა თან-
დათან ვრცელდება და თანდათან მაღლა იწევს;
მუშათა ფენებიდან ის ნელნელა ედება სხვა წრეებს.
და მიჰყავს თავის რიგებში ცნობილი მწერლები,
საზოგადო მოღვაწენი, ვექილები და ექიმები.

ახალი იდეა ახალი ცხოვრებისა ნელნელა გზას
იკაფავს და წინ მიღის.

1919 წელში აქ ისეთი მდგომარეობა ყოფილა.
რომ მთავრობის წრეებში აზრიც-კი ტრიალებდა:
ვერსალში გადავიდეთ და იქიდან ვებრძოლოთ პა-

რიზის მუშებსო. კომუნისტური მოძრაობის ტალღა ისეთი მძლავრი იყო, რომ ბურჟუაზია საშინლად დაფრთხა და დაიბნა.

მაშინ კლემანსომ მიმართა ასეთ ხერხს: მუშების ერთ ნაწილს დაურიგა პარიზის მიტამოებში საკუთრებად პატარ-პატარა ნაჭერი მიწა. მუშები მიზიდა საკუთარი ბოსტანის, ბალჩის გაკეთებამ და ამან შეიტანა მოძრაობაში დეზორგანიზაცია, სარევოლიუციო ტალღა შეანელა. კლემანსო ჰუკიქრობდა: ვეება ქალაქში აუტანელი შრომით სულშესუთული მუშა სოფლის მეურნეობას დაეწაფებაო, და მართალი გამოდგა. მაგრამ ამით მან მხოლოდ დროებით იხსნა ბურჟუაზია; დროებით შენელდა ტალღა, მაგრამ შემდეგ ისევ აბობოქრდა.

თბილისში მცხოვრებს ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს საფრანგეთში კომუნისტური მოძრაობა არ იყოს ძლიერი. ოთხი დეპუტატი ძლივს გაიყვანეს, გაიძახიან ხშირად.

თუმცა კომუნისტებმა წარსულ არჩევნებზე რამდენიმე დეპუტატი გაიყვანეს მხოლოდ, მაგრამ ეს სრულებით არ გამოჰქატავს ძალთა განწყობილების ნამდვილ სურათს. საქმე იმაში გახლავთ, რომ საფრანგეთში პროპორციონალური არჩევნები კი არ არის, არამედ კომუნალური, საუბნო. ყოველი კო-

მუნა ცალკე ირჩევს დეპუტატს. მაგ. თუ ერთმა პარტიამ მიიღო ასი ხმა, მეორემ კი ოთხმოცდაცხრა-მეტი, პირველი ირჩევს დეპუტატს და მეორე არა თუ არ ირჩევს, მთელი ეს ხმა სრულებით ეკარგება და მეორე კომუნის საარჩევნო ხმებს არ მიემატება.

აი ასეთი ბარბაროსული საარჩევნო კანონის საშუალებით იმარჯვებს დღეს-დღეობით ბურჟუაზია, მაგრამ ეს ხომ საკუთარი თავის მოტყუებაა.

ნამდვილი ძალთა განწყობილება თუ გნებავთ გაიკოთ, აი როგორი იყო: მილიონ ორასი ათას ამო-მრჩეველში ოთხასი ათასი ხმა კომუნისტებისა იყო; ეს გახლავთ მესამედი.

დამეთანხმებით, ეს მეტად დიდი და საგრძნობი ძალაა, რომელიც ერთ წერტილზე კი არ არის გა-ჩერებული, არამედ თანდათან იზრდება.

ერთხელ ჭიდევ გაამართლებს პარიზი ნეკრისოვის ერთ ლექს:

„სხვაგვარ დროების და სურათების განვსჭრეტ დასაწყისს, მოახლოებას“.

სხვა მრავალ მიზეზთა შორის მუშათა უქმაყოფი-ლებას ხელს უწყობს სიძვირე.

ბინა და პირველი საჭიროების საგნები აქ ბევ-რად უფრო ძვირია, ვიდრე ჩვენში. შედარებით ია-ფია ფეხსაცმელი და ტანისამოსი. სიძვირე. თანდა-

თან „იზრდება და მთავრობის ლონისძიებანი მას ვე-
რაფერს ჰშველის.

ბაზარზე სრული ანარქია სუფევს: სხვადასხა დუ-
ქანში ერთსა და იმავე სანოვაგეს, საქონელს სხვა-
დასხვა ფასი აქვს.

IX

პარიზი არის ხელოვნების უდიდესი ქალაქი მთელს
მსოფლიოში.

ძველი და ახალი ქანდაკება და მხატვრობა — აი-
რითი არის ის განსაკუთრებით მდიდარი.

აქ არის მუზეუმები: ლუქსმბურგისა, როდენისა
და სხვ., ხოლო ყველაზე უფრო განსაკვითრებელი
ლუვრია.

ლუვრი წარმოადგენს უზარმაზარს; სამ სართუ-
ლიანსა და ნალივით მოხრილ შენობას, რომელიც
იმყოფება პარიზის საუკეთესო ნაწილში — ტიულე-
რის ბაღის თავში.

ამ უზარმაზარ შენობაში მოთავსებულია ქანდა-
კებანი ძველი ასურეთ-ბაბილონიდან მოყოლებული
ჩვენ დრომდე და იშვიათი მხატვრობა სხვადასხვა
დროისა და მიმართულებისა.

ლუვრის შთაბეჭდილება მეტისმეტად დიდია. 30-
რაფერს ამის მსგავსს ვერ ნახავთ ვერსად.

ლუვრი პარიზის სიამაყეა; კაცობრიობის გენია-
ლობა და ხელოვნების მწვერვალი.

ხელოვნება კლასიური მოვლენა არის, თუ არა?

ასეთი კითხვა ხშირად იწვევს გაურკვევლობას.
იმ პირებს, რომლებსაც სრულიად ვერ შეუთვისე-
ბიათ მატერიალისტური მსოფლმხედველობა და იდე-
ალიზმისაგან ვერ განთავისუფლებულან, ჰერნიათ,
რომ არის ბევრი რამ ზეკლასიური, სხვათა შორის,
ხელოვნებაც.

აზრთა სრული არევ-დარევაა. სხვადასხვა კლასს
ხელოვნების ასპარეზზე ბევრი რამე აქვთ საერთო,
მაგრამ თვითონ ხელოვნება მთლიანად აღებული
კლასიურია; ყოველ კლასს საკუთარი ხელოვნება
აქვს, ისე როგორც საკუთარი სურვილები, საკუთა-
რი მისწრაფებანი, აკუთარი შეხედულება.

პარიზს აქვს საკუთარი თეატრი, საკუთარი კინო,
საკუთარი სიტყვაკაზმული მწერლობა. პარიზში
პროლეტარიატი დიდია და მას აქვს საკუთარი ლი-
ტერატურა, საკუთარი სიტყვაკაზმული მწერლობა.

მაგრამ რაღვანაც ბატონობა და ძალაუფლება
ბურუუაზიის ხელშია, ამიტომ თეატრულიაც, კინოში-
აც, მწერლობაშიც გაბატონებულია ბურუუაზიული
ხელოვნება.

საფრანგეთი განთქმულია კომედიით; ფრანგული კომედია სასაცილო ხასიათებითა და რთული, გადახლართული, მოულოდნელი, სასაცილო მდგომარეობით ყველასათვის ცნობილია.

საფრანგეთის კომედიამ ნიღაბი აჭხადა არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრებასა და ბურჟუაზიის ზნეჩველებას.

დღეს საფრანგეთის კომედია ჩამოქვეითდა მოხუცი ბურჟუაზიის გემოვნებამდე და მისი მიზანია არა ნიღაბის ახდა და მებრძოლი, გამანადგურებელი დაცინვა, სასაცილოდ აგდება ყოველივე იმისი, რაც დრომოჭმულია და მავნებელი, არამედ ბურჟუაზიის გართობა, გაცინება, კარგ გუნებაზე დაყენება.

ამიტომ ყველა იმ კომედიებში, რომლებიც დღეს პარიზის სცენაზე იდგმებიან, გამეფებულია შაბლონი.

ცოლი და ქმარი, ცოლის საყვარელი და ქმრის საყვარელი — აი მთელი წონჩხი თითქმის ყოველი კომედიისა; მათი სასაცილო მდგომარეობა და შემდეგ მხიარული დაბოლოვება, — აი მთელი შინაარსი.

იგივე სურათია კინოშიც: ერთის მხრით რეკლამა, მეორეს მხრით ბურჟუაზიული მორალი და მეშჩანური შაბლონი.

სავაჭრო დაწესებულებანი აუარება ფულს ხარჯა-
ვენ კინო-რეკლამებში და ყოველი სეანსის მთელი
ნახევარი რეკლამებს უნდება. თქვენ გიჩვენებენ ტა-
ნისამოსს, ფეხსაცმელს, სასმელებს, ავტომობილებს
და იქვე აღრესი ფირმისა.

მაყურებელს რომ არ მოეწყინოს, ყოველი რეკლა-
მა გადამზულია რაიმე შემთხვევასთან.

მაგალითად, თქვენ წინ იშლება აფრიკის სურა-
თი, მდინარე. ზანგი კრეჭითა და მანჭვა-გრეხით
მოდის, გაჩერდება მდინარის ნაპირზე, წინდაწინვე
სიამოვნებით იზმორება, ჩახტება და ბანაობს. ამ
დროს სქელი და ხშირი ლერწამებიდან თავს გამო-
ჰყოფს ნიანგი, მიეპარება ზანგს, წაავლებს თავში
პირს და ჰყლაპავს. რომ უფრო გამხიარულდეს მა-
ყურებელი, ნიანგის პირიდან ამოჩრილი ფეხები
დიდხანს სავსაობენ ჰაერში. აი ნიანგმა გადაჰყლა-
პა თავისი მსხვერპლი, ფეხები დაიმალენ. ამ დროს
ნიანგის პირიდან ამოვარდება ბუშტი და ზედ ჰკი-
თხულობთ: ქალის საუკეთესო ფეხსაცმელები ნიან-
გის ტყავიდან იყიდება ამა და ამ ქუჩაზე, ამა და
ამ მაღაზიაშიო და სხვადასხვა. ამის შემდეგ იწყება
შაბლონური სურათი. ჩვეულებრივი შინაარსი ასე-
თი სურათებისა: სიყვარული, პაემანი, დაბრკოლე-
ბანი სიყვარულის გზაზე, შიში, გულის ფანცქალი,

დიდი საზოგადოების გართობა, ცეკვა, სხვადასხვა დაბრკოლებათა გადალახვა და ბოლოს მშვიდობიანი დაბოლოვება — შეყვარებულები ერთმანეთს იპოვიან და ან აგტომობილით მიჰქრიან, ან მატარებლით და გაუსხლტებიან ამრიგად მდევრებს. ყველაფერი ისე მიმდინარეობს და თავდება, როგორც ესიამოვნება ბებერ ბურუუას: ლამაზი და შიშველი ქალები, დაუსრულებელი კოცნა და ტუჩების ამოწუწვნა, ვნების გამალიზიანებელი ცეკვა, სხვადასხვა ხიფათი, მხოლოდ უშსხვერპლოდ და ბოლო კეთილი. ბურუუა დატკბება, გაიცინებს და ნასიამოვნები დაბრუნდება სახლში.

კინო აქ ემსახურება აგრეთვე ბურუუაზიული მორალის ქადაგებას.

ამ დღეებში აჩვენებდენ აქ დიდ ამერიკულ სურათს „ბენ-ჰურს“. სურათში ნაჩვენებია რომის ბატონობა პალესტინაში, ქრისტეს დაბადება, ქადაგება და ჯვარცმა.

ბენ-ჰური მეტად მდიდარი ებრაელია. ის ხმალს იშიშვლებს, რომ ქრისტეს ამოუდგეს გვერდით და თავის ქვეყანა მოაწყოს ისე, როგორც მას უნდა; მაგრამ გოლგოთისაკენ მიმავალი ქრისტე არწმუნებს მას:

ნუ იუნჯებთ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, არამედ
იუნჯებდით საუნჯეთა ცათაშინაო. ბენ-ჰური გამო-
ფხიზლდება, გონის მოვა, დარწმუნდება, რომ ამ
ქვეყნად ყოველივე ამაოა, მარადიული ცხოვრება
მხოლოდ საიქიოს არის, და ხმალს გადააგდებს.

ამას უქადაგებენ მშრომელ ხალხს ის ბურუუები,
რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ მი-
ლიარდების გამრავლებაზე ოცნებობენ და ოქროს
ბრჭყალებში ამერიკასა და ევროპას აღრჩობენ.

ტაკიმასხარები!

მუშებში აღარ არიან ისეთი გულუბრყვილონი,
რომ ასეთ ანკესზე წამოეგონ.

თეატრების უმეტესი ნაწილი კერძო პირების ხელ-
შია. კერძო პირი თეატრს უყურებს ვაჭრული თვალ-
საზრისით. ოღონდ შემოსავალი იყოს და ის ყვე-
ლაფერს დადგამს. რადგანაც შემოსავალს ბურზუა-
ზია იძლევა, ამიტომ თეატრი სდგამს იმას, რაც
ბურზუაზიას ესიამოვნება; მისაღებია ყველაფერი,
რაც კი ბებერი ბურზუაზიის გემოვნებას დააკმაყო-
ფილებს. ასეთს პირობებში ხელოვნება ფრთებს ვერ
გაშლის და ვეღარცა შლის ის პარიზში. თქვენ აქ
ნახავთ მეტად მდიდრულ, ხშირად ძალიან ლამაზ
დადგმას, მაგრამ უშინაარსოს. თავაღებული გაქა-
ნება წინ, ძიება განდევნილი.

ზოგიერთი თეატრი სახელმწიფოა და აქ უფროა
ისევ დარჩენილი საფრანგეთის კომედიის ტრადი-
ციები. დიდი ოპერის შესანახად მთავრობა ხარ-
ჯავს ყოველ წლიურად ასი ათას მანეთზე ცოტა
მეტს.

ეს გახლავთ ნახევარი და ნაკლებიც იმისი, რა-
საც ხარჯავს ოპერაზე პატარა საქართველოს მთავ-
რობა ათჯერ უფრო პატარა თბილისში!

პარიზი არის ემიგრაციის დიდი ქალაქი. ყოფილი
ადამიანები, ყოფილი მთავრობები, მინისტრობის,
პრეზიდენტობისა და ტახტის მაძიებელნი, ყველა
ხარისხის კონტრ-რევოლიუციონერი ყოფილი რუ-
სეთის იმპერიიდან აქ არიან უმთავრესად თავმოყ-
რილი.

თქვენ იქნება გიკვირთ, რაღა მაინც და მაინც
კინოსთან ერთად გაგახსენდათ.

უბრალო შემთხვევა. არ გახლავთ, არამედ შინა-
განი მსგავსება, იდეათა ასსოციაცია.

ემიგრაცია. იგივე კინოა.

არა გჯერათ?

აბა თქვენ თვითონ კარგად დაუკვირდით.

კინო—სწრაფი მოძრაობაა, მოულოდნელი ცვალე-
ბადობა.

ემიგრაციის წევრთა ახლობელი წარსულიც იგი-
ვეა—სწრაფი მოძრაობა, მოულოდნელი ცვალება-
დობა და სხვა.

უცებ, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი გახდა მი-
ნისტრი, პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარე,
სარდალი. წყეულმა კომუნისტებმა „მოულოდნელად“
მოახდინეს რევოლუცია, მოულოდნელად გამოცა-
ლეს, გადაატრიალეს ყოველივე და მოულოდნელი
მინისტრი, სარდალი, პრეზიდენტი, და სხვ. მოუ-
ლოდნელადვე გადაიქცენ ჩვეულებრივ მომაკვდავე-
ბად, უბრალო მოხეტიალედ, ნოქრად, ავანტიურის-
ტად და სხვა.

კინოში თამაშობენ?

ემიგრაციის წევრები კი არ თამაშობენ განა?

ერთი არარსებული ტახტის მექვიდრეს თამაშობს,
მეორე—იმის მინისტრს, მესამე—იმის ადიუტანტს, მე-
ოთხე—პრეზიდენტს, მეხუთე—ელჩს და სხვ.

კინოში მოქმედება სწარმოებს ვთქვათ ლონდონ-
ში და აგერ ხელად გადაფრინდება ნიუ-იორკში.

ემიგრაციაშიაც ასე არის: მოქმედება სწარმოებ-
და მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, თბილისში,
ერევანში; ახლა სწარმოებს პარიზში, ბერლინში,
ლონდონში და სხვ.

აქაური ემიგრაცია ინტერნაციონალურია; რუსი, სომები, თათარი, ქართველი, უკრაინელი, ჩერქეზი—ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს.

რათ უყვარს მაინცა-და-მაინც პარიზი ემიგრაციას? იმიტომ, რომ პარიზი დიდი თეატრია, დიდი წარმოდგენა, დიდი სანახაობა.

ემიგრაცია თვითონ წარმოდგენაა, სანახაობა. მარტო კერძნები რათა ლირს ან კირილე, რომელსაც რუსეთის გლეხობა სულ მოკლე ხანში უპირებს თუ-რმე იმპერატორის ტახტზე დაბრძანებას!

პარიზი ზღაპარია, ლამაზი ზღაპარი.

ემიგრაციასაც ზღაპარი უყვარს, ტებილი, მომხი-ბლავი ზღაპარი, რომ ერთ წამს მაინც დაივიწყოს მწარე სინამდვილე და სანატრელ მხარეში წარმო-იდგინოს თავი.

აი ამიტომ უყვარს პარიზი ემიგრაციას, რომლის სინამდვილე მართლაც საშინელია, უნუგეშო.

რაიმე დიდი უბედურების დროს ადამიანი ბეჭრ-ჯერ იმდენად გაოგნებულია, გაბრუებული, რომ თავის უბედურებას ვერა ხედავს, მთელი სილრმე-სიგანით.

გარეშე მაყურებელი უფრო სისწორით ხედავს მას.

აი, ახლაც მე განზე ვარ აქ, შორიდან ვეცნობი, ვუკვირდები ემიგრაციის ცხოვრებას, მდგომარეო-

ბას და გულწრუელად ვაღიარებ: შმაზედ საშინელი არაფერია.

ყველაზედ მრავალრიცხოვანია აქ რუსის ემიგრაცია. აქ არიან ყოფილი მინისტრები, დროებითი მთავრობის წევრები, გენერლები, ვაჭრები, ინტელიგენცია, სასულიერო და საერო პირები, ყოფილი დიდი მთავრები, „კნიაზები“ და სხვადასხვა.

ემიგრაცია დაყოფილია სხვადასხვა პარტიებად, ჯგუფებად. იკრიბებიან; აქვთ ერთმანეთში დავა, დავიდარაბა, კამათი, კინკლაბა, ჩხუბი, აყალმაყალი.

ემიგრაციის მდგომარეობაში, უსაქმობაში, უმუშევრობაში, დაუსრულებელ მოლოდინში, ნერვიულობასა და გულისწუხილში ყოველივე ეს ბუნებრივია და აუცილებელი.

მცირე ნაწილი შედარებით კარგად არის მოწყობილი სამსახურში, სავაჭრო ან საკომისიო დაწესებულებაში და სხვ., ამიტომ არ უჭირს.

მეორე ნაწილს შეადგენენ ალფონსები და მდიდარი ბურჟუების საყვარლები. ეს ნაწილი სრულებით უზრუნველყოფილია, მუდამ გამოწყობილია, მოკაზმული, ქეიფობს, დროს ატარებს, ავტომობილით დასეირნობს.

მესამე ნაწილი ჩვეულებრივი როსკიპობით ირჩენს თავს.

მეოთხე ნაწილს შეადგენენ მუშა-მოსამსახურენი
ფაბრიკებში, საყავეებში, რესტორანებსა და სასტუ-
მროებში. ყოფილ გენერლებსა და თავადებს ნახავთ
კარისკაცებად, შავ მუშებად, მაგრამ თავადობას
მანც არ ივიწყებენ და ასეთი მუშაობის დროს
ერთმანეთს მიმართავენ:

- თქვენო ბრწყინვალებავ!
- თქვენო აღმატებულებავ!
- თავადო; და სხვ.

ამათი მდგომარეობა მძიმეა, რადგანაც მუშაობენ
12—16 საათს დღეში და იღებენ ძალიან ცოტას.

ეს ნაწილი ემიგრაციისა დიდ კონკურენციას უწევს
ფრანგ მუშა-მოსამსახურეებს, რადგანაც უფრო და-
ბალ ფასებში დგება სამუშაოზე უსალსრობისა გამო.

მეხუთე ნაწილს შეადგენენ მრეცხავი და მკერავე-
ბი. ინტელიგენტი ქალები ზოგი მრეცხავობს, ზოგი
ტანისამოსს, საცვლებსა ჰკერავს.

ეს ნაწილი მუშაობს 16—17 საათს და ძლივს გა-
ჭირვებით ირჩენს თავს.

მეექვსე ნაწილს შეადგენენ მწერლები, პოეტები
და თავისუფალი პროფესიის ხალხი. ესენი თავისი
შრომით დღიურ ლუქმასა სჭამენ.

მეშვიდე ნაწილია სრულებით უმუშევარი, რომელიც
ხან მშიერია, ხან გისთანმე შევა და პურს შეჭამს.

მერვე ნაწილი მთლად მათხოვრად არის გადა-
ქცეული.

არის თითო-ოროლა ვაჭარი, რომელსაც სავაჭრო
გაუხსნია და ბედს არ ემდურის, ზოგი კიდეც გამ-
დიდრებულა.

საერთო რიცხვი რუსის ემიგრაციისა პარიზი,
როგორც ამბობენ,—200.000 ალემატება.

მე ვერსად ვიპოვე ცნობები იმის შესამოწმებლად,
თუ რამდენად სწორია ეს რიცხვი.

სწორი რომ უნდა იყოს, იქიდანაცა სჩანს, რომ
ქუჩაში, ტრამვაიში, მეტროში (მიწის-ქვეშა რკინის-
გზას უძახიან), მაღაზიაში, ბაზარში, კინოში—ყვე-
ლგან გესმით რუსული ლაპარაკი.

არის ზოგჯერ ასეთი შემთხვევა: მიღიხართ ორი
ქუჩაში, ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებით.

უცებ მოიჩენს თქვენთან ქალი, ან კაცი; სახე
გაბრწყინებული, თვალები ოდნავ სველი და ბრწყი-
ნვალე, გაგაჩერებსთ.

— მაპატიეთ! თქვენ რუსეთიდანა ხართ? რომელი-
კუთხიდან? როდის ჩამოხვედით? რა ამბავია იქ?
როგორ გეპყრობიან? როგორა ცხოვრობთ?

გამოგყითხავსთ ყველაფერს და შემდეგ ამოხვ-
რით დაუმატებს:

— ეეხ, რა ბედნიერი ხართ! როგორ მენატრება,
როგორ მინდა ჩემი რუსეთი!

ერთი ამგვარი შემთხვევის დროს წარმოვიდგინე
ჩემი თავი იმ ემიგრანტის ალაგას, რომელიც მე
შემომნატროდა, და ტანში ქრუანტელმა დამიარა:

არა, არა! ემიგრანტობა საშინელება რამ არის,
საშინელება!

გამოდის აქ ორი რუსული გაზეთი: მილიუკოვის
„Последние новости“ და მონარქისტების „Возро-
ждение“.

მილიუკოვის გაზეთი ოცნებობს, რუსეთი სულ
მოკლე ხანში დაიჩოქებს კადეტების წინაშე და ეტ-
ყვის: მობრძანდი და დაგვეუფლეო. მონარქისტებს
ეკამათება მეგობრულად, მეზობლურად და თან რე-
ვერანსებს უკეთებს: მთელ ფელეტონებსა სწერს
რუსეთის უკანასკნელ დედოფალზე, რომელიც ახლა-
ხან გარდაიცვალა, და თან ქება-დიდებით იხსენიებს.

მონარქისტების გაზეთი ორწმუნებს რუსეთიდან
გადმოხვეწილ ყოფილ თავადებს; მემამულეებს, გე-
ნერლებსა და მიტროპოლიტებს, რუსეთში სულ მა-
ლე დასკუპლება მეტეო.

მონარქისტები ისეთის დარწმუნებით სწერენ ამას,
თითქოს ეშინიათ, ვაი თუ ჩამაღნების ჩალაგება
ვერც კი მოვასწროთო.

პირადად მე მგონია, რომ ასეთი აჩქარება არ არის მაინცა-და-მაინც საჭირო; მეფის ლირსება მოითხოვს, რომ მონარქისტებმა უფრო დინჯად, აუზიარებლად ჩაალაგონ ჩამაღნები!

მონარქისტებს ამ წმინდა საქმეში იმედი აქვთ მუჟიკისა და ლვთისა. ამიტომ აცხობენ და აცხობენ ცნობებს გლეხების აჯანყების შესახებ რუსეთში და აღავლენენ მხურვალე ლოცვას ზეცისაკენ.

გაზეთი ყოველდღე აცხადებს; როდის და რომელ ეკლესიაში არის წირვა და ლოცვა, ან სად არის მწირველი მიტროპოლიტი.

მონარქისტების ლვთის ვედრებას კადეტებიც შეუფიქრიანებია: ვაი თუ ლმერთმა მართლა გაუმარჯოს მონარქისტებს და მოდი ჩვენც მოვიმადლიეროთ: თუ არ გვარგებს, რას გვაწყენსო.

ახლა მილიუკოვის გაზეთიც იკავს მართლმადიდებელ ეკლესიას და აცხობს განცხადებებს მიტროპოლიტის ლიტურლიების შესახებ.

მახლას! რაკი თვითონ ლმერთი ჩადგომია სათავეში კადეტებ-მონარქისტების საქმეს, ჩამოეცალეთ აწი!

ყველაფერი საუცხოვოდ მიმდინარეობს, პატარა ის აბრკოლებს საქმეს, რომ ბევრია რუსეთის ტახტზე დაბრძანების მსურველი.

კირილე, ჰო, ნამდვილია, ზედ-გამოჭრილი; როგორც თვითონ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ბრძანებს, რუსის გლეხები დღეს თუ ხვალ მას ტახტზე აიყვანენ!

მაგრამ აგრე ათი თუ თორმეტი სხვა ჰყვირის არა, კირილე კი არა, მე უნდივარ რუსის გლეხებსო. ორივე გაზეთში ხშირად ამოიკითხავთ სევდას, სევდას და ისევ უსაზღვრო სევდას.

დაბრუნება რუსეთში ოცნებაა უმრავლესობისა, მაგრამ ზოგს შიში, ზოგს დარცხვენილობა, ზოგს მორიდება, შელახული თავმოყვარეობა და სხვა აჩერებს.

ემიგრაციის გენერლებს არ უნდათ, რომ ემიგრაცია დაიშალოს.

რატომ არ უნდათ?

ამის გაგება ძნელი არ არის.

ემიგრაციის საშუალებით პირადათ ისინი კარგად არიან მოკალათებული და სხვადასხვა მთავრობიდან დახმარებას იღებენ.

ისინი ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება თითქოს დიდ ძალას წარმოადგენდენ და, თუ ემიგრაცია დაიშალა და გენერლები განმარტოებული დარჩენ, ვინ რას მისცემს!

ამიტომ ემიგრაციის გაჩერება შიშით, ჭორით, მუქარით, ყოველგვარი საშუალებით მათი პირდაპი-

რი მიზანია. თუ ვინმე მოკვდა საბჭოთა მიწაშეყალ-
ზე ეს კომუნისტებმა დახვრიტეს; თუ ვინმემ ქეი-
ფის დროს რევოლვერი გაისროლა საბჭოთა ტერი-
ტორიაზე, ეს აჯანყებაა; თუ სახლს ცეცხლი გაუჩნ-
და, ეს აჯანყების ხანძარია და სხვა.

ერთი გამოაფრენს ჭორს, მეორე გაზრდის, გაბე-
რავს, მესამე გაავრცელებს და ნიადაგი საუცხოვოა:
ემიგრაციის განწყობილება და ნერვიულობა. ჭორს
აქ დიდი გასავალი აქვს.

ამ დღეებში პარიზის საუკეთესო ნაწილში ჩამო-
ინგრა ექვსსართულიანი სახლი და ოცი ადამიანის
სიცოცხლე შეიწირა.

ეს რომ სადმე საბჭოთა ტერიტორიაზე მომხდა-
რიყო, ოჟო! რა ამბავი იქნებოდა აქაურ ემიგრა-
ციის გაზეთებში: ხომ ხედავთ, ბატონებო, მთელი
ქალაქები ინგრევა, ათასობით ხალხი ნანგრევებში
იღუპებათ და სხვა ამისთანები.

თუ თქვით, რომ საბჭოთა კავშირში ძალიან ბევ-
რი რამ გაკეთდა და კეთდება, მზად არის ჭორი:
კომუნისტების აგენტია, ერიდეთ ბიჭებოვო.

ჩვენ მკითხველს აინტერუსებს ქართული ემიგრა-
ცია.

რაცა ვსთქვი რუსული ემიგრაციის შესახებ, იგი-
ვე უნდა გავიმეორო ქართულის შესახებაც.

საერთო მდგომარეობა ეკონომიური, ფსიხოლოგიური ერთნაირია, ამიტომ განწყობილებაც ერთი და იგივეა.

ქართული ემიგრაცია ბევრგან არის გაბნეული, მაგრამ ის უფრო მრავალრიცხოვანია პარიზში. დღეს ემიგრაციის არისტოკრატიაც კი გაჭირვებულია ნივთიერად, მაში რაღა უნდა ითქვას ემიგრაციის ფართო ნაწილის შესახებ!

ზოგი მოსამსახურეობს მაღაზიებში, რესტორანებსა და კაფეებში, ზოგი მუშად არის, ზოგი ხელსაქმობს, ჰერიავს და სხვა.

ყველა ამათი სამუშაო დღე უდრის 12-16 საათს. ასეთს შრომაში იღებენ იმდენს, რომ პურსა სჭამენ.

ზოგი ხან საქმეზეა, ხან უსაქმოდ არის და ნახევარჯერ მშიერია.

ზოგი ხელოსანია, ზოგსაც შოთერობა შეუსწავლია.

შოთერობა ამოდენა ქალაქში ასეთი ზღაპრული მოძრაობით უცხო აღამიანისათვის ადვილი არ არის. უნდა იცოდეთ ენა, მთელი პარიზი და მისი მდებარეობა ხელის-გულივით უნდა გქონდეთ. შესწავლილი, შესაფერი გამოცდა უნდა ჩააბაროთ.

ემიგრანტი შოთერები მუშაობენ 12-18 საათი, მაგრამ სხვებთან შედარებით უზრუნველყოფილი არიან.

არის ერთი კატეგორია მოცეკვავეთა. სანამ ლე-
კური აქაურ კაფე-რესტორანებში ახალი ხილი იყო
რიგიანი მოლეკურე აქ ფულს შოულობდა: იცეკ-
ვებდა რესტორანში, დამსწრენი ფულს აჩუქებდენ.

ლეკურის მოდა აქ უკვე წავიდა უფრო იმიტო-
მაც, რომ ვინც იცოდა და არ იცოდა, სულ ყველა
აძუნძულდა. ევროპიული ცეკვით-კი ემიგრანტი აქ
კუჭს ვერ გაიძლებს, რაღგანაც აქ ყოველი ფრანგი
ცეკვავს.

ემიგრაციაში დიდი უთანხმოება სუფევს, აზრთა
არევ-დარევა, კინკლაობა, კამათი, ჯგუფებად და-
ყოფა და სხვა.

გაზეთები „ბრძოლა“ „თეთრი გიორგი“ უფერუ-
ლია, უშინაარსო. პოლიტიკის ნაცელად ჭორი და
ნაცარქექიობაა.

დიდ უმრავლესობას მობეზრებული აქვს ასეთი
ცხოვრება, ასეთი მდგომარეობა, დაუსრულებელი
და უნიადაგო მოლოდინი. ამიტომ სახლში დაბრუ-
ნება სწყურია.

ემიგრაციის ბელადები ყოველგვან ღონეს ხმარო-
ბენ, რომ ემიგრაცია არ დაიშალოს და დარჩეს.

მოსაზრება იგივეა, რაც რუსულ ემიგრაციაში:
ბელადები ემიგრაციის საშუალებით სხვადასხვა და-
ხმარებას ღებულობენ; ემიგრაცია რომ დაიშალოს

და მარტო ბელადები-ლა დარჩენ, ეს დახმარება უთუოდ მოესპობათ, ან მეტისმეტად შეუმცირდებათ.

ამიტომ ყოველი ჯგუფი ცდილობს თავისი რიცხვის გაზრდას ჭორითა და აგიტაციით.

ჭორის მიზანია, შეჰქმნას აქ ისეთი განწყობილება, თითქოს დღეს თუ ხვალ საბჭოთა წყობილება გაპერება და წინ—საპატიო დაბრუნება სამშობლოში.

აგიტაცია სწარმოებს აქაურ ახალგაზრდობაში: ყოველი ჯგუფი ცდილობს მასში ფეხის მომაგრებას. ეს ახალგაზრდობა აქ მცირერიცხოვანია, მაგრამ სულ არარობას ცალი უდელი ხარი სჯობია.

სასწავლებლად ჩამოსული ჩვენი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა შიგ პარიზში არაფერს არ აკეთებს. მისი აქ დატოვება იმის დალუპვას უდრის.

გერმანიაში, ბერლინში არის ისეთი ატმოსფერა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მეცადინეობს, იძენს ცოდნას.

შესაძლებელია, საფრანგეთის სხვა ქალაქებშიაც რასმე აკეთებს ჩვენი ახალგაზრდობა, მხოლოდ პარიზში ის არა სწავლობს და ვერც ისწავლის, რადგანაც უსაქმო ხალხი ბევრია და არ მისცემს საშუალებას მეცადინეობისას.

ჩვენში მოსახერხებელია, რომ ახალგაზრდობამ კიდეც იმსახუროს, კიდეც ისწავლოს, რაღგანაც სამსახურის შემდეგ მას კიდევ რჩება მეცადინეობისათვის საქმაო თავისუფალი დრო. პარიზში ახალგაზრდას სამსახური აძლევს მეტად ცოტას და სამაგიეროდ ართმევს იმდენ დროს, რომ მეცადინეობა მას სრულებით აღარ შეუძლია.

ზოგიერთის აზრით: როგორმე საზღვარზე გადიპარე, პარიზში ამოჰყავი თავი და მერე რაღა ვიჭირს. მეტისმეტად შემცდარი აზრია, რასაც არა ერთი და ორი დაუღუპავს და მომავალშიაც დაღუპავს, თუ ასეთი ყალბი წარმოდგენა არ ვაიფანტა. არის აქ სომხეთის ემიგრაცია, აზერბეიჯანის. მათი მდგომარეობა ისევე უნუგეშოა, როგორც ქართული ემიგრაციის.

როგორი დამოკიდებულება არსებობს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის?

საფრანგეთის ბურუუაზია იმდენად მოტეხილია, რომ მას რევოლიუციის აჩრდილისაც-კი ეშინია. აიღეთ ასეთი საოცარი ფაქტი: პარიზში არც ერთი ქუჩა რობესპიიერისა და მარატის სახელს არ ატარებს, არც ერთ მოედანზე მათი ძეგლი არ არის.

რა თქმა უნდა, იმ ბურუუაზიას, რომელსაც რობესპიიერისა და მარატის ეშინია, კომუნისტები თავ-

ზარსა სცემენ. საფრანგეთის მთავრობა ყოველგვარ ზომასა ხმარობს, რომ კომუნიზმია შიგ საფრანგეთში ფეხი არ მოიკიდოს.

მიუხედავად ასეთი მეცადინეობისა, კომუნიზმის იდეა სისტემატიურად ვრცელდება და პარიზში მას დიდი ნიადაგი აქვს.

მაგრამ საფრანგეთის საქმიანი ხალხი მომხრე არის საბჭოთა მთავრობასთან მეგობრული ურთიერთობისა და საერთო ენის გამონახვისა.

რაც შეეხება დანარჩენ ხალხს — წვრილ მოხელეებს, ხელოსნებს, მუშებს, მათი სიმპატიები აშკარად არის საბჭოთა კავშირისაკენ.

თუ ასეა, რათ ინახავს საფრანგეთის მთავრობა თავის ტერიტორიაზე ამდენ ემიგრაციას? აი ასეთი კითხვა ებადება ზოგიერთ მკითხველს.

ეს გახლავთ ძველი ტრადიცია. ემიგრაცია ყველან არის, მაგრამ თუ ის განსაკუთრებით ეტანება საფრანგეთს, ამას აქვს ბევრი მიზეზი და სხვათაშორის ისიც, რომ დიდი რევოლიუციის შემდეგ საფრანგეთს თვლიან თავისუფლების ქვეყანად, რომელიც პოლიტიკურებს თავშესაფარს აძლევს და არ გასცემს. ამას გარდა ემიგრაცია იძლევა იაფ მუშახელს, რაც საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია. არ სებობს თუ არა აქ საქართველოს საკითხი?

არავითარი საქართველოს ან საერთოდ ამიერკავკასიის საკითხი არ არსებობს არა თუ საფრანგეთში, მთელს ევროპაშიაც.

ყოველმა ქართველმა, რა რწმენისაც უნდა იყოს, უნდა შეიგნოს შემდეგი:

ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელსაც კერძოდ საქართველო აინტერესებდეს.

ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელიც საქართველოსათვის თავს გამოიდებს.

ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელიც საქართველოს გულისათვის საბჭოთა მთავრობას შეედავება.

ევროპაში არ არსებობს არც ერთი მთავრობა, რომელიც საქართველოს ან საერთოდ ამიერკავკასიის ცალკე გამოყოფას მხარს უჭერდეს.

რაც ადრე გაიწმინდება ყოველი ქართველი ყოველგვარი ყალბი და უნიადაგო ილიუზიებიდან ამ მხრივ, ნით უმჯობესია ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის.

ორიენტაცია საბჭოთა ფედერაციაზე გარქველი და მტკიცე, დაყრდნობა საბჭოთა პლატფორმაზე შეურყევლად და მტკიცედ, — ი რა არის სავალდებულო ყოველი ქართველისათვის, რომელსაც კი თავისი ერის ბედი და მომავალი აინტერესებს.

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი არც თანა-
უგრძნობს, არც იზიარებს ქართული ემიგრაციის
პოზიციას საბჭოთა კავშირისადმი.

— ეს პოზიცია უნდა შეიცვალოს! — აი რას ამბო-
ბენ ისინიც კი, ვისაც ემიგრაციის მეგობრებად მო-
აქვს თავი.

საფრანგეთის მსხვილი ბურუუზია თუ ინახავს პა-
რიზში ყოფილ მენშევიკურ მთავრობას, მხოლოდ ერ-
თად-ერთის მიზნით: გამოიყენოს ის იარაღად საბ-
ჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ.

ჩეხოვის სამი და მთელი სიცოცხლე ხვნეშით ოც-
ნებობდა მოსკოვზე და შენატროდა ყველას, ვინც მო-
სკოვში ცხოვრობდა.

ჩვენშიაც ბევრია ისეთი, რომელიც სულ პარიზზე
ოცნებობს.

— აახ, პარიზი!

— ოოხ, პარიზი!

— რა მშენიერია პარიზი!

— რა ლამაზია პარიზი!

მართლაც ლამაზია, მეტის-მეტად ლამაზი. მომ-
ხიბლავი, თვალის დამატევევებელი.

ჩვენი ტფილისი პარიზთან შედარებით სო-
ფელია.

მე მხოლოდ იმას გაუსვამ ხაზს, რომ პარიზი
მთელი თავისი სილამაზით ბურუუაზისათვის არის
მოწყობილი, მსხვილი ბურუუაზისათვის.

მუშა ხალხმა უნდა დაიპყროს პარიზი და მოაწყოს
ის თავისთვის.

ვინც ბურუუაზის თვალთახედვით გაზომავს პა-
რიზს, განა შეიძლება მას წუნი დასწოოს!

მსხვილი ბურუუაზის შემოქმედებას აქ ფართოდ
გაუშლია ფრთები, უკეთეს ის ვერაფერს შექმნიდა.

საარაკო სიმდიდრე, იშვიათი ფუფუნება, ზღაპ-
რული სამკაულობა, ძვირფასეულობა—რა გინდათ,
რომ აქ არ იყოს უხვად დაგროვილი.

დასვენება გინდათ, გართობა, ნებივრობა, ფუ-
ფუნება, ქეიფი, დროს ტარება, ავხორცობა, ბირ-
ჟაზე თამაში, ფულების ფლანგვა — არსად ისე არ
არის ყოველივე, ეს მოწყობილი, როგორც პარიზში.
პარიზში არის მთელი უბანი—მონმარტრის რესპუ-
ბლიკა, სადაც ყოველისფერია ბურუუაზის ქეიფისა,
ავხორცობისა და დატებობისათვის.

აი სად იფლანგება და როგორ იფლანგება მშრო-
მელი ხალხის კისრიდან ამოლებული ოქრო!

მუშებისათვის კი არაფერი არ არის, ან და ძა-
ლიან ცოტა.

მაშინ, როდესაც პარიზის შუაგული აგიზგიზებულია, აელვარებული ელექტროს ფერად შუქში, მუშათა უბნებში ელექტროც კი არ არის; ყველგან აქაიქ გაზი ბჟუტავს.

სად ნახავთ იქ მუშათა უბანს ისე მოწყობილს ელექტროთი, თეატრებით, კლუბით, სახალხო სახლით და სხვ. როგორც ნაძალადევში?

ბინძური ვიწრო ქუჩები, ბინძური სახლები, ბინძური სამიკიტნოები, მძიმე შრომა და მცირე ხელფასი — აი მუშების ხვედრი პარიზში.

არც პარიზშია, არც ბერლინში მუშებისათვის შრომის პირობები ისეთი, როგორიც ჩვენშია.

სამწუხაროდ, ჩვენს მუშას აკლია ჯერჯერობით შესაფერი შეგნება. არა აქვს შრომის დისკიპლინა: ზოგჯერ ცულლუტობა, ღროს გაცდენა უყვარს, არ უწევს ანგარიშს იმას, რომ ასეთი მოქმედებით ზიანს აყენებს საერთო საქმეს და, მაშასადამე, თავის საკუთარ, მთელი მუშების საქმეს.

ფრანგი ან გერმანელი მუშა როცა მუშაობს, მართლა მუშაობს, მხნედ, მედგრად მთელი თავისი შეგნებითა და სინდისით, ის ერთ წამს არ გააცდენს, არ დაჰკარგავს უბრალოდ, უქმდ, თუმცა იცის რომ სხვის საქმეს აკეთებს, სხვას. ემსახურება.

მას შრომის დისციპლინა ძვალრბილში აქვს გაშვდარი და ვის საქმესაც უნდა აკეთებდეს, მუყაითია, მხნე და ერთგული.

ფრანგი ან გერმანელი მუშა თუ მუშაობს ათ საათს, ის მართლა მუშაობს ამ ათ საათს. ჩვენი მუშა კი თუ რვა საათს მუშაობს, ნამდვილად ექვსსაც არ მუშაობს.

ჩვენმა მუშამ უნდა გაღმოილოს თავისი საზღვარ გარეთელი ამხანაგებიდან შრომის დისციპლინა, ურომლისოდაც მარტო მთავრობის მეცადინეობა და ლონისძიებანი ფრთაშეკვეცილი დარჩება.

მთელი პარიზი მსხვილი ბურჟუაზიის ხელშია. მან მოაწყო პარიზი თავის გემოვნებაზე და ბურჟუაზიისათვის უკეთესი ქალაქი არ არის დედამიწის ზურგზე.

მაგრამ ვინც პარიზს გაიცნობს და შეისწავლის მუშური თვალთახედვით, მას ბევრი რამ არ მოეწონება, ბევრი რამ აუშფოოთებს გულს, ბევრს რასმე უარჟყოფს, დაპერავის, იტყვის: ძირს დღევანდელი ბურჟუაზიული პარიზი, გაუმარჯოს ხვალინდელ პროლეტარულ პარიზსო.

პარიზი თავისუფლების ქვეყანაა, მაგრამ ეს თავისუფლება ბურჟუაზიამ თავისთვის დაიტოვა; რაც უნდა, იმას სჩადის, არავინ მოსთხოვს პასუხს. სა

ადრესო მაგიდაც—კი არ არსებობს პარიზში, რომ
ბურჟუაზია არავინ შეაწუხოს.

მაგრამ ამ თავისუფალ ქვეყანაში თავისუფალი
სიტყვისათვის ციხესა და კატორლაში გიკრავენ თავს
მთელ წლობით, თუ ეს თავისუფალი სიტყვა ბურ-
ჟუების წყობილების წინააღმდეგ იქნება მიმარ-
თული.

მშრომელი ხალხი იბრძვის ასეთი წყობილებისა
და ასეთი თავისუფლების წინააღმდეგ, როგორც პა-
რიზში, ისე ბერლინში; ის ემზადება, ირაზმება, ძალ-
ლონეს იკრებს საბოლოო და უკანასკნელი შეტევი-
სათვის.

მე ამაში ლრმად დავრწმუნდი ბერლინსა და პა-
რიზში ყოფნის დროს.

როდის იქნება, როდის მოხდება ეს, ამის წინას-
წარ მეტყველებას ვერ ვიკისრებ, მაგრამ იქნება,
მოხდება. ჩემი იქ ყოფნის დროს ბერლინიდან მოს-
კოვს მოდიოდა მუშათა დელეგაცია. სადგურზე აუა-
რებელი ხალხი აცილებდა მას.

— გაუმარჯოს წმინდა მოსკოვს!

— გაუმარჯოს წმინდა მოსკოვს!

აი რა სიტყვებით ისტუმრებდა ეს ხალხი დელე-
გაციას.

რას ნიშნავს ეს სიტყვები?

იმას, რომ გერმანიის პროლეტარიატი მოსკოვიდან მოელის ხსნასა და სასწაულს.

ასეთია სინამდვილე.

„გონიერსა მწვრთელი უყვარს.

უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.“

ვინც გონიერია, ის თვითონ გამოიტანს შესაფერ დასკვნას ამგვარი სინამდვილიდან.

პარიზსა და ბერლინს აქვს მეცნიერება, უალრესად განვითარებული ტეხნიკა, შრომის დისკიპლინა.

ამ ასპარეზზე ჩვენ ღატაკები ვართ. იქ მეცნიერული აზროვნება ყოველ დარგში სწრაფი ნაბიჯით მიღის წინ, ტეხნიკური მიღწევანი სასწაულებს იძლევიან.

ყოველივე ამითი ჯერჯერობით უმთავრესად ბურჟუაზია სარგებლობს. ჩვენ უნდა დავეწაფოთ მეცნიერებას, შევისწავლოთ და გავიწაფოთ ტეხნიკა-ში, შევითვისოთ შრომის დისკიპლინა და მოვახმაროთ ყოველივე ეს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას.

ძირს ბურჟუაზია და მისი ყოფა-ცხოვრება, მისი წყობილება!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს და იმის წყობილებას, იმის ყოფა-ცხოვრებას.



ს. ს. ს. რ.

სახელმწიფო გამოცემლობა

რუსთაველის პროსპექტი № 22. ტელ. 3—22.

ი ყ ი დ ე ბ ა

სახელგამის ფიგის გაღაზიები:

	დრამა
1. ნიკოლების სახელმწიფო გამოცემის გაღაზიები	2—
2. გელეგანის გამოცემი	— 20
3. გოგართელი — მაქ. გორგის ცხოვრება და შემოქმედება	— 35
4. დვოლაიცი — საქონლის ნაკლებობის შე- სახებ	— 35
5. კომპავშირი და ს. სკოლო მშენებლობის სა- კითხები	— 50
6. კერძოცემი და ლეონტიევი — ლენინიზმის ანბანი	1— 50
7. კოჭლოვსკი და რუსისეპი — პოლიტკითხვა კომკავშირელებისათვის	2—
8. ლენინი — წერილები მაქსიმ გორგისადმი .	— 65

ფასი
მ. კ.

0. გომართვლი—თავის მოვლა (რჩევა-და- რიგებანი).	30
" " —გლეხის კარაბადინი.	2 —
3603. 03ანოვე—მეღორეობა გლეხის მე- ურნეობაში	50
ს. კალანდაძე—მალარიის კოლო და მასთან შრძოლა	20
5. კეცხიველი—როგორი თესლი უნდა და- თესოს	15
3604. კონვე—ზაკე საქონლის მოვლა	25
მს. ნაკაშიძე—სიმინდის ჩრჩილი	10
" " —თხილი მისი გაშენება და მოვლა	25
" " —ჩაის ბუჩქი, მისი ვაშენება და მოვლა	50
3. ფარებიშვილი—ცხენის ჭელვა	2 —
0. ჩილაძე—მეფრინველეობა	1 —
ჩოხელი—პირველი დახმარება უბედურ შემთხვევაში	1 —
0. ჩოხელი—ვენერიული სენი	60

	ფასი
ლ. ლეინი—სახალხო განათლების შესახებ	მ. კ.
შ. ლეპავა—შამშეცვი	—20
კ. მარქსი და ფ. ენგელსი — კომუნისტური	—40
შანიფესტი	—20
დ. მთვარისებრი—პარიზის კომუნა	—60
მასრავლებლის თვითგანვითარება (წერი- ლები)	—90
როგორ უდეა შევიძეს—მუშა და გლეხი	
სამხედრო სკოლაში	—30
პროგრამა ჭოლიტიკური ეკონომიკისა.	—10
საკავშირო კომპ (ბ) ისტორიის პროგრამა	—20
ი. სტაროსელსკი—გლეხთა მოძრაობა ქუ- თისის გუბერნიაში	—80
თ. ულენტი—1905 წელი სამეგრელოში	—90

